

## მეგი პატურაშვილი

სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის  
გაზრდის მეთოდების სრულყოფა

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
მაისი, 2012 წელი

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით პატურაშვილი მეგის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდის მეთოდების სრულყოფა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_ ავთანდილ შარვაშიძე

რეცენზენტები: \_\_\_\_\_ გოდერძი ტყეშელაშვილი

ოლეგ ბიჭიაშვილი

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2012 წელი

ავტორი: პატიურაშვილი მეგი

დასახელება: სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის  
გაზრდის მეთოდების სრულყოფა

ფაკულტეტი: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: აპრილი 2012 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვითი პროცესის შეუფერხებელი განხორციელებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს რომ, მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს სატვირთო ვაგონების სავაგონო პარკი. ამ ამოცანის სრულყოფილად და შეუფერხებლად გადაწყვეტისათვის აუცილებელია არსებობდეს მძლავრი ვაგონსარემონტო ბაზა. ვაგონსარემონტო დაწესებულებათა სიმძლავრის გაზრდის უკლაშე რეალურ და სწრაფ გზად ექსპლუატაციის არსებული პირობების გათვალისწინებით ითვლება მისი პერიოდული განახლება და რეკონსტრუქცია. წარმოების ორგანიზაციაში სატვირთო ვაგონების მსოფლიოში მოწინავე და თანამედროვე რემონტის მეთოდებისა და მექანიზაციის მოწყობილობების დანერგვა. საწარმოო პროცესების რაც შეიძლება მაქსიმალური ავტომატიზაცია და რობოტიზაცია. ვაგონსარემონტო საწარმოთა რეკონსტრუქციის უკლაშე რაციონალური გზის განსაზღვრისათვის აუცილებელია შესრულდეს ვაგონშემკეთებელი საწარმოს შემადგენელი ძირითადი და დამხმარე უბნების აუცილებელი პარამეტრების გაანგარიშება, მათი ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენა და შესაბამისად პრაქტიკაში დანერგვის მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ყოველივე ზემოხსენებულის პირობების დაკმაყოფილება ვაგონსარემონტო საწარმოს საშუალებას მისცემს იფუნქციონიროს მომგებიანად და შესაბამისად შეძლოს დამოუკიდებლად არსებობა.

თანამედროვე ვაგონსარემონტო საწარმოებში სატვირთო ვაგონების რემონტის ნაკადურ-კონვეიერული მეთოდი წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აპრობირებულ და აღიარებულ პროგრესულ მეთოდს და ვერც ერთი ვაგონსაშემკეთებლო დაწესებულება, სადაც არ ხორციელდება ვაგონების შეკეთების ნაკადური მეთოდი ვერ ჩაითვლება მოწინავე პერსპექტიულ და განვითარებულ ვაგონსარემონტო საწარმოდ. მიუხედავად იმისა, რომ ვაგონების შეკეთების ნაკადური მეთოდი მოიცავს არსებობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, მისი შემდგომი სრულყოფა და განვითარება კვლავაც რჩება აქტუალურად და განვითარების თვალსაზრისით მოითხოვს შემდგომ მეცნიერულ ანალიზსა და კვლევებს. ვაგონსარემონტო საწარმო სისტემურად მიიჩნევა ერთ მთლიან საკვლევ ობიექტად, სადაც კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული მასთან თანმდევი ეკონომიკური გამოვლინებანიც. ამავდროულად მნიშვნელოვანია ვაგონშემკეთებელ საწარმოში მომუშავეთა შტატის რაოდენობის ოპტიმიზირება და რაციონალური თანამდებობრივი დანაწილება, რაც უფრო კომპლექსურს და მობილურს გახდის საკვლევ ვაგონსარემონტო ობიექტს. ყველა არსებულ რესურსებთან ერთად ვაგონსარემონტო საწარმოს მმართველობის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ძირითადი და დამხმარე საწარმოო უბნების ოპტომალური საშტატო განაკვეთის რაოდენობრივი დადგენა სატვირთო ვაგონების ნაკადურ-კონვეიერული მეთოდით შეკეთების დროს ასევე ითვლება ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხად.

წარმოდგენილი საკითხისადმი ამგვარი მიღებომით პრაქტიკულად თვალისათვალივ წარმოჩნდება სისტემის სრული ობიექტური სირთულე, რაც თავისთავად გულისხმობს ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთა

დიდ რაოდენობას. განსახილველი სისტემის ნებისმიერ იერარქიულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას მთლიანად სისტემისათვის აუცილებელ კრიტერიუმად ყოველთვის უნდა ჩაითვალოს მიღებული მაქსიმალური ეფექტი ერთიანად და არა რომელიმე ცალკე აღებული მისი შემადგენელი ნაწილისათვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია მოცემული საკითხისადმი სისტემური მიღვოძის დროს. გამომდინარე ზემოხსენებულიდან საღისერტაციო ნაშრომში დასმული ამოცანა, რომელიც ეხება სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდას აქტუალურია და იქცევს ყურადღებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ვაგონშემკეთებელი საწარმოს ძირითადი საწარმოო უბნის ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეირული ხაზების სარემონტო პოზიციებზე ვაგონების განლაგების ოპტიმალური და რაციონალური სქემის წარმოდგენა, სადაც მინიმალური იქნება დროის დანაკარგები ვაგონების გადაადგილებებზე პოზიციიდან პოზიციაზე. საშემკეთებლო პოზიციებზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ამაღლებით გაიზარდოს ვაგონსაამწყობო უბნის სიმძლავრე და მოხდეს საშემკეთებლო პოზიციებზე შესასრულებელ ოპერაციათა შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის მაქსიმალური სტაბილიზაცია. გარდა აღნიშნულისა ასევე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დასაბუთდეს რა შემთხვევაშია ეკონომიკურად გამართლებული ამ სქემით მოცემული სატვირთო სავაგონო დეპოს ტერიტორიული მოწყობა და რა ეკონომიკურ ეფექტს მისცემს ის არამარტო თვითონ საწარმოს, არამედ ასევე მთლიანობაში სარკინიგზო ტრანსპორტსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში განხილული ვაგონსაამწყობო უბნის შემოთავაზებული ახალი სქემატური ვარიანტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისაღებია ისეთი ქვეყნებისათვის (მათ შორის საქართველო), სადაც სატვირთო ვაგონების სავაგონო პარკი არ არის დიდი და ნაცვლად რამოდენიმე ცალკე აღებული ერთი რომელიმე ტიპის სატვირთო ვაგონების სარემონტო სპეციალიზირებული სავაგონო დეპოსი მიზანშეწონილია განხორციელდეს რამოდენიმე ტიპის სატვირთო ვაგონების რემონტი ერთ სავაგონო დეპოში და მოვახდინოთ სხვადასხვა ტიპის სატვირთო ვაგონების მიხედვით (დახურული სატვირთო, ცისტერნა, ნახევარვაგონი, ბაქანი) შესაბამისი სარემონტო ნაკადური ხაზის სპეციალიზაცია, ე.ო. მოვახდინოთ ვაგონსაამწყობო უბნის ხაზობრივი სპეციალიზაცია. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტის ცხოვრებაში განხორციელების შემთხვევაში მას ექნება ასევე მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება და ვაგონშემკეთებელი საწარმოო იქნება მომგებიანი, რაც შესაბამისად დასტურდება მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის ახალი ტექნიკური საშუალებებით საწარმოს აღჭურვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის სათანადო გაანგარიშებებით და შესაბამისი დიაგრამებით.

ამგვარად, ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საღისერტაციო ნაშრომი დასახელებით „სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდის მეთოდების სრულყოფა“ აქტუალურია, მოიცავს სიახლეს და აქვს პრაქტიკული ღირებულება.

## Abstract

For undisturbed execution of transportation process on rail transport one - of the necessary condition is presented by always being in serviceable condition of car fleet of freight cars. For the fully and undisturbed solution of this problem is necessary the powerful car repair facilities. The most effective and quickest way to increase capacity of car repair shops with taking into account current operational conditions is considered to be its periodic renewal and reconstruction. As well as implementation in organization of freight cars production in the world's leading and modern repair methods and mechanization equipment. For as maximal as possible automation and robotization of production processes. For determination of most rational way of car repair enterprises reconstruction is necessary to execute the calculation of car's repair enterprises basic and auxiliary facilities necessary parameters, to determine their optimal values and accordingly technical and economic assessment of practical implementation. The satisfaction of all of above mentioned conditions gives the possibility to car repair enterprise to profitably functioning and therefore to able to operate independently.

In the modern car repair enterprises the continuous assembly-line flow of freight cars repair represents an worldwide approved and recognized progressive method, and none of car repair facility, where is not being implemented the continuous flow method of car's repairs would not be considered as advanced and developed car repair enterprise perspective. Although the method of car's repairs includes too long period of existing, its further improvement and development continues to be relevant and requires in terms of further development of scientific analysis and researches. The car repair enterprise system is considered as whole object of study, where the fully should be considered with the accompanying economic expressions. Simultaneously it is important to optimize the number of employees in the car repair enterprise and rational job distribution that makes the more complex and mobile the investigated car repair object. With all current resources the car repair enterprise management, engineering - technical personnel, the basic and auxiliary facilities optimal staff list quantities definition at freight cars repair by the continuous assembly-line flow also is considered as important and significant issue.

Due this approach to presented issue is clearly manifested in full and objective complexity of the system that itself implies that a large number of interrelated factors. For decision making on arbitrary hierarchical level of the investigated system as a necessary criterion would be considered the overall received maximum profit, and not a separate component parts of it's, that is particularly important and relevant to this systematic approach to the issue at the time. Proceeding from the above mentioned, rose in the dissertational work task, that is related to increasing of capacity of freight cars in repair depot is actual and attracts attention.

The basic aim of presented work represents in car's placement optimal and rational scheme presentation on repair positions of main manufacturing shop of car assembly facilities continuous assembly-line flow, where will be minimal loss of time on the cars movement from one position to another. For the improvement on the repair positions of mechanization and automation level and to increase the capacity of the car assembly facility and perform on car repair positions synchronization operations on the positions of maximum stability. Besides the above mentioned the object of work is presented in justification in that cases is economically sound the territorial arrangement of freight depot by given scheme of arrangement and what economic

effect would be obtained not only for the enterprise itself, but also for whole railway transport as well.

It should be noted that considered in the work proposed a new schematic versions car assembly facility is the most important and acceptable to those countries (including Georgia), where freight cars car park is not large, and instead of a separate one type of freight cars repairs of specialized depot is advisable to perform repair of several types of cars in one depot and make the specialization of repair continuous flow accordingly of different types of freight cars (closed trucks, tanks, gondola car, platform), i.e. to perform line specialization of car assembly facility. It also should be noted that in the case of project implementation it will be of significant practical value and car repair enterprise would be profitable, as evidenced by the appropriate calculations of equipped by mechanization, automation and robotization new technical equipment received economic efficiency of determining and the corresponding diagrams.

Thus grounded on the all above mentioned we have to say that in the dissertation work by title "Investigation of freight car's repair depot improvement capacity methods and their perfection" is topical, has novelty and practical value.

## შინაარსი

<b>შესავალი .....</b>	<b>12</b>
<b>1. ლიტერატურის მიმოხილვა .....</b>	<b>19</b>
<b>2. შედეგები და მათი განსჯა .....</b>	<b>39</b>
2.1. სხვადასხვა ტიპის სატვირთო ვაგონების შეკეთებაში დეპოს გამჭოლი ტიპის საამწყობო უბნებზე გამოყენებული პროგრესული მეთოდების ანალიზი .....	39
2.2. ოთხღერძიანი სატვირთო ვაგონების შემკეთებელი გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბნის მქონე სავაგონო დეპოს ახალი სქემის დამუშავება .....	59
2.3. სატვირთო სავაგონო დეპოს საწარმოო უბნებზე განთავსებული თანამედროვე ახალი სარკინიგზო ტექნიკა და მათი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები .....	66
2.3.1. ურიკებისა და წყვილთვალების შემკეთებელი უბანი .....	67
2.3.1.1. სატვირთო ვაგონების ურიკების ტექნოლოგიური კომპლექსი MT40 .....	67
2.3.1.2. სატვირთო ვაგონების წყვილთვალების დემონტაჟის საბუქსე კვანძების დეტალების და წყვილთვალების გარეცხვის მექანიზირებული კომპლექსი .....	71
2.3.1.3. წყვილთვალების გამრეცხი ავტომატიზებული კომპლექსი .....	74
2.3.1.4. სატვირთო ვაგონების გორგოლაჭიანი საკისრების გასაწენები, საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გამრეცხი ავტომატიზირებული უბანი .....	78
2.3.1.5. გორგოლაჭიანი საკისრების გარეცხვისა და გაშრობის ავტომატური მანქანა MCP01 .....	81
2.3.1.6. სატვირთო ვაგონების ბუქსების კორპუსების გამრეცხი ავტომატური მანქანა MKB 04 .....	86
2.3.1.7. სატვირთო ვაგონების ბუქსების საკისრების გამოსაწენები მოწყობილობა YBP05 .....	90
2.3.1.8. მექანიზირებული ესტაკადა ტM 46 .....	94
2.3.1.9. წყვილთვალას ამწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობა ППУ 200 და ППУ 400 .....	98
2.3.2. ავტოგადაბმულობის საკონტროლო პუნქტი .....	102
2.3.2.1. ავტოგადაბმულობის კორპუსის გამრეცხი მანქანა MKA 65 .....	102
2.4. ვაგონსაამწყობო უბნის მწარმოებლურობაზე მექანიზაციის სარისხის გავლენა .....	107
3. დასკვნა .....	113
გამოყენებული ლიტერატურა .....	115
დანართები .....	117

## ცხრილების ნუსხა

<p>ცხრილი 1. ნაკადურ-კონვეიერული მეთოდით დახურული სატვირთო ვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი სავაგონო დეპო „ბრიანსკის“ ვაგონსაამწყობო უბანზე .....</p> <p>ცხრილი 2. ნაკადური მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი სავაგონო დეპო „ბრიანსკი“-ს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბანზე .....</p> <p>ცხრილი 3. ნაკადური მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი სავაგონო დეპო „კრასნოარმეისკ-დონეცკი“-ს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბანზე .....</p> <p>ცხრილი 4. დეპო „მაგნიტოგორსკ“-ში კომბინირებული სავაგონო დეპოში ნაკადურ-კონვეიერული მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი .....</p> <p>ცხრილი 5. დეპო „ბელოვი-კემეროვო“-ს ნახევარვაგონების შემკეთებელი დეპო ვაგონსაამწყობო უბნის ტექნოლოგიური პროცესი .....</p> <p>ცხრილი 6. სატვირთო ვაგონების ურიკების გამრეცხი ტექნოლოგიური კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 7. ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 8. გორგოლაჭიანი საკისრების გამრეცხი და გამშრობი ავტომატური მანქანის МСП-01 ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 9. ბუქსების გამრეცხი МКБ04 ტიპის გამრეცხი ავტომატური მანქანის ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 10. სატვირთო ვაგონების ბუქსების საკისრების გამოსაწნები УВП05 მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 11. მექანიზირებული ესტაკადის ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 12. წყვილთვლების ასაწევი მოსაბრუნებელი ხელსაწყოს ტექნიკური მახასიათებლები .....</p> <p>ცხრილი 13. ვაგონების ავტოგადაბმულობათა კორპუსების გამრეცხი მანქანა МК-65 .....</p> <p>ცხრილი 14. დეპოს ვაგონსაამწყობო უბნის და მექანიზაციის ხარისხის და შესაბამისი მწარმოებლურობა ურთიერთდამოკიდებულების შეღებების ცხრილი .....</p>	<p style="text-align: right;">41</p> <p style="text-align: right;">45</p> <p style="text-align: right;">50</p> <p style="text-align: right;">52</p> <p style="text-align: right;">57</p> <p style="text-align: right;">69</p> <p style="text-align: right;">74</p> <p style="text-align: right;">82</p> <p style="text-align: right;">88</p> <p style="text-align: right;">92</p> <p style="text-align: right;">97</p> <p style="text-align: right;">100</p> <p style="text-align: right;">104</p> <p style="text-align: right;">110</p>
--	--

## ნახაზების ნუსხა

ნახ.	1. დახურული სატვირთო ვაგონების შემკეთებელი სავაგონო დეპო „ბრიანსკი“-ს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბნის ტექნოლოგიური სქემა .....	40
ნახ.	2. ნახევარვაგონების შემკეთებელი სავაგონო დეპო „ბრიანსკი“-ს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბნის ტექნოლოგიური სქემა .....	44
ნახ.	3. დეპო „კრასნოარმეის-გ-დონეცკი“-ს ნახევარვაგონების შემკეთებელი დეპოს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეირული ხაზის სქემა .....	48
ნახ.	4. სავაგონო დეპო „მაგნიტოგორსკი“-ს კომბინირებული ვაგონსაამწყობო უბნის სქემა .....	49
ნახ.	5. ნახევარვაგონების შემკეთებელი სავაგონო დეპო „ბელოვი“-ს ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ- კონვეირული ხაზის სქემა .....	55
ნახ.	6. სატვირთო სავაგონო დეპოს ვაგონსაამწყობო უბნის ავტორისეული სქემა .....	60
ნახ.	7. სატვირთო ვაგონების ურიკების გამრეცხი ტექნოლოგიური კომპლექსი MT40 .....	68
ნახ.	8. სატვირთო ვაგონების ურიკების გამრეცხი ტექნოლოგიური კომპლექსის MT-40 განლაგების სქემა .....	70
ნახ.	9. სატვირთო ვაგონების წყვილთვლების დემონტაჟის, საბუქსე კვანძების დეტალებისა და წყვილთვლების გარეცხვის მექანიზირებული კომპლექსი .....	73
ნახ.	10. წყვილთვლების გამრეცხი ავტომატიზირებული კომპლექსი MKP36 .....	75
ნახ.	11. წყვილთვლების გამრეცხი ავტომატიზირებული კომპლექსის MKP-36 განლაგების სქემა .....	77
ნახ.	12. საკისრების განწენებისა და საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გამრეცხი ავტომატიზირებული უბანი (მარჯვენა შესრულებით) .....	79
ნახ.	13. საკისრების გაწნევა და საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გამრეცხი ავტომატიზირებული უბანი (მარცხენა შესრულებით) .....	80
ნახ.	14. გორგოლაჭიანი საკისრების გარეცხვისა და გაშრობის ავტომატური მანქანა MPС 01 .....	84
ნახ.	15. გორგოლაჭიანი საკისრების გარეცხვისა და გაშრობის ავტომატური მანქანის MCП-01 განლაგების სქემა .....	85
ნახ.	16. სატვირთო ვაგონების ბუქსების კორპუსების გამრეცხი მანქანა ავტომატი MKБ-04 .....	87
ნახ.	17. სატვირთო ვაგონების ბუქსების კორპუსების გამრეცხი მანქანა ავტომატის MKБ-04 განლაგების სქემა .....	89
ნახ.	18. სატვირთო ვაგონების ბუქსიდან საკისრების გამოსაწნევი მოწყობილობა YBП05 .....	91
ნახ.	19. სატვირთო ვაგონების ბუქსებიდან საკისრების გამოსაწნევი მოწყობილობის YBП-05 განლაგების სქემა ..	93

ნახ. 20. ტმ – 46 ტიპის სტანდარტული მექანიზირებული ესტაკადა .....	95
ნახ. 21. ტმ – 46 ტიპის სტანდარტული მექანიზირებული ესტაკადის განლაგების სქემა .....	96
ნახ. 22. წყვილთვალას ასაწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობა ППУ – 200 .....	99
ნახ. 23. წყვილთვლების ასაწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობის ППУ 200 განლაგების სქემა .....	101
ნახ. 24. ავტოგადაბმულობის კორპუსის გამრეცხი ავტომატური მანქანა MKA 65 .....	103
ნახ. 25. ავტოგადაბმულობის კორპუსის გამრეცხი ავტომატური მანქანის MKA – 65 განლაგების სქემა .....	105
ნახ. 26. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ვაგონსაამწყობო უბნის მწარმოებლურობასთან დამოკიდებულების გრაფიკი.....	111
ნახ. 27. სატვირთო სადგურის ცისტერნების გამრეცხ-გამორთქლი სადგურის და სატვირთო სავაგონო დეპოს კომპლექსური სქემა .....	129

## შესავალი

სარკინიგზო ტრანსპორტი, როგორც ერთიანი სატრანსპორტო სისტემის განუყოფელი ნაწილი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დიად საქმეში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სარკინიგზო ტრანსპორტს განსაკუთრებული როლი ენიჭება მთელ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში არამარტო მგზავრთა გადაყვანებზე და ტვირთგადაზიდვებზე მოსახლეობის მოთხოვნილებების სრულყოფილად, სწრაფად და შეუფერხებლად დაკმაყოფილებაში, არამედ მას ასევე უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, როგორც ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების ერთ-ერთი საიმედო სატრანსპორტო საშუალება.

რკინიგზაზე ზემოხსენებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის სხვა მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად აუცილებელია არსებითად ამაღლდეს ვაგონსარემონტო დაწესებულებების საწარმოო სიმძლავრე და მასთან ერთად გაუმჯობესდეს სავაგონო პარკის მუშაობის ტექნიკური მდგომარეობა და საიმედოობა. ვაგონსარემონტო დაწესებულებათა საწარმოო სიმძლავრის გაზრდის ყველაზე რეალურ და სწრაფ გზად ითვლება მისი ძირეული განახლება და რეკონსტრუქცია, წარმოების ორგანიზაციაში მოწინავე თანამედროვე მეთოდებისა და მექანიზაციის მოწყობილობათა დანერგვა, საწარმოო პროცესების შესაძლო მაქსიმალური ავტომატიზაცია და რობოტიზაცია. ვაგონსარემონტო დაწესებულებების რეკონსტრუქციის ყველაზე რაციონალური გზის განსაზღვრისათვის აუცილებელია შესრულდეს ძირითადი და დამხმარე საწარმოო უბნების პარამეტრების გაანგარიშება, მოხდეს მიღებული ვარიანტებიდან ოპტიმალურის შერჩევა და დასაბუთდეს მისი დანერგვის მიზანშეწონილობა ტექნიკურ-ეკონომიკური გამოთვლებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლამ ეკონომიკური საკითხებისადმი ახლებურად მიღგომამ, განსაკუთრებული მოთხოვნების წინაშე დააყენა სარკინიგზო ტრანსპორტი. ტრანსპორტის ამ სახეობის წინაშე დაისვა გრანდიოზული ამოცანები რისი შესრულებაც პრაქტიკულად

შეუძლებელი იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო განმტკიცების გარეშე. სარკინიგზო დარგის ყველა ქვედანაყოფი პრაქტიკულად მოითხოვს ხელახალ გადაიარაღებას და სრულყოფას, რომელთა შორისაც მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ძირითადი ერთეულის – სატვირთო ვაგონების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რკინიგზის იმ სახაზო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებმიც მომდინარეობს ვაგონების მთლიანად ან მისი ცალკეული კვანძების და დეტალების მუშაობისუნარიანობის სრულყოფილად აღდგენა, რათა გაიზარდოს ვაგონების ხანგამძლეობა და საბოლოო შედეგში მათი საიმედოობა. ამ უკანასკნელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელობას წარმოადგენს ვაგონსარემონტო საწარმოები აღიჭურვნენ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების შედეგად შექმნილი მექანიზაციის, ავტომატიზაციის და რობოტიზაციის აღჭურვილობებით და დანადგარებით. აღნიშნული მოწყობილობანი გამოყენებულ უნდა იქნეს არამარტო მთლიანად ვაგონების რემონტი, არამედ მისი ცალკეული სხვადასხვა სირთულის კვანძების და დეტალების რემონტი. უკანასკნელ ხანებში უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა ვაგონსამშენებლო და ვაგონსარემონტო წარმოებებში ნაკადური წარმოება, კერძოდ ნაკადურ-კონვეიერული და კომპლექსურ-მექანიზირებული ავტომატური ხაზების დანერგვა. მათი მოწყობის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია თანამედროვე ვაგონსამშენებლო და ვაგონსარემონტო წარმოებები და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება. ამიტომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ვაგონსამშენებლო და ვაგონსარემონტო დაწესებულებები აღჭურვილი არიან ზემოხსენებული თანამედროვეობის პერსპექტიული და პროგრესული ავტომატური ხაზებით, რაც თავისთავად მეტყველებს საკვლევი ობიექტის აქტუალურობაზე, რომლის გადაჭრის საკითხებშიც დიდი წვლილი მიუძღვით სავაგონო დარგის ცნობად მეცნიერებს.

სავაგონო მეურნეობა, რომელიც არის სარკინიგზო ტრანსპორტის დამოუკიდებელი დარგი გადამწყვეტ როლს ასრულებს რკინიგზაზე გადაზიდვითი პროცესის სრულყოფაში, მისი უმნიშვნელოვანესი

ტექნიკური პარამეტრების გამტარ და გამზიდუნარიანობის ამაღლებაში. იგი აერთიანებს ვაგონების და მათი რემონტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. სავაგონო მეურნეობა, როგორც სარკინიგზო ტრანსპორტის დამოუკიდებელი საწარმოო ერთეული თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ახორციელებს ვაგონების გაუმართაობათა (უწესივრობათა) სრულად აღმოფხვრას და ვაგონების გამართულ მდგომარეობაში ყოფნას. სავაგონო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ასევე წარმოადგენს სატვირთო ვაგონების შეკეთებათაშორისი პერიოდების ოპტიმიზირება, ვაგონების მუშაობის ხანგრძლივობის ვადების გაზრდა, სარემონტო სამუშაოების ხარისხიანობის ამაღლება და სხვა. სავაგონო მეურნეობის გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მატარებელთა მოძრაობის უწყვეტობა და უსაფრთხოება, ტექნიკურად გამართული მოძრავი შემადგენლობებით გადაზიდვების დროული უზრუნველყოფა, სატრანსპორტო საშუალებათა რაციონალურად გამოყენების ეფექტიანობა.

სარკინიგზო ტრანსპორტის მიერ ტვირთგადაზიდვებზე დიდი მოთხოვნების ასათვისებლად აუცილებელია მუდმივად წარმოებდეს არამარტო მოძრავ შემადგენლობათა კონსტრუქციული სრულყოფა, არამედ მისი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მეთოდების სრულყოფაც.

სატვირთო ვაგონების მიმდინარე შენახვის სრულყოფის სისტემა განეკუთვნება რთულ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყდეს ორგანულ კავშირში ვაგონების კონსტრუქციების სრულყოფის და საიმედოობის ამაღლების საკითხებთან კომპლექსში იმისათვის, რომ მშენებლობაზე, ტექნიკურ მომსახურებისა და რემონტზე გაწეული მინიმალური დანახარჯებით შესრულდეს რკინიგზაზე დიდი მოცულობის ტვირთგადაზიდვები. სატვირთო ვაგონების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაცია მოიცავს მთელ რიგ დონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია შრომის პროცესების შესამებისკენ ვაგონსარემონტო წარმოების რემონტის ობიექტებთან, მასალებთან, სათადარიგო ნაწილებთან და მოწყობილობებთან სივრცესა და დროში იმ მიზნით, რომ უმოკლეს ვადებში იქნეს გადაწყვეტილი პრობლემები, ყველა საწარმოო რესურსის სრულყოფილად გამოყენებით.

ვაგონების ტექნიკური მომსახურება და რემონტი მოიცავს საწარმოო პროცესის ყველა სტადიებს და იგი ატარებს სისტემურ ხასიათს. სისტემური მიღვომა თავისთავად გულისხმობს კომპლექსურ მიღვომას პროცესებთან თანამდევ ეკონომიკურ გამოვლინებებთან ერთად და იგი მიიჩნევა ერთ მთლიან საკვლევ ობიექტად. საკვლევ ობიექტში ვაგონსარემონტო საწარმოში მომუშავეთა შტატის სწორად განსაზღვრა და დანაწილება, რითაც საკვლევი ობიექტი მთლიანობაში გახდება უფრო კომპლექსური და მობილური. ყველა რესურსთან ერთად საწარმოს მმართველობის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ძირითადი და დამხმარე საწარმოო უბნების მომუშავეთა შტატის რაოდენობრივი ოპტიმიზირება ნაკადური წარმოების პროცესში ასევე ითვლება აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს.

ამგვარი მიღვომით პრაქტიკულად გაითვალისწინება სისტემის სრული ობიექტური სირთულე, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ, მათი ჩატარება პრაქტიკულად დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების დიდ რაოდენობასთან. სისტემის ნებისმიერ იერარქიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებისას მთავარ კრიტერიუმად ყოველთვის უნდა ჩაითვალოს მაქსიმალური ეფექტი მთლიანად სისტემისათვის ერთიანად და არა მისი ცალკე აღებული რომელიმე ნაწილისა, რაც ერთობ მნიშვნელოვანია და აქტუალურია საკითხის სისტემური მიღვომის დროს. ხარჯების მინიმიზაცია, რომელიც დაკავშირებულია გადაზიდვებთან და რომელიც ხორციელდება ტექნიკურად გამართული მოძრავი შემადგენლობებით, შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით თუ გადაზიდვით პროცესში გამოვიყენებოთ ვაგონებს, რომელთაც აქვთ ოპტიმალური საიმედოობები და რემონტის რაციონალური სისტემა. ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე სრული საფუძველი არსებობს იმისა, რომ სადისერტაციო ნაშრომში „სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდის მეთოდების გამოკვლევა და მათი სრულყოფა“ დასმული ამოცანა თავისი მნიშვნელობით აქტუალურია.

ამგვარად, სავაგონო მუნიციპალიტეტისა, რა ვაგონების მომსახურებისა და რემონტის თანამედროვე ტექნიკურ ბაზას იძენს მყარ ინდუსტრიულ საფუძველს სავაგონო პარკის მუშაუნარიანობის

მადალი დონის უზრუნველსაყოფად. ექსპლუატაციის თანამედროვე და პერსპექტიულ პირობებში, როდესაც საქართველოს რკინიგზა თავისი სრული ინფრასტრუქტურით მიუახლოვდება ევროპის დონის რკინიგზებს და მასზე როგორც ევროპა-აზიის მთავარი სატრანზიტო არტერიის უმნიშვნელოვანებს დამაკავშირებელ რგოლზე, შესაძლებელი გახდება მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეებისა და მასების გაზრდა, სადაც ასევე შესაძლებელი გახდება ყველასათვის სასურველი ჩქაროსნული სამგზავრო მოძრაობის განხორციელება თანამედროვე კომფორტული მატარებლებით.

სადისერტაციო ნაშრომი „სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდის მეთოდების სრულყოფა“ მიზანს წარმოადგენს ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოვახდინოთ სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს ძირითადი უბნის – ვაგონსაამწყობო უბნის სარემონტო პოზიციებზე ვაგონების განლაგების ოპტიმალურ-რაციონალური სქემის წარმოდგენა, სადაც მინიმალური იქნება ნამზადთა და მომუშავეთა ზედმეტი გადაადგილებანი და დროის დანაკარგები. შერჩეულ იქნეს თვით სავაგონო დეპოს კონსტრუქცია და ტიპი, ნაკადური და კომპლექსურ-მექანიზირებული ხაზების სარემონტო პოზიციებზე მექანიზაციის, ავტომატიზაციის და რობოტიზაციის მოწყობილობათა რაციონალური განლაგებით და მექანიზაციის დონის ამაღლებით ამაღლდეს ვაგონსაამწყობო უბნის სიმძლავრე, მოხდეს ოპერაციათა შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის მაქსიმალური სტაბილიზაცია, რაც თავისთავად იმოქმედებს მთლიანად სავაგონო დეპოს სიმძლავრის გაზრდაზე.

ასევე ნაშრომის მიზანია დასაბუთდეს რა შემთხვევაშია ეკონომიკურად გამართლებული იმ ტიპის მძლავრი სავაგონო დეპოს მოწყობა ან რევონსტრუქცია და რა ეფექტს მისცემს სარკინიგზო ტრანსპორტს მთლიანობაში.

დეპოს უმთავრესი უბნის-ვაგონსაამწყობო უბნის პარალელურად უნდა მოეწყოს და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვოს ავტომატიზირებული სარემონტო ხაზები განსაკუთრებით ურიკებ-წყვილთვლების სარემონტო უბანზე, გორგოლაჭსაკისრებიანი ბუქსების სარემონტო განყოფილებაში და ავტოგადაბმულობათა სარემონტო-

საკონტროლო პუნქტში. აღნიშნულ სარემონტო უბნებზე შესაბამისი ობიექტების რემონტის პროცესი უნდა განხორციელდეს, ასევე ოპერაციათა შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის დაცვით მხოლოდ მინიმალური დროის ცვლილებებით (5÷10%) და მოდიოდეს ვაგონების რემონტის ნაკადურ-კონვეირული ხაზის ტაქტოან სინქრონიზაციაში, თუმცა ძირითადი ტაქტის შენარჩუნების მიზნით პრევენციულ ზომად გათვალისწინებულ უნდა იქნეს წინასწარ გარემონტებული ან ახალი კვანძების მარაგი, რითაც აქტუალური ხდება ვაგონის კვანძების აგრეგატული შეცვლის მეთოდი. რაც შეეხება ვაგონიდან მოხსნილ კვანძებს ისინი გარემონტდებიან შემდგომში და მოგვიანებით ხელახლა ჩაერთვებიან რემონტის პროცესში.

აღნიშნული საკვლევი აქტუალური პრობლემის დრმა ანალიზისათვის განხილულ იქნება სარკინიგზო დარგში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინება სატვირთო ვაგონების სარემონტო ორგანიზაციებში მომდინარე რემონტის მეთოდების შესახებ. შესაბამისად უნდა დადგინდეს ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული პრაქტიკული გამოყენების სფეროები და დასაბუთდეს კვლევის შედეგების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობები, ასევე დასაბუთებულ იქნეს მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა, შეიქმნას კვლევის შედეგების ეკონომიკურად დასაბუთების მათემატიკური მოდელი და წარმოდგენილ იქნეს ზოგიერთი სახის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს ამაღლდეს სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრე და შესრულებულმა სამუშაომ შეიძინოს მეტი პრაქტიკული ლირებულება იმ თვალსაზრისით, რომ სავაგონო დეპოს ახალი სქემით შემოთავაზებული ვარიანტი განსაკუთრებით მიზანშეწონილია ისეთი ქვეყნებისათვის (მათ შორის საქართველო), სადაც არ არის დიდი მოცულობის სატვირთო სავაგონო პარკი და საწარმო თავისი სიმძლავრით და პერსპექტიული მარაგით შეძლებს სრულად უზრუნველყოს სატვირთო გადაზიდვების შეუფერხებელი დაქმაყოფილებისათვის აუცილებელი გამართულ მდგომარეობაში მყოფი ვაგონების საჭირო რაოდენობით მიწოდება, სადაც პრაქტიკულად უზრუნველყოფილ იქნება ნებისმიერი ტიპის სატვირთო ვაგონის (დახურული სატვირთო ვაგონი, ნახევარგაგონი,

ბაქანი, ცისტერნა, სპეციალიზირებული სატვირთო ვაგონები) მიწოდება გადასაზიდი ტვირთის სახეობის მიხედვით.

ამგვარად, მთლიანობაში ნაშრომში დასმული საკითხი ხასიათდება აქტუალურობით, გამოკვეთილია მისი მიზანი, მეცნიერული სიახლე და იდეის ცხოვრებაში განხორციელებას შემთხვევაში მისი პრაქტიკული ღირებულება, რომელიც საბუთდება ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებებით.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიოს მასშტაბით რკინიგზაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინსვლამ მთელ რიგ არნახულ შედეგებს მიაღწია, ვინაიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არამარტო ახალი სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობების წარმოებას, არამედ მათი რემონტის საკითხებსაც, რასაც მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა სხვადასხვა ტიპის გაგონების შეკეთებათაშორისი პერიოდების ოპტიმიზაციას, გაგონების კონსტრუქციების სამეცნიერო სამსახურის ვადის გახანგრძლივებას, სარემონტო სამუშაოების ხარისხის გაზრდის, წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვას და ამჟამად არსებული ფორმების სრულყოფას, გაგონსარემონტო დაწესებულების არამარტო ძირითად, არამედ დამხმარე უბნებზეც მექანიზაციას, ავტომატიზაციის და რობოტიზაციის მოწყობილობათა განლაგებას და რაც მთავარია გაგონების რემონტის ნაკადურ-კონვეიერული, ავტომატური და კომპლექსურ-მექანიზირებული ხაზების დანერგვას.

გაგონების წარმოების, რემონტის და ტექნიკური მომსახურების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან: ლ.ა. შადური, ვ.ი. გრიდიუშკო, ვ.პ. ბუბაევი, ნ.ზ. კრიკორუჩკო, ვ.გ. კოლომიიჩნენკო, ა.გ. ნოუენიკოვი, ი.ს. პოდშიგალოვი, ლ.ი. სიდორენკო, ი.ფ. სკიბა, ვ.ა. ექიკოვი, ი.გ. როინიშვილი, პ.ა. ბაქრაძე, ვ.ს. გერასიმოვი, პ.ა. უსტიჩი, ბ.ს. აკიმოვი, ი.ო. ფაიერშტეინი, ბ.მ. კერნიჩი, ლ.ვ. ტერეშკინი, კ.ვ. მოტოვილოვი, კ.ნ. ვინოვი, ვ.ი. ბეზცენნი, ვ.ი. ვინოპუროვი, ვ.ა. პერტოვი, მ.ბ. სახაროვი, ვ.ი. ტუროვცევი, ვ.დ. ალექსეევი, გ.პ. სოროკინი, ნ.ი. ფილკოვი, ე.ლ. დუბინსკი, მ.მ. მაიზელი, ი.ბ. სტერლინი, დ.ი. პერელმანი, ი.ა. ნორგინი, ს.ა. არუსტამიანი, ა.ა. ამელინა, ვ.ს. ლუკაშევი, ვ.თ. კრიკორუდჩენკო, ა.ა. პეტროვი, მ.დ. მექერსკი. გ.გ. სოკოლოვი, ვ.ნ. კოტურანოვი, ლ.ნ. ნიკოლსკი, ე.ნ. ნიკოლსკი, ვ.ზ. ვლასოვი, ვ.ვ. ლუკინი, ვ.დ. ხურიდოვი, ა.ა. ლვოვი, ა.ა. ხოსლოვი, პ.ს. ანისიმოვი, პ.ი. ტრავინი, ფ.პ. კაზანცევი, ი.პ. მატროსოვი, ვ.მ. კაზარინოვი, ი.ნ. ნოვიკოვი და სხვები.

მეცნიერთა კვლევების პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ

სავაგონო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ერთეულების სავაგონო დეპოების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საწარმოებში დასაქმებულმა საინჟინრო ტექნიკურმა და შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

განსაკუთრებული ყურადღების დირსია მაღალორგანიზებული და და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი შემდეგი სავაგონო დეპოები: დასავლეთ ციმბირის გზის სავაგონო დეპო მოსკოვკა, დონეცკის გზის კრასნოარმეისკი, სამხრეთ ურალის გზის მაგნიტოგორსკი, მოსკოვის გზის – საკვანძო და ორიოდი და სხვა სარემონტო ორგანიზაციები, რომლებიც განიხილებიან, როგორც საბაზო დაწესებულებანი, რათა მათი გამოცდილებანი გამოყენებულ იქნეს ახალი სავაგონო დეპოების ასაშენებლად ან არსებულის რეკონსტრუირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი შემოქმედებითი მუშაობა იქნა ჩატარებული სავაგონო მეურნეობის მთელი რიგი ორგანიზებული დაწესებულებების ინჟინერ-ტექნიკური მოსამსახურების მიერ, რომლებიც ვაგონებს ემსახურებიან გადაზიდვებისათვის მოსამზადებელ პუნქტებში, ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტებში, ვაგონების საკონტროლო-ტექნიკური მომსახურების პუნქტებში, ავტომუხრუჭების საკონტროლო პუნქტებში, გამრეცხ-გამორთქლ დაწესებულებებში და სხვა. მათ მიერ შემუშავებულ იქნა ვაგონების მიმდინარე ახსნითი და აუხსნელი შეკეთების, დასატვირთად მოსამზადებელი სამუშაოების, ქსელური გრაფიკების დამუშავების, ცისტერნების ჩასხმისათვის დამუშავების და სხვა მრავალი საკითხების დახვეწის ტექნოლოგიები, რომლებიც პრინციპულად ახდენენ არსებული მეთოდების ოპტიმიზებას.

სავაგონო მეურნეობის უმნიშვნელოვანები ამოცანების ფორმულირებისათვის აუცილებელია კრიტიკული მიდგომა სატვირთო ვაგონების რემონტის არსებული სისტემისადმი, რისთვისაც საჭიროა სატვირთო ვაგონის, როგორც ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ობიექტის კონსრუქციული ანალიზი, რაც თავის მხრივ მოითხოვს წარმოდგენილ იქნეს რემონტის ეტალონური სისტემის ნიშნები და სატვირთო ვაგონების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სისტემის პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა და მისი დასაბუთება, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს მოხდეს ინფორმაციული

უზრუნველყოფა, მთლიანობაში კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიჩნეულ უნდა იქნეს ვაგონების გეგმიური რემონტის ოპტიმიზირება, რომელიც ეხება, როგორც სადეპო ასევე საქართვო რემონტებს, რომლებშიც უვალეთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სატვირთო ვაგონების ტექნიკური მომსახურების და რემონტის ახალი სისტემები და ტიპიური ტექნოლოგიური პროცესები [1], [2], [3], [4], [5], [6], [7], [8].

ვაგონების რემონტის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შეუნარჩუნებდეს მას საიმედოობის ის რესურსი, რასაც ითვალისწინებს მისი დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესი. ამიტომ ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანების ფაქტორად მიჩნეულია მათი საიმედოობა. ვაგონები და მისი ელემენტები მიეკუთვნებიან სერიული ან მასიური წარმოების ნამზადებს, რომლებიც მთლიანობაში გაანგარიშებულია ექსპლუატაციის რეგლამენტირებული პირობებისათვის, თუმცა თითოეული მათგანის მუშაობის დროს პირველ მტყუნებამდე ან მტყუნებებს შორის აღმოჩნდება სხვადასხვა. ყოველივე აღნიშნული მეტყველებს სხვადასხვა ტიპის ვაგონების სიმტკიცის თვისებების არაერთგვაროვნებაზე და მათ არათანაბარ დატვირთვებზე. მეცნიერება საიმედოობის შესახებ მიზნად ისახავს დადგინდეს ნამზადთა მუშაობის პროცესში მტყუნებათა გამოვლინებების სტატისტიკური კანონზომიერებები და მეცნიერულად დასაბუთდეს ნამზადის მაღალი საიმედოობის უზრუნველყოფის საერთო პრინციპები. საიმედოობის ძირითადი მათემატიკური აპარატი ეყრდნობა ალბათობის თეორიას. ვაგონმშენებლობა და სავაგონო მეურნეობა მიეკუთვნება წარმოების ისეთ სფეროს, სადაც დიდი რაოდენობით არის გამოყენებული მეტალი, მაგალითად 100 თანამედროვე სატვირთო ვაგონის მშენებლობაზე იხარჯება დაახლოებით 2500 ტ მეტალი. შეიქმნება რა ვაგონი და ხორციელდება მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი, დარგის სპეციალისტები გამოყოფენ ვაგონების მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცისა და საიმედოობის პრობლემას. ეს პრობლემა უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების საფუძველს და ამავე დროს იგი წყვეტავს სავაგონო პარკის ტექნიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს, ვინაიდან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ვაგონის ტარის მასასთან. წყვილთვლის დერმზე შეზღუდული დატვირთვებისას

ტარის მასა უარყოფით გავლენას ახდენს რკინიგზების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ვაგონის ტარის მასის შემცირდა ყოველთვის იზიდავს სავაგონო დარგის მეცნიერებს და ინჟინრებს, მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრისას აუცილებელია გადაწყდეს საპირისპირო ამოცანები, კერძოდ, მზიდი კვანძების მასის შემცირება უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იყოს მისი საიმედო მუშაობა ექსპლუატაციის გართულებულ პირობებში, რაც თავისთავად ზღუდავს მეტალის მოცულობის შეუზღუდავ შემცირებაზე ძირითად მზიდ ელემენტებში, ამიტომ ვაგონის წარმატებული კონსტრუქციის შექმნა ითვალისწინებს მისი ტარის, მოთხოვნილი სიმტკიცის და საიმედოობის ურთიერთშეთანხმებულობას. ვაგონების შექმნის ხანგრძლივმა გამოცდილებამ განსაზღვრა მისი მზიდი ელემენტების გაანგარიშებისადმი მთელი რიგი მიღების მიღები, თუმცა ამ მიღების საფუძველში ძევს დრეკადი ელემენტების გაანგარიშების პრინციპები, რომლებიც ტრანსფორმირებულია სავაგონო კონსტრუქციების თავისებურებათა გათვალისწინებულია, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება თავმოყრილი უნდა იყოს დრეკადობის თეორიის იმ სამშენებლო მექანიკის და მასალათაგამძლეობის იმ დებულებებზე, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება პრაქტიკულ დანართებში, რაც შეისწავლის ვაგონების მზიდი კვანძების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობებს.

ამრიგად, ვაგონების საიმედოობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია: განისაზღვროს ვაგონების კონსტრუქციებში გამოყენებული დრეკადი ელემენტების დეფორმაციის პოტენციური ენერგია; მოხდეს ვაგონმშენებლობაში გამოყენებული იმ დეროვანი სისტემების გაანგარიშება, რომლებიც გამოიყენებიან დატვირთვის სტატიკური რეჟიმებისას; ჩამოყალიბდეს ვაგონების დეროვანი სისტემების გაანგარიშების საფუძვლები დინამიკური დატვირთვების დროს; შედგეს დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანის განტოლება ვაგონების ძარების პანელების გაანგარიშებისას, შედგეს ვაგონების კონსტრუქციებში გამოყენებული ფირფიტების ღუნვის განტოლება და განისაზღვროს მისი გადაწყვეტის მეთოდები, რისთვისაც აუცილებელია მცნებები ფირფიტების მდგრადობისა და რხევების შესახებ; შედგეს ცილინდრული გარსების განტოლება, რომლებიც გამოიყენება ვაგონების კონსტრუქციების

გაანგარიშებებში და მოხდეს ვაგონების გაანგარიშებისათვის დამახასიათებელი ამოცანების განტოლებათა ამოხსნა [9], [10], [11].

მსხვილ და სპეციალიზირებულ დაწესებულებებში პროდუქციის წარმოების თავმოყრის პროცესს აქვს დიდი მნიშვნელობა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად. ისინი შეიცავენ მთელ რიგ უპირატესობებს პროდუქციის წარმოებაში საშუალო და წვრილსერიულ წარმოებებში შედარებით, ასევე წარმოებებზე, რომელთაც აქვთ გამოსაშვები პროდუქციის ფართო ნომენკლატურა. ამ უპირატესობაში იგულისხმება: – მაღალმწარმოებლური მოწყობილობების ფართო გამოყენება, პროგრესული ტექნოლოგია და წარმოებისა და შრომის შიდასაქარხნო ორგანიზაციის მოწინავე ფორმები: წარმოებაში სპეციალური ლაბორატორიების საკონსტრუქტორო ბიუროს და სხვა აუცილებელი განყოფილებების მოწყობა; შრომის ნაყოფიერების ზრდის მიღწევა; გამოსაშვები პროდუქციის თვითდირებულების შემცირება და უბნის საწარმოო სამეურნეო მოდვაწეობის რენტაბელობის ამაღლება [12].

სარემონტო წარმოების კოორდინაცია სარკინიგზო ტრანსპორტის დარგებში უკვე განხორციელებულია საკმარის დონეზე, მისადმი და თვით სარემონტო საქმისადმი კომპლექსურ-მეცნიერული მიდგომა წარმოადგენს აუცილებლობას. რემონტის შინაარსი და შემადგენლობა დარგობრივ სარკინიგზო მეურნეობებში დღევანდლამდე განისაზღვრება წარმოების ორგანიზაციის ერთმანეთთან ურთიერთდაუკავშირებელი მეთოდებით და ფორმებით, რაც უნდა ჩაითვალოს უარყოფით მოვლენად და მას ესაჭიროება ყურადღება [13].

საიმედოობის თეორიის საკითხები, რომლებიც ეხება სატვირთო ვაგონებს მოიცავს შეფასების გარკვეულ თავისებურებებს, როგორც მათი კონსტრუქციული საიმედოობისა და ხანგრძლივობის, ასევე ინფორმაციის შეკრების და მისი მოსაპოვებელი პოლიგონის შერჩევის თვალსაზრისით. შესაბამისად განიხილება ვაგონების მტყუნებების განაწილებათა თავისებურებანი მათი ცალკეული კვანძების გაუმართაობათა გამო, რისთვისაც შემუშავებულია სატვირთო ვაგონების საიმედოობის ნორმატივების განსაზღვრის მეთოდიკა. მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს შეკუმშვის პულსირებული ციკლების

პირობებში მომუშავე დეტალების ხანგრძლივობის შეფასების მეთოდიკა. მაგალითისათვის განიხილება ოთხდერძიანი ნახევარვაგონის ქუსლის სერიული და გაძლიერებული ვარიანტები. გაანგარიშებათა შედეგები შეპირისპირებულია საექსპლუატაციო და ექსპერიმენტულ მონაცემებთან. სატვირთო ვაგონების სავალი ნაწილების რესორულ ჩამოკიდებათა ზამბარები მუშაობენ მძიმე დინამიკური დატვირთვების ქვეშ, შესაბამისად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი ზამბარების ხანგამძლეობის კვლევის შედეგების წარმოჩენა და მათი ურთიერთშედარება. განიხილება დაღლილობითი დაზიანებების მქონე ზამბარების დაგროვების მექანიზმი, რომელიც დაკავშირებული დეტალების ციკლურ დატვირთვასთან ექსპლუატაციის პროცესში, ეფექტურ მეთოდად მიჩნეულია შუალედური ცივჭედვა საფანტჭავლური ცივჭედვით, რაც ამაღლებს ზამბარების ხანგამძლეობის რესურსს [14].

წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია ქმნის საიმედო საფუძველს დაინერგოს მექანიზაციის, ავტომატიზაციის და რობოტიზაციის თანამედროვე მოწყობილობანი სავაგონო დეპოებსა და ვაგონსარემონტო ქარხნებში. აღნიშნული ვაგონსარემონტო დაწესებულებების რენტაბელური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია წარმოებაში. დანერგილ იქნეს მანქანა-ავტომატები, ჩარხების ავტომატური მართვის სისტემები, ჩარხების დატვირთვის ავტომატიზაცია, დეტალების დამაგრებისათვის საჭირო საჩარხე მოწყობილობათა მექანიზაცია და ავტომატიზაცია. თანამედროვე წარმოების განუყოფელ ნაწილად მიჩნეულ უნდა იქნეს მოძრავ შემადგენლობათა რემონტის ავტომატური და კომპლექსურ-მექანიზირებული ხაზები, რისთვისაც აუცილებელია წინასწარ მოხდეს ავტომატური ხაზების დაპროექტება და მწარმოებლობის გაანგარიშება, გათვლილ იქნეს კომპლექსურ-მექანიზირებული ხაზების ძირითადი პარამეტრები, ზემოხსენებული ხაზების რაციონალური განლაგებით და გამოყენებით შესაძლებელია სატვირთო ვაგონების ვაგონსარემონტო დეპოებსა და ქარხნებში მოხდეს მთელი რიგი ისეთი სარემონტო სამუშაოების

კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, როგორებსაც განეკუთვნებიან: სატვირთო ვაგონების შეღებვა და გაშრობა; ვაგონებისა და მისი კვანძების გარეგანი გარეცხვა; სატვირთო ვაგონების ძარებზე შესასრულებელი სარემონტო-გამასწორებელი სამუშაოები; მთლიანად ურიკების და მასში შემავალი ცალკეული კვანძების (ბუქსები და საკისრები) სარემონტო და დასაკომპლექტებელი სამუშაოები; ავტოგადაბმულობის რემონტის პროცესი; ბერკეტული სამუხრუჭე გადაცემის რემონტი და სხვა. სატვირთო ვაგონებზე შესასრულებელ სამუშაოთა მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს საშემდუღებლო სამუშაოები, ამიტომ საშემდუღებლო სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ასევე მექანიკურ სამუშაოთა კონტროლის და მთლიანად მოძრავი შემადგენლობის კონტროლის ავტომატიზაცია იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მთლიანობაში კი წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა თანამედროვე ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით ვაგონსარემონტო საწარმოებში [15].

სატვირთო ვაგონების საიმედოობისა და ტექნიკური მდგომარეობის შეფასების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა შორის აუცილებელია აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ როლს თამაშობს გაუმართაობათა წარმოქმნის ნაკადის კოეფიციენტი. ექსპლუატაციის პროცესში სატვირთო ვაგონების საიმედოობის შეფასება საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს საჭირო ინფორმაცია, რომელიც შემდგომში გათვალისწინებულ იქნება ახლად მშენებარე ვაგონების კონსტრუქციების საიმედოობაში. საიმედოობის ოპტიმალური მნიშვნელობის განსაზღვრა შესაძლებელია გრაფოანალიტიკური მეთოდით, სადაც ასახულია სატვირთო ვაგონების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე მოსული დანახარჯები, დანახარჯები სატვირთო ვაგონების აშენებაზე და ჯამური დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დამოკიდებული ვაგონის საიმედოობაზე. სატვირთო ვაგონის საიმედოობა განიხილება, როგორც ფუნქციონალური დამოკიდებულება დანახარჯების სიდიდესა და მის დამზადებაზე, ხოლო საექსპლუატაციო დანახარჯები კი დამოკიდებულია ვაგონის უმტყუნებო მუშაობის აღბათობაზე. ჩატარებული ანალიზი აჩვენებს,

რომ შეიძლება დადგინდეს დეტალის ან კვანძის ოპტიმალური საიმედოობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი გამოყენების უდიდეს ეფექტს. იმ შემთხვევაში თუ კვანძების და დეტალების საიმედოობა უზრუნველყოფს ვაგონების უმტყუნო მუშაობას უფრო მეტი ხანგრძლივობის პერიოდით, ვიდრე შეკეთებათაშორის პერიოდია. მაშინ იქმნება საშუალება გაიზარდოს სატვირთო ვაგონების შეკეთებათაშორისი ვადები [16].

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა პრაქტიკულად გადაუდებელ ამოცანად აქცია სავაგონო დარგში, როგორც მშენებლობის, ასევე შეკეთების პროცესში, არა მხოლოდ მთლიანად ვაგონების, არამედ მათი ცალკეული კვანძების შეკეთებაშიც ნაკადური მეთოდების გამოყენება, რომლის დამახასიათებელია ტექნოლოგიური პროცესის დანაწევრება ცალკეულ ოპერაციებად, როდესაც პოზიციები განლაგებულია თანმიმდევრულად, ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად. ტექნოლოგიური პროცესის დანაწევრება და სამუშაო ადგილების სპეციალიზაცია, ოპერაციების მცირე რაოდენობისას საშუალებას იძლევა ფართოდ იქნეს გამოყენებული ტექნოლოგიური აღჭურვილობანი და დაინერგოს სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ნაკადური ხაზის პოზიციაზე. მთლიანად ვაგონების და მათი ცალკეული კვანძების შეკეთების საწარმოო პროცესი ნაკადზე ორგანიზდება წარმოების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად: პროპორციულად, პირდაპირდინებით, უწყვეტად და რიტმულად. იმისათვის, რომ ნაკადური ხაზის მუშაობა იყოს მდგრადი და ეფექტური, აუცილებელია ვიწრო სპეციალიზაცია. სამუშაოთა საკმარისად დიდი პროგრამა, ნაკადური ხაზის პოზიციებზე კომპლექსური მექანიზაციის გამოყენება, ოპერაციათა შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის უზრუნველყოფა. ნაკადურ-კონვეიერული ხაზის მდგრადი მუშაობისათვის ვაგონსარემონტო წარმოებაში ოპერაციათა შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის უზრუნველყოფა ითვლება ძირითად პრინციპად. ამ ცნების ქვეშ მოიაზრება მეთოდები, რომელთა დახმარებითაც უზრუნველყოფილია პოზიციებზე შესასრულებელი ტექნოლოგიური ოპერაციების ხანგრძლივობის თანაბრობა. სატვირთო ვაგონების სარემონტო მძლავრი სავაგონო დეპოების ვაგონსაამწყობო

უბნები უმჯობესია მოეწყოს გამჭოლი ტიპის, ვიდრე ჩიხობრივი, ამ შემთხვევაში შესაკეთებელი ვაგონების მიწოდება ნაკადურ ხაზზე ხორციელდება ერთი მხრიდან, ხოლო შეკეთებულების გამოსვლა იგივე ნაკადური ხაზებიდან ხდება მეორე მხრიდან (გამჭოლად) შესაბამისად უფრო იოლდება ოპერაციათა შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის უზრუნველყოფა და ნაკლებია ტაქტის ცდომილება [17].

სატვირთო ვაგონების შემკეთებელ დეპოში ხელით შრომის წილის შემცირება ან მისი მექანიზაციის დონის ამაღლება ზრდის საწარმოო უბნების ნაკადური და ნაკადურ-კონვეირული ხაზების მწარმოებლურობას. დეპოს ვაგონსამწყობო უბანზე შრომის მექანიზაციის საშუალო დონის მწარმოებლურობაზე გავლენის ანალიზისათვის განხილულია ნახევარვაგონების სარემონტო დეპოს მწარმოებლურობის და მექანიზაციის დონის შესახებ საინფორმაციო მონაცემები. დადგენილია კავშირი ფაქტიურ მწარმოებლობასა და შრომის მექანიზაციის საშუალო დონეს შორის. ამის საფუძველზე განხილულია სავაგონო დეპოს ვაგონსამწყობო უბნის ფაქტიური საწარმოო სომძლავრე. დეპოს მწარმოებლურობის განსაზღვრის შემდეგ განისაზღვრება ფაქტიური საწაემოო სიმძლავრე. კავშირის ფორმულის დასადგენად გამოყენებულია კორელაციური და დისპერსიული ანალიზი და მიღებულია რეგრესიული განტოლება. მიღებული ფორმულა საშუალებას ეძლევა გაანალიზდეს შრომის მექანიზაციის დონის გავლენა სავაგონო დეპოს მწარმოებლურობაზე და შეფასდეს მისი შესაძლებლობანი მიღებული მაჩვენებლების ზრდის შემთხვევაში. მექანიზაციის დონის ამაღლებით ვაგონსარემონტო საწარმოში ნაკადურ-კონვეირული ხაზების გამოყენებისას ვაგონსამწყობო უბანზე პირდაპირპორციულად აისახება შრომის მექანიზაციის ამაღლებასთან ვაგონსამწყობო უბანზე, რაც გამოისახება გრაფიკულად. მიღებული დამოკიდებულებებით განისაზღვრება ნახევარვაგონების სარემონტო დეპოს მწარმოებლურობა შრომის მექანიზაციის დონის ამაღლებისას სატვირთო სავაგონო დეპოს ძირითად საწარმოო უბანზე – ვაგონსამწყობო უბანზე ნაკადურ-კონვეირული მეთოდის გამოყენებით და სარემონტო პოზიციებზე შესალებლობის ფარგლებში მექანიზაციის მოწყობილობათა გამოყენებით [18].

ვაგონების რემონტში გადაცემისას თავდაპირველად ოპერაციებს წარმოადგენენ დადგინდეს მისი შემადგენელი კვანძებისა და დაზიანებების სახეები. შესაბამისად განიხილება სატვირთო ვაგონების რემონტის სახეები და ვადები, სადაც განსაკუთრებით აქტუალურია მათი ოპტიმიზირება მუშაობის ხანგრძლივობის ან ვაგონების გარბენების მიხედვით.

ვაგონების რემონტში ყოფნის დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოცდენის ხანგრძლივობებს, ასევე სატვირთო ვაგონების მიმღინარე შეგვთებისას. ვაგონების დაზიანებული კვანძების ან დეტალების აღდგენაში ერთ-ერთი ძირითადი წილი მოდის საშემდუღებლო სამუშაოებზე, რისთვისაც აუცილებელია განისაზღვროს შედუღებით ან დადუღებით აღდგენის სახე, სწორად შეირჩეს შედუღებაში გამოყენებული მავთულები, ელექტროდენი და შედუღების რეჟიმები. საშემდუღებლო სამუშაოების წარმოებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესის ავტომატიზაცია. ვაგონების რემონტისათვის მომზადების პროცესი წარმოადგენს პირველ საფეხურს, ვიდრე იგი აღმოჩნდება სარემონტო პოზიციებზე, სადაც ოპერაციათა სწრაფად და ხარისხიანად შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარემონტო სამუშაოებს, მექანიზაციის პროცესს შესაბამისად, საწარმო პროცესის მექანიზირებისა და ავტომატიზირებისათვის აუცილებელი მოთხოვნად ითვლება მოხდეს მოწინავე სატვირთო სავაგონო დეპოებში მიმღინარე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესების საფუძვლიანი ანალიზი, რა რაციონალური წინადადებები და გამოცდილებანი არის დახერგილი ამ წარმოებებში. ნებისმიერი თანამედროვე პერიოდის ან პერსპექტივაში ასაშენებელი სავაგონო დეპოს აუცილებელი ატრიბუტია ნაკადურ-კონვეირული და კომპლექსური მექანიზირებული ხაზების გამოყენება, როგორც მთლიანად ვაგონების, ასევე მისი შემადგენელი ძირითადი კვანძების: სავალი ნაწილების და მისი კვანძების (წყვილთვლები, ბუქსები, რესორული ჩამოკიდებები), ვაგონის ძარის, ჩარჩოს, ავტოგადასაბმელი მოწყობილობების, სამუხრუჭო მოწყობილობების და სხვა მნიშვნელოვანი კვანძების რემონტის დროს. შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა ხარისხიანობის თვალსაზრისით აუცილებელია შესაბამის წარმოებებში მოწყობილ იყოს კონტროლის

საშუალებანი, რომელიც მოიცავს მაგნიტურ და ულტრაბგერით დეფექტოსკოპირებებს და ასევე გამოსაცდელი ხელსაწყოები, სადაც ძირითად მოთხოვნად რჩება კვანძებისა და დეტალების რესურსის შემოწმება იმ მიზნით, რომ მათ იმუშაონ საიმედოდ და უმტყუნებოდ დადგენილი ვადის განმავლობაში, შედეგად იგი აისახება მთლიანად სატგირთო ვაგონის მუშაობისუნარიანობაზე, ხანგრძლივობაზე და საიმედოობაზე [19].

სარკინიგზო გამწევი მოძრავი შემადგენლობაში, კერძოდ, ელექტრომავლები და თბომავლები წარმოადგენენ ურთულესი მოწყობილობებისა, კვანძებისა და დეტალებისაგან შემდგარ რკინიგზის ცვალებად საშუალებებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მატარებელთა გადაადგილდება სარელსო გზაზე. ამ მოძრავ შემადგენლობათა რემონტის პროცესი ისევე, როგორც ვაგონების თანამედროვე რეგონსტრუირებულ ან ახლად აშენებულ სალოკომოტივო დეპოებში ხორციელდება ნაკადურ ხაზებზე. განიხილება ისეთი სავაგონო დეპოს გამოცდილებანი, სადაც ნაკადურ ხაზებზე შეკეთდებიან ელექტრომავლები, თბომავლები და ელექტრომატარებლები. ამ თვალსაზრისით განიხილება აღნიშნულ მოძრავ შემადგენლობათა ტექნიკური მომსახურებანი ნაკადურ ხაზებზე. ლოკომოტივების რემონტის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ჯამურად ყველაზე შრომატევადია პირველი და მეორე მოცულობის მომდინარე შეკეთებები (მშ-1, მშ-2) და მესამე მოცულობის ტექნიკური მომსახურება ტმ-3, რომელთა წილზეც მოდის შრომითი დანახარჯების თითქმის 85%, ვინაიდან ისინი რაოდენობრივად მეტია, ვიდრე მესამე მოცულობის მიმდინარე შეკეთებები მშ-3. ამიტომ არსებითად ამ სახის შეკეთებათა მექანიზაციამ შესაძლებელია მოგვცეს დიდი ეკონომიკური ეფექტი. გამოცდილებანი ასაბუთებენ, რომ განვითარებულ სალოკომოტივო დეპოებში დანერგილი 1300-ზე მეტი. ნაკადური ხაზი და 1400-ზე მეტი მექანიზირებული სამუშაო ადგილები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი 2E3 116, 2E310B თბომავლების და VL60<sup>k</sup>, VL80<sup>k</sup>, VL10 და VL82 ელექტრომავლების უყბო კონსტრუქციის ბუქსების მქონე ურიკების ტიპიურ ნაკადურ ხაზს, კერძოდ ყურადღება ეთმობა სხვადასხვა გზებზე მოწყობილი სალოკომოტივო დეპოების

გამოცდილებებს ამ კვანძების რემონტის მიმართულებით. ასევე განიხილება „თვალი-მოტორი“ ბლოკის რემონტის საკითხები, რომლის დროსაც შესასრულებელ ოპერაციათა ნაწილი (დამლის და აწყობის სამუშაოები) ხორციელდება სპეციალურ სტენდებზე, ხოლო ნაწილი მაგალითად მოტორ-ლერძული საკისრებიანი ბუქსების რემონტისა კი ნაკადურ ხაზზე. დეტალურად განიხილება ელექტრომავლების წყვილთვლების და ბუქსების შემკეთებელი ნაკადური ხაზები, თბომავლების და ელექტრომატარებლების უყბო ბუქსებიანი ურიკების სარემონტო ნაკადური ხაზები T33, 2T310L თბომავლების და VL8, VL23 მოდელის ელექტრომავლების წყვილთვლებს სარემონტო ნაკადური ხაზები, ნაკადური ხაზი გორგოლაჭიანი საკისრების, წევის გადაცემების რედუქტორების და გარსაცმების, წევის ელექტროძრავების და სადიზელე მოწყობილობათა სარემონტო ნაკადური ხაზები [20].

სატვირთო ვაგონების საიმედოობისა და რემონტის სრულყოფის საკითხებში განიხილება მთელი რიგი დონის მეცნიერული საკითხები, კერძოდ განიხილება: სატვირთო ვაგონების ტექნიკური მდგომარეობის დონის განსაზღვრა და კონკრეტული რეკომენდაციები მისი ამაღლებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ძველი ტიპის ვაგონების შეცვლას ახალი ვაგონების, საიმედოობის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევას, ვაგონების შენახვის უზრუნველყოფას, სარემონტო ბაზის განვითარებას, ვაგონების მუშა პარკის მოდერნიზაციას და ტექნიკური მომსახურების სრულყოფას.

ინფორმაციის შეკრების და გაანგარიშების მეთოდიკით შემოთავაზებულია კვლევების შედეგები, რომლებიც ახასიათებენ სარემონტო სამუშაოების მოცულობებს ნახევარვაგონებზე, დახურულ ვაგონებზე და ბაქნებზე მათი გადაზიდვებისათვის მომზადების დროს. მოყვანილია რიცხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების დროს, მექანიზაციის გარიანტების ურთიერთშედარებისას, სპეციალიზაციის განსაზღვრისას და ვაგონსარემონტო მანქანების აუცილებელ რაოდენობათა დადგენისას.

სავაგონო დეპოში ვაგონების რემონტის აუცილებელი კონტროლისათვის რეკომენდაციების სახით შემოთავაზებულია ხარისხის შესამოწმებელი გაანგარიშება და მეთოდიკა, რომელიც

საშუალებას იძლევა დადგინდეს ხარისხის ერთიანი მაჩვენებელი – დეფექტიურობის კოეფიციენტი და ასევე ე.წ. სტატისტიკური კალიბრი, რომლის ინტერვალებშიც სადეპოზიტო რემონტის ხარისხი ფასდება როგორც დასაშვები [21]:

მნიშვნელოვანია საილუსტრაციოდ წარმოდგენილი თვალსაჩინო მასალები, რომლებიც ეხება რუსეთის რკინიგზაზე სავაგონო მეურნეობის ორგანიზაციას, სადაც მოცემულია სავაგონო მეურნეობის საორგანიზაციო-ფუნქციონალური სტრუქტურები, სარემონტო და საექსპლუატაციო დეპოზიტის მართვის სტრუქტურები, თანამედროვე ქსელური ტექნიკური მომსახურების პუნქტის სასადგურე განვითარება და ძირითად მოწყობილობათა განლაგება მისი მიმღები და გამგზავნი პარკების და მათი ტექნიკური სინჯვის ქსელური პუნქტის მართვის ავტომატიზირებული სისტემა, ვაგონების საკონტროლო-ტექნიკური მომსახურების პუნქტის ტექნიკური აღჭურვის სქემა, ასევე სავაგონო მეურნეობის სახაზო დაწესებულებების სქემები. კერძოდ, რაც შეეხება სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოებს აქ წარმოდგენილია საექსპლუატაციო და სარემონტო სატვირთო სავაგონო დეპოების სტრუქტურები, სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს გენერალური გეგმის სქემა, სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს (ნახევარვაგონების) მთავარი საწარმოო კორპუსის სქემა და ასევე სატვირთო ვაგონების სპეციალიზირებული სარემონტო გზები, სატვირთო ვაგონების მიმდინარე შეკეთების მექანიზირებული პუნქტის სქემა [22].

ვაგონების რემონტის პროგრესული მეთოდების დანერგვის იდეის განხორციელება იწყება ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან, ვინაიდან ახალი, სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით უზრუნველყოფდა შრომის ნაყოფიერების და სამუშაოს ხარისხის ამაღლებას, შესაბამისად მცირდება გამოსაშვები პროდუქცია, დახარჯული შრომატევადობა და გამოშვების თვითღირებულება. სატვირთო ვაგონების შეკეთებისას მთავარ კონვეირებზე ყველა სამუშაოები სრულდება მოცემული რიტმით, ხოლო ვაგონების გადაადგილება ერთი საშემკეთებლო პოზიციიდან მეორეზე ხორციელდება ავტომატურად, სარემონტო და ამკრები ოპერაციები დანაწევრებულია მცირე ულემენტებად და

მოქმედებს შრომის ორგანიზაციის გაცილებით სრულყოფილი მეთოდი, ასევე ხორციელდება საწარმოო პროცესების მაქსიმალური მექანიზაცია, ვიდრე ეს შესაძლებელია განხორციელდეს სატვირთო ვაგონების სტაციონალური მეთოდით შეკეთების დროს. დეტალურად განიხილება კონვეირზე დახურული სატვირთო ვაგონების, ნახევარგაგონების და ცისტერნების, ასევე მათი სავალი ნაწილების და სხვადასხვა დეტალების რემონტის ორგანიზაცია და იმ პერიოდის პროგრესული ტექნოლოგიები [23].

სატვირთო მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ორგანიზაციული საკითხები მეტად აქტუალურია, რისთვისაც ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკაში გამოყენებული შეკეთების სახეობებზე და განხილულია მომსახურების ის მეთოდი, რომელიც უკეთესი შედეგის გარანტია იქნება. უპირატესად მიჩნეულია შეკეთებისა და მომსახურების შერეული სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედება ტექნოლოგიურობისა და ეკონომიურობის პრინციპი. მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის მართვის (კონტროლი), როგორც მრავალფაქტორიანი ამოცანის გადაწყვეტა მთლიანობაში იძლევა სატრანსპორტო სისტემის ეფექტურობის ამაღლების და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას. ამ მიმართულებით განიხილება ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის და ინფორმაციულ უზრუნველყოფის ზოგადი სქემები. ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგიური პროცესის შერჩევა დამოკიდებულია შეკეთების სისტემის სახეობაზე: გეგმიურ-მაფრთხილებელი, ტექნიკური მომსახურებით (შეკეთების აუცილებლობა და მოცულობა განისაზღვრება დიაგნოსტირების მონაცემებით), ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით (გარბენით) ან შერეული (გეგმიურ-მაფრთხილებელი შეკეთების ელემენტების დიაგნოსტირების მონაცემების მიხედვით) სარკინიგზო ტრანსპორტზე მომუშავე მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ყურადღებას უნდა იმსახურებდეს შეკეთების (მომსახურების) შერეული სისტემის გამოყენების საკითხი, რაც ნიშნავს რომ გეგმიურ-მაფრთხილებელი სისტემიდან თანდათან გადავიდეთ ტექნიკური მომსახურებით შეკეთების სისტემაზე ღონისძიებას წინ უნდა უსწრებდეს ტექნიკური დიაგნოსტირების საშუალებების რაც შეიძლება ფართოდ დანერგვა. ზოგადად ტექნიკური

მდგომარეობის მართვის შეფასებისათვის წარმოდგენილია საკონტროლო სქემა და ასევე ინფორმაციული უზრუნველყოფის ორგანიზაციისათვის მოცემულია ნორმატიული ინფორმაციის სქემა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის უწყვეტი კონტროლი აუცილებელია მისი მსახურების ვადის სრულ ამოწურვამდე. ამ მიზნით თითოეულ მოძრავ ერთეულზე (ვაგონზე) უნდა არსებობდეს ელექტრონული პასპორტი, რომელიც მოიცავს სრულ ნორმატიულ ინფორმაციას მის მიერ შესრულებული მუშაობისა და მასზე ჩატარებული ტექნიკური ხასიათის სამუშაოების შესახებ [23], [24].

სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულყოფილად აუცილებელია არსებითად ამაღლდეს ვაგონშემკეთებელი დაწესებულებების საწარმოო სიმძლავრე და მასთან ერთად გაუმჯობესდეს სავაგონო პარკის მუშაობის ტექნიკური მდგომარეობა და საიმედოობა. დაწესებულებებათა საწარმოო სიმძლავრის გაზრდის ყველაზე რეალურ და სწრაფ გზად ითვლება მისი ძირეული რეკონსტრუქცია, წარმოების ორგანიზაციაში მოწინავე მეთოდებისა და მექანიზაციის დანერგვა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და რობოტიზაცია. ვაგონშემკეთებელი დაწესებულებების რეკონსტრუქციის ყველაზე რაციონალური გზის განსაზღვრისათვის აუცილებელია შევასრულოთ საწარმოო უბნების პარამეტრების გაანგარიშება და ვაწარმოოთ მიღებული რეკონსტრუქციის ვარიანტის ტექნიკურ-კონსტრუქციის დასაბუთება. იმისათვის, რომ შევასრულოთ მსგავსი გაარგარიშებანი, აუცილებელია გავაანალიზოთ საწარმოო პროცესის ფაქტორთა დიდი რაოდენობის გავლენა, ამიტომ მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს ვაგონსაამწყობო უბნის პარამეტრების გაანგარიშების შერჩევის სწორი მეთოდიკა და ნაკადური წარმოების ძირითადი პარამეტრების დადგენის კრიტერიუმების სწორად განსაზღვრა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს წლიური ეკონომიკური დანახარჯები არამარტო რემონტზე, არამედ კომუნიკაციებზე და მათზე მოსულ სავარაუდო წლიურ ხარჯებზე, რისთვისაც სასურველია შემუშავებულ იქნეს ვაგონსაამწყობო უბნის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების ალგორითმის ბლოქ-სქემა [25].

ვაგონების რემონტის ორგანიზაციის ეფუქტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად ითვლება სისტემური მიღება, რისთვისაც განიხილება სატვირთო ვაგონების ოპტიმალური ხანგამძლეობის განსაზღვრის მეთოდები და მათვის შეკეთების პერიოდულობის დადგენა, რისთვისაც მოყვანილია ვაგონსარემონტი ბაზის შემდგომი განვითარების პრობლემების გადაწყვეტის მეთოდიკა. მისი სპეციალიზაცია და განლაგება, ვაგონსარემონტო დაწესებულებების მუშაობის ორგანიზაცია. მთავარ საკითხად განიხილება ვაგონების გამოყენების ეფუქტიანობის ამაღლება მათი საიმედოობის ამაღლების ხარჯზე ოპტიმალურობის დონეზე, ვაგონსარემონტო დაწესებულებებში მუშაობის რაციონალური ორგანიზაციის და მართვის ავტომატიზირებული სისტემის ფართოდ დანერგვა. ვაგონსარემონტო ბაზის, კერძოდ სავაგონო დეპოს და ვაგონშემკეთებელი ქარხნისათვის განისაზღვრება ჩამონათვალი და სამუშაოთა რაციონალური მოცულობა ვაგონების რემონტის დროს. მოცემულ იქნეს ვაგონების დეტალების აღდგენის მათი რემონტის ტექნოლოგიური პროცესების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ასევე ვაგონების რემონტის დროს სამუშაოთა ორგანიზაციის მეთოდის დასაბუთება და ამის შემდგომ სწორად იქნეს შერჩეული ვაგონსამწყობო უბანზე განლაგებული ხაზების ძირითადი პარამეტრები, კერძოდ შეკეთების რიტმი, ტაქტი, პოზიციათა რაოდენობა, ხაზის სიგრძე და ა.შ. [26].

მთლიანობაში სატვირთო ვაგონების და ასევე მათი კვანძებისა და დეტალების რემონტის ორგანიზაცია ავტომატიზირებულ და მექანიზირებულ ნაკადურ-კონვეიერულ ხაზებზე ითვლება ვაგონსარემონტო დაწესებულებებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად. სატვირთო სავაგონო დეპოებში ვაგონების რემონტის ნაკადური მეთოდის დროს მიიღწევა ყველა სარემონტო და დამხმარე სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი, სადაც მაღალმწარმოებლურად გამოიყენება სრულყოფილი მოწყობილობანი და აღჭურვილობანი. სამუშაოთა მაქსიმალური პარალელურობა და მათი შესრულების მკაცრი თანმიმდევრულობა; სარემონტო პოზიციების და შესასრულებელი განსაზღვრული ოპერაციების ზუსტი სპეციალიზაცია; შემსრულებელი

სამუშაო დროების საუკეთესო გამოყენება, რომელიც მკაცრ შესაბამისობაში უნდა იყოს შემსრულებელთა პვალიფიკაციასთან; ნაკადური ხაზის ყველა სარემონტო პოზიციებზე სამუშაოთა ერთდროული შესრულება; ვაგონების ნაწილების აუცილებელი მარაგის ქონა; კონვეირების და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება მთლიანად ვაგონების, ან მისი ცალკეული კვანძების და დეტალების გადასაადგილებლად. სამუშაოთა შესრულების სრული ტექნოლოგიური ციკლის დროს; ცალკეული სარემონტო ოპერაციების და მთლიანი ტექნოლოგიური პროცესის შესრულების რიტმულობის მკაცრი დაცვა; დეპოს საწარმოო უბნების და სარემონტო საშუალებების უფრო ეფექტიანი გამოყენება, სატვირთო ვაგონების ნაკადური მეთოდით რემონტის გამოცდილებანი განიხილება მოწინავე დეპოების მაგალითზე: კრასნოარმეისკი, კოველი, ბრიანსკი, ლიუბლინო, მოსკოვკა, პიატიხატკი, ლვოვ-კლეპაროვი, მაგნიტოგორსკი, ბელოვი და სხვა. მიღებული შედეგები ადასტურებს ნაკადურ-კონვეირული მეთოდით ვაგონების რემონტის ეფექტურობას, რაც ეპონომიკურად გამართლებულია [27].

სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მოწყობილობებით რუსეთის, ბელორუსის, ყაზახეთის, უკრაინის, ბალტიის ქვეყნების და ასევე კერძო კომპანიების სარემონტო დაწესებულებების აღჭურვაში უკანასკნელი ორი ათეული წლების განმავლობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დაწესებულება „ИРТРАНС“-ს, რომელთა მეშვეობითაც განხორციელებულია ვაგონ-სარემონტო უბნების აღჭურვა მსხვილი ტექნოლოგიური მოწყობილობებით და მექანიზირებული კომპლექსებით, ასევე მომარაგებულია დაწარმატებით გამოიყენება ათასობით ერთეული ცალკეული მანქანები და მოწყობილობები. შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სარკინიგზო ტექნიკის მომსახურებისა და რემონტის მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც დაფუძნებულია რესურსებისა და ენერგომატარებლების დაზოგაზე და ეკოლოგიური დატვირთვის შემცირებაზე საშუალებას იძლევიან ამაღლდეს რკინიგზების კონკურენტუნარიანობა სატრანსპორტო ბაზარზე. სატვირთო ვაგონების სარემონტო დაწესებულებებში რეკომენდირებულია დაინერგოს

შემდეგი მოწყობილობანი: წყვილთვლების დემონტაჟის მექანიზირებული კომპლექსი, საბუქსე კვანძებისა და წყვილთვლების გარეცხვით; წყვილთვლების გამრეცხი ავტომატიზირებული კომპლექსი მკპ-36; წყვილთვლების გამრეცხი უნივერსალური მანქანა მკპ(ლ)88; წყვილთვლების გამრეცხი მანქანა დერძის შუა ნაწილის გაწმენდით მკპ(ლ)80; ბუქსების კორპუსების და საკისრების გამოსაწნეხი და გამრეცხი ავტომატიზირებული უბანი; გორგოლაჭიანი საკისრების გასარეცხი და გასაშრობი მანქანა მცპი01; ბუქსების კორპუსების გამრეცხი მანქანა მკბ04; ბუქსების საკისრების გამოსაწნეხი მოწყობილობა უბპ05; მექანიზირებული ესტაკადა ჰმ46; წყვილთვლების ასაწევ-შემოსაბრუნებელი მოწყობილობა პპუ200 და პპუ 400; უნივერსალური ბუქსმომხსნელი ბc 19; ქანჩების ამოსახრახნი ქანჩმაბრუნი მ110გ032; მოძრავ შემადგენლობათა დეტალების და კვანძების გამრეცხი უნიველსარული მანქანები უმბ54 და უმბ60; საბუქსე დეტალების გამრეცხი მანქანა მв 06; ავტოგადაბმულობათა კორპუსების გამრეცხი მანქანა მკა65; წყვილთვლების მშრალად გასუფთავების მანქანა օკპ68; წყვილთვლების შუა ნაწილების დაშლასა და გასუფთავების მანქანა օკპ90; სატვირთო ვაგონების ურიკების გასარეცხი ტექნოლოგიური კომპლექსი მტ-40; წყვილთვლების მოსაბრუნებელი მოწყობილობა უმ90 და უპ180 და სხვა აღჭურვილობანი და მოწყობილობანი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვაგონების რემონტის ნაკადურ-კონვეირული მეთოდის შეუფერხებლად განხორციელებაში [28].

ადრე სატვირთო ვაგონების სავაგონო დეპოს მოღვაწეობა მთლიანობაში ფასდებოდა ცალკეული საამქროებისა და უბნების დანახარჯების ანალიზის გარეშე და ოუ დაწესებულებაში მთლიანობაში რესურსების ეკონომია და შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა, მაშინ ამავე დროისათვის ცალკე აღებულ საამქროში შეიძლებოდა დაშვებულიყო რესურსების გადახარჯვა შრომის ნაყოფიერების შესაბამისი შემცირებით. არ არსებობდა ასევე შემსრულებელთა პერსონალური პასუხისმგებლობა საწვავის ან ელექტროენერგიის გადახარჯვებზე. ახალი მეთოდი ითვალისწინებს თითეოული საამქროსა და უბნებისათვის ყველა დანახარჯების ცალკე დაგეგმვას. საწარმოო

უბნის ოსტატისათვის დგინდება საწარმოო პროგრამის დავალება. რემონტის სახეობის მიხედვით და ამ მოცულობის სამუშაოების შესასრულებელი გეგმიური ხარჯების მიხედვით. შედეგების შეჯამება ხორციელდება კვირის, თვის და კვარტლის მიხედვით. თუ გაითვალისწინება მასალებისა და ისეთი სათადარიგო ნაწილების ხელმეორედ გამოყენება, რომლებიც მოიხსენებიან ინვენტარიდან მოხსნილი სატვირთო ვაგონებიდან მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი მთლიანობაში სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოსათვის საკმაოდ სოლიდურია [29].

ვაგონების დეტალების და კვანძების გამართულობის ტექნოლოგიური აღრისხვის არსებული სისტემა წარმოებაში არ იძლევა სარემონტო სამუშაოების რაოდენობის, ხარისხის და ვადების ობიექტური შეფასების საშუალებას. ამის გამო იზრდება სამუშაო და შედეგად ფინანსური ხარჯები, ვინაიდან სამუშაოთა მოცულობა გამოითვლება გაშუალებული ნორმიდან გამომდინარე და არა იმ დეტალების რეალური რიცხვიდან, რომლებიც საჭუროებენ რემონტს. იმის გამო, რომ გამართული (შეკეთებული) კვანძების მონაცემთა ბაზის არქონის გამო აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად მოითხოვება ქაღალდების დიდი რაოდენოვა და იხარჯება დიდი დრო. შეკეთებული კვანძების ხარისხის მართვის ახალი სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა არამარტო ოპტიმიზრებულ იქნეს სათადარიგო ნაწილების ყიდვა და მოხდეს რემონტის პროცესის კორექტირება, ასევე შესაძლებელია მოხდეს მთლიანად სარემონტო ოპერაციების ხარისხის კონტროლი [30].

დადგენილია, რომ სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდასთან ერთად ავტოგადაბმულობათა რემონტის სტაციონალური მეთოდი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და აუცილებელია რემონტის პროცესი განხორციელდეს ნაკადურ-კონვეირული მეთოდით. განხილულია აღნიშნული მეთოდით რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული ტაქტები. ეკონომიკურად გამართლებული და მიზანშეწონილია ავტოგადაბმულუბათა რემონტი ნაკადური მეთოდით დროის არარეგლამენტირებული ტაქტით. ვინაიდან იგი ხასიათდება მთელი რიგი დადებითი თვისებებით რეგლამენტირებულთან შედარებით [31].

ჩატარებული ლიტერატურული მიმოხილვის შედეგად სადისერტაციო ნაშრომის „სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს სიმძლავრის გაზრდის მეთოდების სრულყოფა“ აქტუალობა და მიზანი შესაძლებელია ფორმირებულ იქნეს შემდეგი სახით: თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე პირობებში სარკინიგზო ტრანსპორტზე მზარდი ტვირთნაკადების გამო იზრდება მოთხოვნა სატვირთო მოძრავ შემადგენლობებზე და შესაბამისად ისმება მათი რემონტის მეთოდების სრულყოფის საკითხი, ასევე ვაგონების მასობრივი თავმოყრის ადგილებზე ნაცვლად რამოდენიმე ნაკლები სიმძლავრის სარემონტო დეპოსი მიზანშეწონილია ერთი მაღალი სიმძლავრის სავაგონო დეპოს მშენებლობა ან არსებულის რეგონსტრუირება სარემონტო ბაზის გაზრდით. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საკითხისადმი სისტემური მიდგომით დასაბუთებულ იქნას როდის არის გამართლებული ასეთი ტიპის სავაგონო დეპოს მშენებლობა და რა ეფექტს იძლევიან ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის მოწყობილობებით აღჭურვილი ნაკადურ-კონვეირული ხაზები. ვაგონსაამწყობო უბანზე, როდესაც მის შეუფერხებელ და უწყვეტ მუშაობაში ურთიერთშეხამებულად ჩართულია დეპოს ყველა დანარჩენი ძირითადი და დამხმარე უბნებსა და განყოფილებების მუშაობაც, რომლებიც ასევე აღჭურვილნი არიან მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე დანადგარებით და მოწყობილობებით, რომლებიც წარმოადგენენ დეპოს სიმძლავრის გაზრდის აუცილებელ ატრიბუტებს.


## 2. შედეგები და მათი განსჯა

### 2.1. სხვადასხვა ტიპის სატექნიკო გაგონების შეკეთებაში დეპოს გამჭოლი ტიპის საამწყობო უბნებზე გამოყენებული პროგრესული მეთოდების ანალიზი

ვაგონშემკეთებელ წარმოებაში ვაგონების რემონტში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სატექნიკო სავაგონო დეპოს სიმძლავრის გაზრდისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს. ახალი სავაგონო დეპოების დაპროექტება ან არსებულის რეკონსტრუქცია აუცილებლად მოითხოვს, რომ ვაგონსარემონტო დაწესებულების ყველა ძირითად უბანზე და განსაკუთრებით ვაგონსაამწყობო უბანზე აუცილებლად უზრუნველყოფილ იყოს საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის და რობოტიზაციის მოწყობილობათა გამოყენება. აღნიშნული მიმართულებით მოწინავე სავაგონო დეპოების გამოცდილებათა გათვალისწინებით, სადაც ვაგონსაამწყობო უბნებზე გამოყენებულია ვაგონების შეკეთების ნაკადურ-კონვეიერული მეთოდი აჩვენებენ რომ, პროგრესული მეთოდების გამოყენება ზრდის წარმოების ეფექტიანობას, აზუსტებს ვაგონების რემონტის ტაქტს, ზრდის გამომუშავებული პროდუქციის ხარისხს, ამსუბუქებს მომუშავეთა შრომის პირობებს და მთლიანობაში საწარმოში მაღლდება შრომის ნაყოფიერება.

პრობლემების გლობალურად წარმოჩნისათვის და ვაგონსაამწყობო უბნის რაციონალური და ოპტიმალური ვარიანტის მიღებისათვის სამაგალითოდ განვიხილოთ სატექნიკო ვაგონების სარემონტო ისეთი სავაგონო დეპოები, სადაც აღნიშნულ სარემონტო უბნებზე გამოყენებულია ვაგონების რემონტის ნაკადურ კონვეიერული მეთოდი.

დახურული სატექნიკო ვაგონების სარემონტო სპეციალიზირებული სავაგონო დეპო „ბრიანსკის“ ვაგონსაამწყობო საწარმოო უბანზე (ნახ. 1) ვაგონების შეკეთება მიმდინარეობს ოთხ საშემკეთებლო პოზიციაზე ტექნოლოგიური თანმიმდევრობით, რომელიც წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.



ნახ. 1. დახურული სატვირთო გაგონების შემკეთებების გამჭვილვი საფაგო დეპო „მრიანსკი“-ს გამჭვილვი  
ტიპის გაგონსამუშაო უბნის ტექნოლოგიური სქემა

ცხრილი 1

ნაკადურ-კონვეიერული მეთოდით დახურული სატვირთო ვაგონების შეკეთების  
ტექნოლოგიური პროცესი სავაგონო დეპო „ბრიანსკი“-ს ვაგონსაამწყობო უბანზე

შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა შესრულების ადგილი	სამუშაოთა შემსრულებლები და ნაკადური საზის ტაქტი (წთ)	შეკეთების დროს გამოყენებული მოწყობილობები, დანადგარები, იარაღები, სამარჯვები
1	2	3	4
ვაგონის ძარის და ჩარჩოს მეტალურ ნაწილებზე დეფექტების აღმოფხვრა, შედუღების სამუშაოების წარმოება. დაზიანებული ან გამოტოვებული ხის ნაწილების შეცვლა ძარის კედლებზე და იატაკზე. ძარის მოუსხევლი დეტალების შეკეთება. გადუნულობათა ჩაღუნულობათა ბზარების და სხვა დეფექტების აღდგენა ძარასა და ჩარჩოზე	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული საზის I საშემკეთებლო პოზიცია	ზეინკლები, შემდუღებლები 132 წთ.	კონვეირი, თაღისებური პორტალური ტიპის თვითმავალი ესტაკადები კარგებების მოსახსნელი სამარჯვი, გადასაადგილებელი ჰიდრავლიკური წნევი. ელექტროსაშემდუღებლო აპარატი, ხიდური ამწე
სადურგლო სამუშაოების წარმოება. საშემდუღებლო სამუშაოების დამთავრება ავტოგადაბმულობის მოხსნა, ბოლო ონეანების მოხსნა. სამუხრუჭე მაგისტრალის ჰაერსადენის შემაერთებელ სახელურებთან ერთად, ვაგონების ურიკების სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემის წევების გადახსნა-განცალკევება	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული საზის II საშემკეთებლო პოზიცია	დურგლები, შემდუღებლები, ზეინკლები, ზეინკალ-მემუხრუჭეები 132 წთ	კონვეირი, თაღისებური პორტალური ტიპის თვითმავალი ესტაკადები კარგებების მოსახსნელი სამარჯვი, გადასაადგილებელი ჰიდრავლიკური წნევი. ელექტროსაშემდუღებლო აპარატი, ხიდური ამწე


ცხრილი 1-ის გაგრძელება

1	2	3	4
<p>დახურული სატვირთო ვაგონის ძარის აწევა და ურიკების გამოგონება ავტოგადაბმულობის შთანმთქმელი აპარატების შეცვლა. ჩარჩოს უწესივრობათა ავტოგადაბმულობის მოუხსნელი ნაწილების შეცეობა. შეკვებული ავტოგადაბმულობების დაყენება. წევის ცალუდის სოლების ავტოგადაბმულობის ამძრავის დაყენება. ავტომუხრუჭების რემონტი და გამოცდა. სამღებრო სამუშაოების ჩატარება</p>	<p>ვაგონსაამწყობო უბის ნაკადურ-კონვეიერული საზის III საშემკუთხლო პოზიცია</p>	<p>ზეინკლები, ზეინკალ-მემუხრუჭები, მდგბავები 132 წთ.</p>	<p>ელექტროდომერატები სამარჯვები. ავტომუხრუჭების გამოსაცდელი სტენდი ჰულგელიზატორი. თაღირებური გადასაადგილებელი ესტაკადა ურიკის გადასაადგილებელი ტრანსბორდერი.</p>

წარმოდგენილი სქემის ანალიზი უჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში დახურული სატვირთო ვაგონების რემონტი მიმდინარეობს ვაგონსაამწყობო უბნის ორ ნაკადურ ხაზზე, თითოეულ ხაზზე სამ-სამი საშემკეთებლო პოზიციით, უბნის სიგრძე შეადგენს 60 მ-ს. რემონტის ტაქტი 132 წთ-ს. მექანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მოწყობილობას წარმოადგენს პორტალური ტიპის თვითმავალი ესტაკადები, რომლებიც აღჭურვილია სარემონტო სამუშაოების შესასრულებელი აუცილებელი ინსტრუმენტებით, რომლებიც მოძრაობენ ნაკადური ხაზების გრძივად და მოიცავენ მხოლოდ პირველ და მეორე საშემკეთებლო პოზიციებს. კონვეიერის მართვა ხორციელდება საკომანდო-სადისპეტჩერო პუნქტიდან, რომელსაც აქვს სათანადო მართვის პულტი, რადიოკავშირი და ტელეფონი. ვაგონსაამწყობო უბნიდან ურიკების შემკეთებელ უბანზე და უკუმიმართულებით ურიკების გადაადგილება ხდება სპეციალური ტრანსბორდერის საშუალებით. აღნიშნულ დეპოში ნაკადური ხაზის დანერგვამ სტაციონალურთან შედარებით 35%-ით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო 40%-ით სავაგონო დეპოს მთლიანი საწარმოო სიმძლავრე.

სავაგონო დეპო „ბრიანსკი“ ასევე ცალკე სპეციალიზირებულია ნახევარვაგონების შესაკეთებლად, სადაც სამუშაოთა შესრულებული ტექნოლოგიური პროცესი წარმოდგენილია ცხრილ 2-ში.

როგორც ანალიზი უჩვენებს აღნიშნული დეპო ხასიათდება ტექნოლოგიური მოწყობილობების კომპაქტურობით, ვაგონსაამწყობო უბანზე მოწყობილია ორი ნაკადურ-კონვეიერული ხაზი თითოეულზე ოთხ-ოთხი საშემკეთებლო პოზიციით და ნახევარვაგონების შეკეთებისათვის მოსამზადებელი ერთი პოზიციით, რომელიც განლაგებულია ვაგონსაამწყობო უბნის გარეთ. ნაკადის ტაქტი ამ შემთხვევაში შეადგენს 105 წუთს. თითოეულ პოზიციაზე განლაგდება ერთი სარემონტო ნახევარვაგონი. ყველა დანარჩენი საწარმოო განყოფილება ან უბანი განლაგდება ვაგონსაამწყობო უბნის ერთ მხარეს. ვაგონსაამწყობო უბანზე გამოყენებული 5 და 10 ტრანსბორდერის მქონე ორი ხიდური ამწე. ვაგონების გადაადგილება პოზიციიდან პოზიციაზე ხორციელდება კონვეიერების საშუალებით სპეციალური სამართავი პულტიდან.



ნახ. 2. ნახევარგაზონების შემკეთებელი საფაზონო დან „ბრიანსი“-ს გამჭვილი ტიპის  
განმსაზღვრული ტექნიკური სქემა

ცხრილი 2

ნაკადური მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი  
საგაგონო დეპო „ბრიანსკი“-ს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბანზე

შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა შესრულების ადგილი	სამუშაოთა შემსრულებლები და ნაკადური საზის ტაქტი (წთ)	შეკეთების დროს გამოყენებული მოწყობილობები, დანადგარები, იარაღები, სამარჯვები
1	2	3	4
ნახევარვაგონის ძარის აწევა და საყრდენებზე მოთავსება. ურიკების გამოგორება ვაგონების ქვეშიდან. წინასწარ შეკეთებული ურიკების შეგორება. აწეულ მდგომარეობაში მყოფი ნახევარვაგონის განსატვირთი ლიუკების გასწორება და შეკეთება ვაგონიდან მოუხსნელად. ავტოგადასაბმელობის შთანმთქმელი აპარატის მოხსნა და შეცვლა. ავტოგადაბმულობის მოხსნა გადასახსნელ ბერკეტებთან და ჯაჭვებთან ერთად. სამუხრუჭე მოწყობილობათა დეტალების მოხსნა და გადაცემა შესაკეთებლად.	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული საზის I შემკეთებელი პოზიცია	ზეინკლები, ზეინკალ-მემუხრუჭებები 105 წთ.	ხიდური ამწე. ძარის დასაკავებელი სპეციალური საყრდენები, ტრანს-ბორდერი. ჰიდროელექტრული წნები, სპეციალური სამარჯვი, ელექტროქანჩმაბრუნი, სპეციალური კასეტები სამუხრუჭე მოწყობილობათა ჩასაწყობად და გადასატანად.
ნახევარვაგონის ძარის კარგასისა და ჩარჩოს გადუნული ნაწილების გასრორება. შეკეთებული ავტოგადაბმულობების დაყენება გადასახსნელ ბერკეტებთან და ჯაჭვებთან ერთად. ლიუკების სახურავებისა და ტორსული კარებების გაგზავნა შესაკეთებლად (რომლებიც მოითხოვენ დიდი მოცულობის შეკეთებას და საჭიროებენ	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული საზის II საშემკეთებლო პოზიცია	ზეინკლები, ზეინკალ-მემუხრუჭებები 105 წთ.	ელექტროგამახურებელი ხელ-საწყოთა კომპლექტი საზეინკლო სამუშაოების ჩასატარებლად ჩარჩოსა და ძარაზე. პორტალური ტიპის მანქანა УСПМ-2

ცხრილი 2-ის გაგრძელება

1	2	3	4
ვაგონიდან მოხსნას) წინასწარ შეკეთებულების დაყენება. სამუხრუჭე პაერსადენის, ბერკეტული გადაცემის, ხელის მუხრუჭის შეკეთება. შეკეთებული შემაერთებელი სამუხრუჭე სახელურების, ბოლო გამანაწილებელი და სტოპნკანების სამუხრუჭე ცილინდრის ჭოკის გამოსვლის ავტორეგულატორების და ავტორეგიმების დაყენება.			
სარემონტო სამუშაოების წარმოება ვაგონის ძარაზე. ავტომატური მუხრუჭების გამოცდა.	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული საზის III საშემკეთებლო პოზიცია	შემდუღებლები, დურგლები, ზეინგალ-მემუხრუჭები, 105 წთ.	ელექტრო და პნევმატური ინსტრუმენტები. ავტომატური მუხრუჭების გამოსაცდელი დანადგარი.
ნახევარვაგონების შეღებვა და ახალი ტრაფარეტების გაკეთება	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული საზის IV საშემკეთებლო პოზიცია	მღებავები	შემდები დანადგარი „რადუგა“. პულველიზატორის მეტალური ჯაგრისები შეღებვისათვის საჭირო ხელსაწყოები.


სატერიტო ვაგონების სარემონტო გამჭოლი ტიპის სავაგონო დეპოებიდან მნიშვნელოვან უურადღებას იქცევს უკრაინის დეპო „კრასნოარმეისკი-დონეცკის“ (ნახ. 3) საწარმოო ვაგონსაამწყობო უბანი, სადაც მოწყობილია ორი ნაკადური-კონვეირული ხაზი. იგი წარმოადგენს დიდი სიმძლავრის სავაგონო დეპოს, რომლის წლიური პროგრამა სატერიტო ვაგონების შეკეთებაზე შეადგენს 12000 ნახევარვაგონს. თითოეული ნაკადური ხაზი ადჭურვილია სამ-სამი სარემონტო პოზიციით: სამი ნახევარვაგონით თითოეულ მათგანზე. რაც შეეხება სამდებრო პოზიციას იგი განლაგებულია ცალკე შენობაში, რომელიც წარმოადგენს ვაგონსაამწყობო უბნის გაგრძელებას და მისგან იზოლირებულია სპეციალური ტიხრით თითოეული ნაკადური ხაზის ტაქტი შეადგენს 220 წთ-ს. კონვეიერების გადაადგილება ხდება ჯალამბრებით სპეციალური მართვის პულტიდან.


„კრასნოარმეისკი-დონეცკის“ გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბანზე ნაკადური მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი მოცემულია ცხრილებში.

კომბინირებული ტიპის ვაგონსაამწყობო უბნის მქონე სავაგონო დეპო „მაგნიტოგორსკი“ (ნახ. 4) სპეციალიზირებულია ნახევარვაგონების შეკეთებაზე, რომლის მთლიანი ტექნოლოგიური პროცესი დატანილია ნაკადურ-კონვეიერული ხაზის მე-5 საშემკეთებლო პოზიციაზე. პროცესი წყვეტადია და პირველი ორი პოზიცია განლაგდება ცალკე შენობაში, სადაც განლაგებულია სამუშაოთა გამთანაბრებელი უბანი, რომელიც ჩიხური ტიპისაა, ხოლო დანარჩენი სამი განლაგებულია გამჭოლი ტიპის პარალელურად განლაგებული ხაზების მქონე ვაგონსაამწყობო უბანზე.

ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ვაგონების გაწმენდას და გასუფთავებას I პოზიციაზე განლაგების წინ სათადარიგო ადჭურვილობებისა და მექანიზმების გამოყენებით, გაუმართავი ნახევარვაგონების მიწოდება საწარმოო უბნის I და II პოზიციებზე ხორციელდება ჯგუფურად ხუთ-ხუთ ვაგონებზე.

დეპო „მაგნიტოგორსკი“-ში ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი წარმოდგენილია ცხრილ 4-ში.





ნახ. 4. სავაგონო დეპლ „მაგნიტოგორსკი“-ს კომბინირებული გაგონისამწყობო უბნის სქემა

ცხრილი 3

ნაკადური მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი  
საგაგონო დეპო „კრასნოარმეისკ-დონეცკი“-ს გამჭოლი ტიპის ვაგონსაამწყობო უბანზე

შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა შესრულების ადგილი	სამუშაოთა შემსრულებლები და ნაკადური ხაზის ტაქტი (წთ)	შეკეთების დროს გამოყენებული მოწყობილობები, დანადგარები, იარაღები, სამარჯვები
1	2	3	4
ნაკადურ ხაზზე ნახევარვაგონები განლაგდებიან გადაბმით სამ-სამი ცალი გასასწორებელი სამუშაოები; ელექტრისაშემდევდებლო სამუშაოები; აირით ჭრის სამუშაოები; სახელურების, საფეხურების, ხერელების საყრდენების, ანჯამების, ჩამკეტი მექანიზმების შეცვლა; ჰაერსადენის ჩაბერვა შექუმ- შული ჰაერით; სამარაგო და მუშა რეზერვუარების მოხსნა და გაგზავნა სარემონტო განყოფილებაში, სამუხრუჭე ცილინდრების, ჰაერმანაწილებლების, გამანაწილებელი და ბოლო ონკანების სამუხრუჭე სახურავების მტვერდამა- კავებელი ბადეების სუფთა გაწმენდის ფილტრების, ავტორეგულატორების, ავტორეჟიმების, სამუხრუჭე ბერკეტული წევების გაგზავნა სათანადო სარემონტო განყოფილებაში და მათ ნაცვლად ახლის ან წინასწარ შეკეთებული სამუხრუჭე კვანძების განთავსება ვაგონზე.	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული ხაზის I შემკეთებელი პოზიცია	ზეინკლები; ზეინკალ- მემუხრუჭები 220 წთ.	ხიდური ამწე ტვირთამწეობით 58, ორი ვაგონსარემონტო მანქანა ელექტროსაშემდევდებლო აპარატები.

### ცხრილი 3-ის გაგრძელება

1	2	3	4
<p>ნახევარვაგონების განცალკევებული განლაგება, ძარების აწევა, ურიკების გადაცემა გაგონსაამწყობო უბნიდან გვირაბის გავლით ტექნოლოგიური გზით. შთანთმქმედი აპარატების, წევის ცალუდების, გადასახსნელი ამძრავის, ავტოგადაბმულობის სარემონტო საკონტროლო პუნქტი. განსატვირთი ხვრელების სახურავების მორგება, კრონშტეინების და გადასახსნელი ბერკეტების დაყენება და დამჭერების დაჭრა, სამუხრუჭები ცილინდრების, მუშა კამერების, სამარაგო რეზერვუარების, ჰაერსადენი მაგისტრალის საიმედოდ დამაგრება-შემოწმება, ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების ჩატარება; ვაგონების ქვეშ შეკეთებული ურიკების შეგორება; სრიალების დრენაჟების რეგულირება; ბერკეტული გადაცემის წევების შეერთება; სრიალების დამაგრება კუთხოვანების მიღუდება.</p>	<p>გაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიურული ხაზის II საშემკეთებლო პოზიცია</p>	<p>შემდუღებლები, ზეინკლები მემუხერუჭებები, 220 წთ.</p>	<p>ხიდური ამწე; ასაწევი საყრდენები, ურიკა-მანიპულატორები; ელექტროსაშემდუღებლო აპარატები მრავალპოსტიანი საშემდუღებლო აპარატი: 6 BKCM 1000</p>
<p>ნახევარვაგონების განლაგება გადაბმით. ავტომატური მუხრუჭების მოქმედების გამართულობის შემოწმება სტენდის დახმარებით, სარემონტო სამუშაოების წარმოება ძარაზე და მისი მომზადება შესაფეხბად.</p>	<p>გაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიურული ხაზის III საშემკეთებლო პოზიცია</p>	<p>მემუხერუჭებები მდებარები 220 წთ</p>	<p>მუხრუჭების სასინჯი სტენდი; სპეციალური ხელსაწყოები მდებარებისათვის ძარის დასამუშავებლად.</p>

ცხრილი 4

დეპო „მაგნიტოგორსკ“-ში კომპინირებული სავაგონო დეპოში ნაკადურ-კონვეირული  
მეთოდით ნახევარვაგონების შეკეთების ტექნიკური პროცესი


შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა შესრულების ადგილი	სამუშაოთა შემსრულებლები და ნაკადური საზის ტაქტი (წთ)	შეკეთების დროს გამოყენებული მოწყობილობები, დანადგარები, იარადები, სამარჯვები
1	2	3	4
ნახევარვაგონის ძარის ზედა სარტყელის, დგარების, ირიბანების, გვერდითი კედლების მეტალური გარსაცმის აღდგენა აირისა და ელექტროშედევლების საშუალებით. ტორსული კარებების შეკეთება, მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება ვაგონის ძარის გადაბრუნებისათვის ბოლო და გამანაწილებელი ონკანების მოხსნა სახელურებთან ერთად. სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემის განცალკევება ვერტიკალური ბერკეტებისაგან.	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეირული საზის I პოზიცია	ორი კომპლექსური ბრიგადა 210 წთ.	ვაგონსაამწყობო მანქანა УСПМ-2 აირ და ელექტროსაშემდევლებლო აპარატები.
ნახევარვაგონის ჩარჩოს კვანძების, ავტოგადასაბმელი მოწყობილობების, სამუხრუჭე მოწყობილობების შეკეთება. ვაგონების გადაბრუნება ორი ხიდური ამწით. განსატვირთი ხვრელების სახურავების შეკეთება. შეკეთებული შთანთქმელი აპარატების, ჰაერმანაწილებლების, ავტორეგულატორების, სამუხრუჭე ცილინდრების წინა სახურავების დაყენება და დაზეთვა. ჰაერსადენის მაგისტრალზე ბოლო ონბანების,	ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეირული საზის II სარემონტო პოზიცია	ორი კომპლექსური ბრიგადა 210 წთ.	ორი ხიდური ამწე ტვირთამწერით 10 ტ განსატვირთი ხვრელების შესაკეთებელი სპეციალური მანქანები, ტექნილოგიური დანადგარები ტვირთამწევი მოწყობილობებით, აცეტილენ-ჟანგბადის სეეტები

ცხრილი 4-ის გაგრძელება

1	2	3	4
შემაქოთებელი სამუხრუჭე სახელურების, გამანაწილებელი ონკანების გამომშვები სარქველების, ავტორეჟიმების დაყენება. ავტოგადაბმულობათა შეკეთებული კორპუსებისა და მექანიზმის, მაცენტრირებელი ხელსაწყოს დეტალების დაყენება.			
ნახევარგაგონის ძარის აწევა, ურიკების შეცვლა, ბერკეტული გადაცემის შეკეთება ელექტროშედულების სამუშაობის წარმოება, რომლებიც ვერ დაამთავრეს II პოზიციაზე	გაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული ხაზის III სარემონტო პოზიცია	ორი კომპლექსური ბრიგადა 120 წთ.	ხიდური ამწე, სამარჯვები, პოლის-პასტები მუხრუჭის გამოსაცდელი სტენდი, ელექტროშედულების აპარატი.
სარემონტო სამუშაოების დასრულება ძარაზე და მუხრუჭების გამოცდა.	გაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული ხაზის IV შემკეთებელი პოზიცია	ორი კომპლექსური ბრიგადა 120 წთ	მუხრუჭების გამოსაცდელი სტენდი.
სამლებრო სამუშაოების შესრულება ნახევარგაგონებზე და ტრაფარეტების დაყენება ნახევარგაგონების საბოლოო მიღება	გაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეიერული ხაზის V საშემკეთებლო პოზიცია	ორი კომპლექსური ბრიგადა 120 წთ	შესაღები მოწყობილობანი და ხელსაწყოები.

ნახევარვაგონების შემკეთებელი საგაგონო დეპო „ბელოვო“-ს გაგონსაამწყობო უბანი შედგება ორი ნაკადური ხაზისაგან სამ-სამი სარემონტო პოზიციით თითოეულ პოზიციაზე ორ-ორი ნახევარვაგონის განლაგებით (ნახ. 5).

გაგონსაამწყობო უბანზე ნახევარვაგონების დაყენების წინ მათზე შესრულდება მოსამზადებელი სამუშაოები სპეციალიზირებული აღჭურვილობებით, რომლებიც განლაგებული არიან სამ ტექნოლოგიურ პოზიციაზე I-III, რომლებიც შედიან ნახევარვაგონების შეკეთებისათვის მოსამზადებელ უბანზე შეკეთების წინ ნახევარვაგონები თავისუფლდებიან გადასაზიდი ტვირთის ნარჩენებისაგან, ჰუჭყისაგან და გადაირეცხებიან. ნარჩენების მოცილება ხდება ლენტური კონვეირით. გასუფთავების პოზიციაზე ნახევარვაგონის ძარის აწევა და გადაბრუნება ხორციელდება პიდრავლიკური მოწყობილობების საშუალებით, რომლებიც მოთავსებულია УСПМ-2 ტიპის ორ ვაგონსარემონტო მანქანაზე, რომლებსაც შეუძლიათ შეწყვილებულად მუშაობა შეერთებულ მდგომარეობაში, რისთვისაც ისინი აღჭურვილი არიან ავტოგადასაბმელი მოწყობილობებით. ნარჩენებისაგან გათავისუფლებული ნახევარვაგონები გადაადგილდებიან შენობაში, სადაც განთავსებულია გამრეცხი დანადგარი. რეცხვა მიმდინარეობს 12 წუთის განმავლობაში. წყლის ტემპერატურა  $80^{\circ}\text{C}$  და გამოიყენება კაუსტიკური სოდის ხსნარი. ამის შემდგომ ნახევარვაგონები განლაგდებიან მოსამზადებელი უბნის III პოზიციაზე, სადაც განთავსებულია УСПМ-2 ტიპის ვაგონსარემონტო მანქანა, რომლის დახმარებითაც შესრულდება დამშლელი, ელექტრო და აირსაშემდუღებლო სამუშაოები. პოზიციაზე განთავსებულია მოსახსნელი ფერმა-ძელი ელექტროტელფერით, რომელიც უზრუნველყოფს ნახევარვაგონების ტორსული კარებების ხვრელების დეფორმირებული სახურავების და სხვა დეტალების მოხსნას. კვანძები, რომლებიც საჭიროებენ რემონტს განთავსდებიან ურიკა დამაგროვებლებზე, რომლებიც გადაადგილებიან სარემონტოდ შესაბამის ნაკადურ-კონვეიერულ ხაზებთან. დეტალები, რომლებიც არ ექვემდებარებიან აღდგენას ტელფერის მეშვეობით მოთავსდებიან კონტეინერებში და გადაიგზავნებიან ჯართში. ამავე პოზიციაზე ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისას ძარისა და ჩარჩოს გეომეტრიული ზომების



აღსაღენად ხდება შედუღებული ნაჭერების მოცილება ელექტრო და აირსაშემდუღებლო აპარატით, განცალკევდება ბზარები შემდგომი შედუღებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ ნახევარვაგონები შესაკეთებლად გადაეცემიან ვაგონსაამწყობო უბანს.

დეპოს ვაგონსაამწყობო უბნის თავისებურებად ითვლება ორი ერთიდაიგივე სამუშაოების შესასრულებელი პოზიცია, რომლებიც საშუალებას იძლევა მკაცრად იქნეს დაცული ნაკადური ხაზის ტაქტი, შეკეთდნენ ნახევარვაგონები, რომელთაც აქვთ შესასრულებელ სამუშაოთა სხვადასხვა მოცულობები. ნაკადური ხაზის მუშაობის უწყვეტობას უზრუნველყოფს უნივერსალური და ურთიერთშეცვლადი ვაგონსარემონტო მანქანებისა და მექანიზმების არსებობა. შემკეთებელ-მაკომპლექტებელი უბნების და განყოფილებების საწარმოო მოედნების უფრო სრულად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად მიჩნეულია ბერკეტული სამუხრავები გადაცემების ტრიანგელების სარემონტო ნაკადურ-კონვეიერული ხაზი განლაგდეს მეორე იარუსზე, ანალოგიურად გორგოლაჭსაკისრებიანი ბუქსების დეტალებისა და კვანძების კომპლექტაციის განყოფილება და ზოგიერთი სხვა განყოფილები.

დეპო „ბელოვო-კემეროვო“-ს ნახევარვაგონების შემკეთებელი დეპოს ვაგონსაამწყობო უბანზე მომდინარე ტექნოლოგიური პროცესი წარმოდგენილია ცხრილ 5-ში.

ცხრილი 5

დეპო „ბელოვი-კემეროვი“-ს ნახევარვაგონების შემკეთებელი დეპო  
ვაგონსამამწყობო უბნის ტექნოლოგიური პროცესი

შესასრულებელი სამუშაოები	სამუშაოთა შესრულების ადგილი	სამუშაოთა შემსრულებლები და ნაკადური ხაზის ტაქტი (წთ)	შეკეთების დროს გამოყენებული მოწყობილობები, დანადგარები, იარაღები, სამარჯვები
1	2	3	4
ნახევარვაგონის ძარისა და ჩარჩოს გუმეტრიული ზომების აღდგენა. ნახევარვაგონის ძარის აწევა და მისი მოთავსება სტაციონალურ საყრდენებზე. ურიკების გამოგორება, განსატვირთი ხველების სახურავების გასწორება, ავტოგადასაბმელი მოწყობილობების და შთანმთქნელი აპარატების მოხსნა და დაყენება. ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოები. საზეინკლო საქმიანობის წარმოება, სამუხრუჭე მაგისტრალის შემოწმება, სამუხრუჭე ხელსაწყოთა მოხსნა და დაყენება. ბერკეტული გადაცემის შეკეთება და მონტაჟი.	სარემონტო სამუშაოების შესრულება მომდინარეობს ვაგონსამამწყობო უბნის IV და V სარემონტო პოზიციებზე	ზეინკლები, მემუხრუჭეები; შემდუღებლები 60 წთ.	ვაგონსარემონტო მანქანები სტაციონალური საყრდენები ტრანსპორტი; სკოიალური კასეტები; ურიკა დამაგროვებელი ელექტროსაშემდუღებლო აპარატები, გამწოვი სავენტილაციო სისტემა.
საზეინკლო და ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების დასრულება ნახევარვაგონის ძარაზე. მუხრუჭების გამოცდა და ჩაბარება კვანძების მიმღებთან, საღურგლო სამუშაოების ჩატარება (თუ აღმოჩნდება ხის ძარიანი ვაგონი); აგზოგადაბმულობათა მონტაჟის სისწორის შემოწმება.	სარემონტო სამუშაოების შესრულება ნაკადურკონვეირული ხაზის VI საშემკეთებლო პოზიციაზე	შემდუღებლები; ზეინკლები, დურგლები 60 წთ.	საზეინკლო იარაღები; ელექტროსაშემდუღებლო აპარატები; პნევმატური და ელექტროპნევმატური იარაღები; სხვადასხვა სამარჯვები, ვაგონსარემონტო მანქანა УСПМ-2

ცხრილი 5-ის გაგრძელება

1	2	3	4
სამღებრო სამუშაოების ჩატარება ვაგონის ძარაზე	სამღებრო სამუშაოები ჩატარდება სამღებრო უბნის VII პოზიციაზე	მღებავები 60 წთ	საღებავის დანადგარი გაფრქვე- ვები.


2.2. የተቻቻገጥበት ስርዓት በመሆኑ የሚከተሉት ነው፡፡

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონვეირული მეთოდით ვაგონების შეკეთებისას ვაგონამწყობ უბნებზე ძირითადად გამოყენებულია ორი ტიპის სქემა – გამჭოლი, როდესაც ვაგონების შეკეთებაში შემოსვლიდან გასვლამდე მათი გადანაცვლება ყოველ მომდევნო სარემონტო პოზიციაზე ხორციელდება კონვეირის საშუალებით ერთი მიმართულებით ვაგონსამწყობო უბნის გასწვრივ და მეორე ტიპის სქემა, როდესაც შეკეთებული ვაგონი უკან გადის იმავე მხრიდან, საიდანაც იგი შემოვიდა იმ განსხვავებით, რომ შესაკეთებელი ვაგონი შემოდის ერთ ნაკადურ ხაზზე და შეკეთებული გამოდის მეორე ნაკადური ხაზიდან. გადანაცვლება კი ერთი ნაკადური ხაზიდან მეორეზე სწარმოებს ხიდური ამწევების მეშვეობით.

სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული ახალი კონცენტრაციის სავაგონო დეპოს წარმოდგენილია ნახ. 6-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა უდიდესი უმრავლესობა ადასტურებს, რომ სავაგონო დეპოში ვაგონების შეკეთების ნაკადური მეთოდის დანერგვა მიზანშეწონილი და ეკონომიურად გამართლებულია მაშინ, როდესაც დეპო სპეციალიზებულია მხოლოდ ერთი ტიპის ვაგონების შესაკეთებლად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული იდეა გამართლებულია ტერიტორიულად დიდი და ეკონომიურად მძლავრი ქვეყნებისათვის, სადაც სარემონტო ვაგონების რიცხვი განსაკუთრებით დიდია და მათი რაოდენობა არის ასეულ ათასობით.

ჩვენი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ შემოთავაზებულ ვარიანტში  
შევინარჩუნოთ სპეციალიზაცია სხვა ფორმით, კერძოდ დეპოს  
ვაგონსაამწყობო უბანზე მოხდეს ცალკეული ნაკადური ხაზის  
სპეციალიზაცია ერთი ტიპის ვაგონების შესაკეთებლად. კერძოდ,  
დეპოში შესაძლებელი იყოს სატვირთო ვაგონების ოთხი ძირითადი  
ტიპის – დახურული სატვირთო ვაგონების, ნახევარვაგონების, ბაქნების  
და ცისტერნების შეკეთება, რისთვისაც სქემაზე ვითვალისწინებოთ ოთხ  
ნაკადურ ხაზს, მათ შორის პირველ ნაკადურ ხაზზე შეკეთდებიან  
დახურული სატვირთო ვაგონები, მეორე ნაკადურ ხაზზე შეკეთდებიან



ნახ. 6. სატვირთო საფარის დეპოს გაგონსამწყობლური უბნის აგტორისუული სქემა

ცისტერნები მესამე ნაკადურ ხაზზე შეკეთდებიან ნახევარვაგონები და მეოთხეზე ბაქნები. წარმოდგენილი სქემით აშენებული ან რეგონსტრუირებული საგაგონო დეპო მისაღები და ეკონომიკურად ხელსაყრელია შედარებით მცირე სატვირთო ვაგონების პარკის მქონე ქვეყნისთვის, მათ შორის ასეთი ტიპის დეპო მისაღები იქნება საქართველოსათვის, სადაც დღევანდელი მონაცემებით დაახლოებით 12000 სატვირთო ვაგონია, ვინაიდან ნაცვლად ოთხი სხვადასხვა ტიპის ვაგონების სარემონტო სპეციალიზირებული დეპოს მშენებლობისა, შესაძლებელი იქნება აშენდეს ან მოხდეს არსებულის რეკონსტრუქცია, ისეთი საგაგონო დეპოსი, რომელიც იქნება საკმარისი სიმძლავრის და შესაკეთებს ზემოთაღნიშნული ოთხივე ტიპის ვაგონებს. გარდა ამისა თვითონ წლიურად შესაკეთებელი ვაგონების რაოდენობის სიმცირე ეკონომიკურად გაუმართლებელს ხდის ცალკე რომელიმე ტიპის სატვირთო ვაგონის სპეციალიზირებული დეპოს მშენებლობას.

ამოსავალ პირობად ახალი ტიპის სქემის დამუშავებისას მიგვაჩნია, რომ ვაგონების შესვლამდე ვაგონსამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეირული ხაზის პირველ პოზიციაზე მის გარეთ მოხდეს შეკეთებისათვის მოსამზადებელ თრ მექანიზირებულ სარემონტო პოზიციაზე ისეთი სამუშაოების შესრულება, რომ ნაკადური ხაზის პოზიციებზე მათი გადანაცვლებისას შესასრულებელ სარემონტო სამუშაოთა მოცულობის განსხვავება თითოეული ტიპის ვაგონზე იყოს მინიმალური.

ნაკადური მეთოდით ვაგონების შეკეთება, როგორც მარაგიდან ვაგონების ჯგუფის შერჩევას ვახდენთ ისე, რომ ჯგუფში შესაკეთებელი ვაგონების საშუალო შრომატევადობა დაახლოებით შეესაბამებოდეს ნორმატიულ სიდიდეს, ხოლო ვაგონების შერჩევა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმით [26]

$$0,9H_{\text{ნორმ.}} \leq \frac{\sum_{i=1}^n H_i}{n} \leq 1,2H_{\text{ნორმ.}}, \quad (1)$$

სადაც  $H_{\text{ნორმ.}}$  – ვაგონების შეკეთების ნორმატიული შრომატევადობაა;

$H_i$  –  $i$ -ური ტიპის ვაგონის შეკეთების ნორმატიული შრომატევადობა;

*n – ვაგონების რაოდენობა ჯგუფში.*

ოპერაციათა ამგვარი შიდატაქტობრივი სინქრონიზაცია ხელს შეუწყობს ვაგონსაამწყობო უბნის ფრონტის სინქრონულ მუშაობას და ვაგონების შეკეთების წლიური გეგმის შესრულებას.

სატვირთო სავაგონო დეპოს მშენებლობა ნაკადურ-კონვეირული შეკეთების მეთოდით მეცნიერულად დასაბუთებულია და მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც შესაკეთებელი სატვირთო ვაგონების რაოდენობა არანაკლებ 6000-ის ტოლია, რომელიც ითვლება საშუალო სიმძლავრის სარემონტო დაწესებულებად.

მძლავრი სავაგონო დეპოს შემთხვევაში სარემონტო ვაგონების რიცხვი უნდა იყოს 9000-12000 ვაგონის ფარგლებში.

ვაგონსაამწყობო უბნის თითოეულ ნაკადურ ხაზზე ვირჩევთ ვაგონების ტიპების მიხედვით სხვადასხვა რაოდენობის სარემონტო პოზიციებს. დახურული სატვირთო ვაგონებისათვის და ცისტერნებისათვის 44 პოზიციას, ნახევარვაგონებისათვის და ბაქნებისათვის 3-3 პოზიციას. სამღებრო სამუშაოები აქ არ გაითვალისწინება (მათთვის გამოყოფილია ცალკე პოზიცია). თითო სარემონტო პოზიციაზე განლაგდება თითო სარემონტო ვაგონი. საწარმოში ვითვალისწინებოთ ერთცვლიან სამუშაო დღეს. სარემონტო პოზიციების სიგრძეს ვირჩევ ისეთს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს რვადერძიანი ცისტერნების ან ნახევარვაგონების, ან დიდი ბაზების მქონე ვაგონების განთავსება სარემონტოდ.

ვაგონსაამწყობო უბნის ოპტიმალური ვარიანტის დადგენა და მისი დანერგვა საწარმოში ხელს შეუწყობს ვაგონების შეკეთების ხარისხის ამაღლებას, ვაგონების შეკეთებაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოწყობილობათა ფართოდ გამოყენებას; ცვლის განმავლობაში ზედმეტი და არარაციონალური გადადგილებების ლიკვიდაციით უფრო სრულყოფილად იქნება გამოყენებული მომუშავეთა დატვირთვა; მნიშვნელოვნად შემცირდება ხელით შრომის წილი და პრაქტიკულად გამოირიცხება და ლიკვიდირებული იქნება მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, სამუშაო ადგილების დიზაინი და მთელი რიგი სხვა

ერგონომიკული მოთხოვნები. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიოლდება მთლიანად საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების მართვის პროცესი, ოპტიმალური გახდება საწარმოს შტატი და ტექნოლოგიური მოწყობილობების რაოდენობა, ამაღლდება საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მაღალი იქნება მისი მწარმოებლურობა და ფინანსური თვალსაზრისით იქნება მომგებიანი.

ამასთანავე, შემოთავაზებულ ვარიანტში გათვალისწინებულია, რომ ვაგონსაამწყობო უბანზე სწარმოებს ვაგონებზე ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოთა დიდი მოცულობის შესრულება. იმისათვის, რომ მომუშავე კარგად და კომფორტულად გრძნობდეს თავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ნაკადური ხაზის ყველა საშემკეთებლო პოზიციის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების კეთილმოწყობას და მის დიზაინს. ვითვალისწინებთ ტრანსპორტზე მოთხოვნილ ყველა ერგონომიკულ საკითხებს. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყველა მოწყობილობებისა და ხელსაწყოების ზომები და დიზაინი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და მაქსიმალურად აიოლებს მომუშავეთა ხელით ფიზიკურ შრომას. ვაგონსაამწყობო უბანზე უადრესად მნიშვნელოვანია საჰაერო გარემოს გაჯასაღების მეთოდი. საუკეთესო მაჩვენებლად მიღებული გვაქვს მიკროკლიმატი, როდესაც ჰაერის ტემპერატურა  $18-24^{\circ}\text{C}$ -მდეა ფარდობითი ტენიანობა  $45-65\%$  და ჰაერის გადაადგილების სიჩქარე  $0,25 \div 0,45$  მ/წმ. ჰაერის ასეთი პარამეტრების უზრუნველსაყოფად მოწყობილია გათბობის და შემწვევა-გამწვევი ვენტილაციის სისტემები წელიწადის შესაბამისი პერიოდებისათვის. გარდა აღნიშნულისა სავაგონო დეპოს ვაგონსაამწყობო უბანზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ უსაფრთხოების წესებს ამწე-სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის დროს, ვინაიდან ისინი ითვლებიან მაღალი რისკის შემცველ მოწყობილობებად, კერძოდ ხიდური ამწეები, კონსოლური ამწეები, ტელფერები, დომკრატები და სხვა, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალურ რევიზიას მკაცრად დადგენილ ვადებში. უბანზე გათვალისწინებულია რაციონალური განათება და ელექტროუსაფრთხოების თვალსაზრისით გათვალისწინებულია

ყველა საყრდენის იზოლირება და ბლოკირება რაც იცავს ადამიანებს მათთან შემთხვევითი შეხებისაგან.

მთლიანობაში შემოთავაზებული საგაგონო დეპოს სარემონტო კორპუსი ჯდება ერთიან გენერალურ გეგმაში მასშტაბით: 1:1000.

შესაკეთებელი ვაგონების ტიპებიდან მაგალითისათვის შევარჩიოთ ნახევარვაგონები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენს მიერ შერჩეულ ვაგონსაამწყობო უბნის სქემაზე განლაგებული გვაქვს ოთხი ნაკადური ხაზი, რომლებზედაც ორზე მოწყობილია ოთხ-ოთხი საშემკეთებლო პოზიცია, ხოლო ორზე სამ-სამი თითოეულ პოზიციაზე განლაგებულია თითო სარემონტო ვაგონი. ერთ პოზიციაზე დაფიქსირებულ ორ ვაგონს შორის მანძილს ვარჩევ 0,5 მ-ს, იმ თვალსაზრისით ხაზზე შეიძლება მოხვდეს რვალერძიანი ვაგონი ან გრძელი ხაზების მქონე ოთხლერძიანი ვაგონები სარემონტო პოზიციების სიგრძეს ვირჩევ მის შესაბამისად.

ვაგონსაამწყობო უბანზე ვიდგებ ორ ხიდურ ამწეს ტვირთამწეობით 10 ტ. კონვეიერი მოქმედებაში მოდის სპეციალური ამძრავი სადგურებით, რომელთა მართვაც განხორციელებულია მართვის პულტის საშუალებით, ცენტრალიზებულად. ყოველი საშემკეთებლო პოზიცია აღჭურვილია სპეციალური სვეტებით, საიდანაც ხორციელდება შეკუმშული პაერის განაწილება, ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების შესასრულებლად და ასევე განათების ქსელისათვის პოზიციებზე განთავსდება დენის ჩამრთველები.

ვაგონები ვაგონსაამწყობო უბანზე მოხვდერამდე მოხვდებიან სპეციალურ შესაკეთებლად მოსამზადებელ უბანზე. ნახევარვაგონების გარეცხვა და გასუფთავება სწარმოებს დეპოსწინა ტერიტორიაზე განთავსებულ გამრეცხ-გამორთქლ სადგურში. ამ ოპერაციების გავლის შემდეგ ვაგონი შემოდის ვაგონსაამწყობო უბნის I პოზიციაზე.

ვაგონსაამწყობო უბნის I პოზიცია მოწყობილია სპეციალური სტაციონალური სადგამებით ნახევარვაგონების მოსათავსებლად მას შემდეგ, რაც მათი აწევა მოხდება და ხიდური ამწების საშუალებით ერთდროულად. აქვე გამოყენებულია დამჭერები, რომლებიც ხელს უშლიან ნახევარვაგონის ძარის გადაბრუნებას. ვაგონების ურიკების გადაადგილდება ხდება ვაგონსაამწყობო უბნიდან ურიკების შემკეთებელ

უბანზე, ასევე იმ უბნიდან დაკომპლექტებული მზა ურიკების დაბრუნება კვლავ ვაგონსაამწყობო უბანზე ხორციელდება ტრანსპორტულების საშუალებით. ამავე პოზიციაზე მიმდინარეობს ნახევარვაგონებიდან ავტოგადაბმულობათა მოხსნა. შთანმთქმელი აპარატების შეცვლა. ავტოგადაბმულობის გადასახსნელი ბერკეტების მოხსნა. სამუხრუჭე მოწყობილობათა მოხსნა (ჰაერმანაწილებლების, სამუხრუჭე ცილინდრების და ბერკეტების) მექანიზაციის საშუალებით გამოყენებულია ელექტროქანჩმაბრუნებლები და მანიპულატორები.

ვაგონსაამწყობო საამქროს II პოზიციაზე მოთავსებულია ოთხი პორტალური ტიპის YCPM-2 მანქანა, რომლის საშუალებითაც სწარმოებს გასწორების სამუშაოები ძარის ელემენტებსა და ჩარჩოზე. მანქანა გადაადგილდება რა ვაგონის გასწვრივ ასწორებენ ნახევარვაგონის ძარასა და ჩარჩოზე ყველა სახის გაღუნულობებს. მექანიზმების მართვა, რომელთა საშუალებითაც სწარმოებს ამ ოპერაციების შესრულება სწარმოებს სპეციალური მართვის პულტიდან. პოზიციაზე მთლიანად სრულდება ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოები, რისთვისაც მთლიანად ვიყენებ ნახევრადავტომატურ და ავტომატურ ელექტროშედუღებას, გარდა ამისა არის აცეტილენის, პროპანის და ჟანგბადის სარიგებელი სვეტები. საზეინკლო სამუშაოთა ჩასატარებლად მაქვს მექანიზაციის ყველა დამხმარე საშუალებანი. ამავე პოზიციაზე ნახევარვაგონზე მოთავსდება მზა ავტოგადაბმულობანი, გადასახსნელი ბერკეტები ამძრავ ჯაჭვებთან ერთად, აქვე სწარმოებს ნახევარვაგონების განსატვირთი ლიუკების სახურავებისა და ტორსული კარებების მოხსნა. თუ ისინი ექვემდებარებიან მოხსნას, მათ ნაცვლად მოთავსდება წინასწარ შეკეთებულნი. შესაკეთებელი კვანძები, რომლებიც მოიხსებიან II პოზიციაზე გადაიგზვნებიან შესაკეთებლად შესაბამისად განყოფილებებში. ამავე პოზიციაზე თავსდებიან სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემა, ხელის მუხრუჭი, შემაერთებელი სახელურები, ბოლო, გამანაწილებელი და სდექონკანები, ავტორეგულატორები, ავტორეჟიმები, ჰაერმანაწილებლები. ყველა კვანძების შეცვლა ნაკადურ-კონვეირული ხაზის II პოზიციაზე სწარმოებს აგრეგატული მეთოდით, სადაც არ ველოდებით ვაგონიდან მოხსნილი დეტალების შეკეთებას და გათავსებთ წინასწარ შეკეთებულებს ან ახლებს.

ვაგონსაამწყობო უბნის III პოზიცია აღჭურვილია სპეციალური სტენდ-მოწყობილობებით, რომელთა საშუალებითაც სწარმოებს სამუხრუჭე მოწყობილობათა გამოცდა შეკუმშული ჰაერის საშუალებით, ამ დროს მოწმდება სამუხრუჭე ცილინდრების, ავტორეგულატორების, ავტორეჟიმების, ჰაერმანაწილებლების მუშაობა, ხუნდის თვალზე მიჭერა და შესაბამისი ლრეჩოების რეგულირება.

ვაგონსაამწყობო უბნიდან ნახევარვაგონი გადადის სამდებრო განყოფილებაში შეღებვა-გაშრობის ოპერაციების შესასრულებლად. პოზიციაზე ვიყენებთ შეღებვის მეთოდს ელექტროსტატიკურ ველში, როდესაც საღებავგამფრქვევის თავი იმუხტება უარყოფითად, ხოლო ვაგონი დადებითად, რის შედეგადაც მიიღება თანაბარი საღებავის ფენა. გაშრობას ვაწარმოებ სპეციალური თერმორადიაციული საშრობი დანადგარების საშუალებით.

მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ შერჩეული ნახევარვაგონების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი, გამჭოლი ვაგონსაამწყობო უბნის დროს წარმოადგენს ერთ-ერთ ოპტიმალურ ვარიანტს და ანალოგიური პროცესი ხორციელდება დახურული სატვირთო ვაგონებისათვის, ცისტერნებისათვის და ბაქნებისათვისაც, მათი კვანძებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.

### **2.3. სატვირთო საფაგონო დეპოს საწარმოო უბნებზე განთავსებული თანამედროვე ახალი სარკინიგზო ტექნიკა და მათი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები**

იმისათვის, რომ საფაგონო დეპომ შეძლოს სრული სიმძლავრის განვითარება და ვაგონსაამწყობო უბნის ფრონტი მთელი სამუშაო ცვლის განმავლობაში შესრულდეს შეუფერხებლად აუცილებელია, რომ არამარტო აღნიშნული უბნის სარემონტო პოზიციები იყოს აღჭურვილი სატვირთო ვაგონების რემონტში გამოყენებული თანამედროვე ტექნიკით, არამედ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური პროცესი განხორციელებულ იქნეს ვაგონსაამწყობო უბნის მიმდებარედ განლაგებულ ვაგონების სხვადასხვა კვანძების სარემონტო უბნებზეც, საამქროებსა და განყოფილებებზე. რაც გარანტიას მისცემს ვაგონების ნაკადურ-

კონვეირული მეთოდით რემონტის შეუფერხებლად წარმართვის პროცესს, სტაბილური იქნება ნაკადური ხაზების ტაქტი და რიტმი და სამუშაო ოპერაციათა შესრულების შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის ცვლილებები იქნება დასაშვებ ფარგლებში.

### 2.3.1. ურიკებისა და წყვილთვლების შემკეთებელი უბანი

#### 2.3.1.1. სატგირო ვაგონების ურიკების ტექნოლოგიური კომპლექსი MT40

კომპლექსი (ნახაზი 7) ახორციელებს სატგირო ვაგონების ურიკების გვერდითი ჩარჩოების რეცხვას ავტომატურ ციკლში, რომელშიც ერთიანდებიან: კონვეირი, გამრეცხი კამერა და სისტემები, რომლებშიც შედიან – გამრეცხი – ხსნარის მოსამზადებელი მაღალი და დაბალი წნევების პიდროსისტემები; გამრეცხი ხსნარის სარეგულირაციო სისტემა და ავტომატური მართვის სისტემა. კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 6.

კონვეირით ხორციელდება ურიკის ჩარჩოს გადაადგილება გამრეცხ კამერაში და გამრეცხი კამერიდან. კონვეირი შედგება სატრანსპორტო კარეტისაგან, გადასაადგილებლის ამძრავისაგან და მომჭიმავი მოწყობილობისაგან. კარეტის გადაადგილება კონვეირის პოზიციებზე ხორციელდება სარელსო გზით ბაგირის და ელექტროამძრავის დახმარებით. სატრანსპორტო კარეტა შედგება კორპუსისაგან, რომელიც დამონტაჟებულია ოთხ თვალზე. ურიკის კორპუსზე ჩადგმულია მბრუნავი საყრდენი, რომელზეც განთავსდება გასარეცხი ურიკის ჩარჩო.

გამრეცხი კამერა არის გამჭოლი ტიპის და მის სახურავზე მოთავსებულია კამერების ასაწევი, საქმენი თავების საბრუნი და ასევე ურიკის საბრუნის ამძრავი. ამძრავი შედგება ელექტროძრავისაგან, რედუქტორისაგან და ვერტიკალური შლიცური ლილვისაგან, რომელზეც დამაგრებულია წამყვანი. კამერის გვერდით კედლებზე ორივე მხარეს ურიკის დონეზე განთავსებულია ორი საქმენის თავი. თითოეული მათგანი შედგება დრუიანი ლილვისაგან, რომელიც გადის კამერის

ნახ. 7. სატელერო გაგონების ურიკების გამრავლებითი ტექნოლოგიური კომპლექსი MT-40




სატვირთო ვაგონების ურიკების გამრეცხი  
ტექნოლოგიური კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები

ურიკების რეცხვის ხანგრძლივობა	6-10
გამრეცხი ხსნარის ტემპერატურა, °C	40-90
გამრეცხი საშუალებების მოსათავსებელი ავზის მოცულობა, მ³	5,5
მაღალწევიანი ელექტროსატუმბი აგრეგატი:	
- ტიპი	ЦНСГА 60-165
- მიწოდება, მ³/სთ	60
- დაწევა, მპა	165
გამრეცხი ხსნარის გახურება	ორთქლით ან თერმულად
წყლის ორთქლის წნევა, მპა	0,3
ელექტროგახურების სიმძლავრე, კვტ	126
დადგენილი ელექტრული სიმძლავრე გახურებისას, კვტ	
- ორთქლით	79
- ელექტრულად	205
ჰაერის წნევა, მპა	0,4-0,6
ურიკის გადასაადგილებელი კონვეიერის ტიპი	ბაგირული
კონვეიერის სიგრძე, მმ	15400
კომპლექსის მასა, კგ	12700

კედელს და დანიშნულია გამრეცხი ხსნარის მისაწოდებლად მაღალწევიანი სატუმბი აგრეგატიდან. ლილვის ბოლოში  $90^{\circ}$ -იანი კუთხით მაგრდება  $\Gamma$ -სებური ორი მილი მფრქვევანებით. საქშენის თავი მფრქვევანებთან ერთად ბრუნავს მისი ღერძის გარშემო. სახურავიდან კამერაში შეუვანილია დამატებითი მფრქვევანა საქუსლის ზედაპირის გასარეცხად.

გამრეცხი ხსნარის მომზადების სისტემა შედგება მაღალი და დაბალი წნევების ჰიდროსისტემებისაგან. მაღალი წნევის ჰიდროსისტემა შედგება მაღალი წნევის ელექტროსატუმბი აგრეგატისაგან, მილისაგან და მბრუნავი სასაქშენე თავებიდან, რომლებიც ჩამონტაჟებულია კამერის შიგნით. დაბალი წნევის ჰიდროსისტემა შედგება ავზისაგან, დაბალი წნევის ტუმბოსაგან, რომელიც აწვდის ხსნარის მაღალი წნევის ელექტროსატუმბი აგრეგატის შესასვლელს. წყალი, რომელიც გროვდება კამერის ქვედში ურიკის გარეცხვის შემდეგ, თვითჩამოდინებით კოლექტორით ხდება სექციონირებულ აგზში, რომელიც განთავსებულია უბნის იატაკის დონეზე ქვემოთ. ავზში მოთავსებულია კლაკნილა ორთქლის მისაწოდებლად გამრეცხი ხსნარის გასაცხელებლად მოცემულ



ნახ. 8. სატენირო გაზონების ურიკების გამრუცის ტექნოლოგიური ქმნილების MT-40 განლაგების სქემა  
 1 – კლნკერი; 2 – სატენანცოლტო კარგება; 3 – სატენანცოლტო კარგება; 4 – კლნკერის ამრავი; 5 – საყვიერის ამრავი; 6 – მოჭიმავი მოწყობილობა; 7 – სარელსო გზა; 8 – აგზი; 9 – ტემპერატურული ტემპერატურული მოწყობილობა; 10 – მაღალ ტემპერატურული მოწყობილობა; 11 – ჩამოსასხმელი მოწყობილობა; 12 – ტემპერატურის რეგულაციის რეგულატორი; 13 – რეგულარაციის სისტემის ტემპერატურული მიღები; 14 – პილოტიკოლონი; 15 – პილოტიკოლონის მართვის პულტი; 16 – ტემპერატურული მიღები; 17 – გადასახმელი გასატანად; 18 – ტემპერატურული მიღები; 19 – მართვის გარადა; 20 – ურიკის ჩარჩო; 21 – რეგენერაციის სისტემის ტემპერატიურული მიღები; 22 – სუფთა წყლის გაწყობის გენტილი; 23 – მიმართველი; 24 – მართვის პულტი ავზის ლუქებისა ხურუპისას (დამატებითი კომპლექტაცია)

ტემპერატურამდე. შესაძლებელია ავზი იყოს ელექტროგანურებით სიმძლავრით არაუმეტესი 130 კვტ. გამრეცხი ხრახნის რეგენერაციის სისტემა ახორციელებს ცირკულირებული გამრეცხი ხსნარის გასუფთავების მექანიკური მინარევებისაგან. სპეციალური ტუმბო შეკრებს ჭუჭყიან წყალს ავზის პირველი სექციიდან და მიაწვდის მას პიდროციკლონს. პიდროციკლონიდან გასუფთავებული წყალი ბრუნდება ავზში. ნარჩენების ჩაღვრა პიდროციკლონიდან ხორციელდება სპეციალურ ურიკაში.


კომპლექსის (ნახ. 8) ავტომატური მართვის სისტემა უზრუნველყოფს ძირითადი მექანიზმების მუშაობის ავტომატურ რეჟიმში. გასარეცხი ურიკა გადაეცემა ჩატვირთვის პოზიციაზე და განთავსდება კონვეიერის სატრანსპორტო კარეტაზე გამრეცხი კამერის წინ. კარეტა ბაგირული კონვეიერით გადაადგილდება გამრეცხი კამერაში და დაიკამტება კამერის კარებები. რეცხვის ხანგრძლივობას განსაზღვრავს დროის რელე-რეცხვის დროის დასრულების შემდეგ ტუმბოების ელექტროძრავები და მფრქვევანების ბრუნვის ამძრავი გამოირთვება. კამერის კარებები გაიხსნება, კონვეიერის დახმარებით ურიკა გამოგორდება გარეცხვის შემდგომ განტვირთვის პოზიციაზე. ციკლის დამთავრების შემდეგ კომპლექსი მზად არის მიიღოს შემდგომი გასარეცხი ურიკა.

### **2.3.1.2. სატვირთო ვაგონების წყვილთვლების დემონტაჟის საბუქსე კვანძების დეტალების და წყვილთვლების გარეცხვის მექანიზირებული კომპლექსი**

კომპლექსი წარმოადგენს თანამედროვე სიახლის ტექნიკას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ნაკადური წარმოების ტაქტის სინქრონულ მუშაობაში, ვინაიდან წყვილთვლების სარემონტო უბანი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საპასუხიმგებლო უბნად, რომელიც უზრუნველყოფს ნაკადურ-კონვეიერულ ხაზებზე წყვილთვლების დროულ მიწოდებას და ინარჩუნებს სათანადო მარაგს.

სატვირთო ვაგონების წყვილთვლების დემონტაჟის მექანიზირებულ კომპლექსში ხორციელდება ბუქსების დეტალების და წყვილთვლების გარეცხვა და უზრუნველყოფს შემდეგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს.

- წყვილთვლის აწევა, მისი გადაადგილება ესტაკადის გასწვრივ პოზიციიდან პოზიციაზე, სადაც შესაძლებელი იქნება წყვილთვლის შემობრუნება;
  - სადემონტაჟო სტენდის დახმარებით საბუქსე კვანძის ყველა ჭანჭიკის და M110 ქარჩების ამოხრახვნა;
  - წყვილთვლის ღერძიდან ორივე ბუქსის მოხსნა ბუქსმომხსნელის დახმარებით და მათი ტრანსპორტირება საკისრების სამონტაჟო ავტომატიზირებულ უბანზე, სადაც უნდა შესრულდეს საკისრების ბუქსების კორპუსიდან განწევის ოპერაცია და ასევე ბუქსის კორპუსების და საკისრების გარეცხვა;
  - განწევისა და რეცხვის ოპერაციების შესრულება;
  - წყვილთვალის გადაცემა ბუქსების გარეშე ავტომატიზირებულ კომპლექსზე მათი გარეცხვისათვის, სადაც იგი გაირეცხება გამრეცხისნარით, ხოლო ღერძის შუა ნაწილი თვლების ბადროები (დისკოები) გასუფთავდებიან მბრუნავი ჯაგრისებით;
  - გარეცხილი წყვილთვალის გადაცემა ესტაკადიდან საამქროს ლიანდაგზე;
- მექანიზირებული კომპლექსის (ნახ. 9) შემადგენლობა:
- მექანიზირებული ესტაკადი ტM46;
  - გორგოლაჭიანი ბუქსების სადემონტაჟო სტენდი CD25;
  - უნივერსალური ბუქსმომხსნელი BC 19;
  - წყვილთვლების გასარეცხი ავტომატიზირებული კომპლექსი MKP36;
  - ავტომატიზირებული უბანი საკისრების განწევისათვის და საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გარეცხვისათვის, სადაც განთავსდებიან: სატვირთო ვაგონების ბუქსების კორპუსების გამოსაწევები მოწყობილობა УВП05; გორგოლაჭიანი საკისრების გასარეცხი და გასაშრობი მანქანა MCP01; სატვირთო ბუქსების კორპუსების გამრეცხი მანქანა MKB04;
  - მოძრავი შემადგენლობის დეტალებისა და კვანძების გამრეცხი უნივერსალური მანქანა УМВ54.



ნახ. 9. სატერთო გაგონების წყვილოფლების დემონტაჟის, საბუქსე კვანძების დეტალებისა და წყვილოფლების გარეცხვის მექანიზმების კომპლუსი  
1 – მექანიზორებული ქეტადა; 2 – ბუქსების საღეომოწევო სტენდი; 3 – ბუქსემომსწოდელი; 4 – წყვილოფლების გასარეცხი ავტომატიზირებული კომპლუსი; 5 – საკისრების გამოსაწყები; 6 – ბუქსების გამოსაწყები; 7 – ბუქსების კორპუსის გამოსაწყები; 8 – მოძრავი შემაღებელობის დეტალებისა და კვანძების გამოვლენლური მანქანა.

### 2.3.1.3. წყვილთვლების გამრეცხი ავტომატიზირებული კომპლექსი

კომპლექსის (ნახ. 10) შემადგენლობაში შედის:

- წყვილთვლების გამრეცხი კამერა;
- წყვილთვლების მისაწოდებელი მოწყობილობა (კამერის შესასვლელზე და გამოსასვლელზე);
- გამრეცხი სენარის მოსამზადებელი სისტემები:

მაღალი და დაბალი წნევების პიდროსისტემები; გამრეცხი სენარის სარეგულირაციო სისტემა; ავტომატური მახასიათებლები მოცემულია მართვის სისტემა.

ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრ. 7-ში.


ცხრილი 7

#### ტექნიკური მახასიათებლები

წყვილთვლის რეცხვის დრო, წთ	3-7
გამრეცხი სენარის ტემპერატურა, °C	40-დან 90-მდე
გამრეცხი სენარის ავზის მოცულობა, მ³	5,5
მაღალწნევიანი ელექტროსატუმბი აგრეგატის ტიპი	ЦНСгА 38-176
სენარის მიწოდება, მ³/სთ	38
წყლის ორთქლის წნევა, მპა	0,3
ელექტროგასურების სიმძლავრე, კვტ	126
დადგენილი ელექტრული სიმძლავრე: კვტ	
ორთქლით გახურებისას	47
ელექტრული გახურებისას	173
ჯაგრისების ბრუნვის სიხშირე, ბრ/წთ	300
ჰაერის წნევა, მპა	0,4-0,6
კომპლექსის მასა, კგ	8000
გაბარიტული ზომები:	
სიგანე, მმ	1870
სიგრძე, მმ	3950
სიმაღლე, მმ	3160

კომპლექსის გამრეცხი კამერა შეიძლება იყოს გამჭოლი ან ჩიხობრივი და მოიცავს ჯაგრისების ზედა და ქვედა კვანძებს, წყვილთვალის ბრუნვის ამძრავს, კარებების ამწევ ამძრავს, ორთქლის ასაცილებელ მიღყელებს და მფრქვევანების სისტემას, წყვილთვალა განთავსდება ოთხ საყრდენ გორგოლაჭზე, რომელთაგან ორი მათგანი ითვლება ამძრავად, ბრუნვის სიჩქარე 10 ბრ/წთ, წყვილთვლების მისაწოდებელი მოწყობილობა კამერის შესასვლელზე და გამოსასვლელზე

ნახ. 10. წყვილთვლების გამრუცხი აკტომატიზირებული გომპლექსი მიკ136




ემსახურება წყვილთვლების ავტომატურ მიწოდებას გამრეცხ კამერაში, წყვილთვალის გაჩერებას გამოსასვლელზე და მის შემდგომ გადაცემას სარელსო გზაზე. კონსტრუქციულად ორივე მოწყობილობა ერთნაირია, რომელთაც აქვთ საყრდენი წყვილთვლების ფიქსაციისათვის და ბიძგარები მისი შემდგომი გადაადგილებისათვის. საყრდენები და ბიძგარები აღჭურვილია პნევმოამძრავებით.

გამრეცხი ხსნარის მოსამზადებელი სისტემა შედგება მაღალი და დაბალი წნევების პიდროსისტემებისაგან. მაღალი წნევის პიდროსისტემა შედგება მაღალი წნევის ელექტროსატუმბი აგრეგატისაგან ტიპი ЦНС<sub>Г</sub>А 38-176. გამრეცხ კვანძში ჩამონტაჟებულია 24 მფრქვევანა, რომლებიც გამრეცხ ხსნარს ასხურებენ წყვილთვლის დერქებს და დისკოებს. დაბალი წნევის პიდროსისტემა შედგება ავზისაგან და ტუმბოსაგან, რომელიც აწვდის ხსნარს მაღალი წნევის ელექტროსატუმბი აგრეგატის შესასვლელზე. წყალი, რომელიც გროვდება კამერის ქვედზე წყვილთვალას გარეცხვის შემდეგ, თვითხამოდინებით კოლექტორით ხვდება სექციონირებულ ავზში, რომელიც გამთავსებულია უბნის იატაკის დონეზე ქვემოთ. ავზში განთავსებულია კლაკნილა ორთქლის მისაწოდებლად გამრეცხი ხსნარის გასაცხელებლად მოცემულ ტემპერატურამდე. ავზი შეიძლება იყოს ელექტროგახურების ან თერმორეგულირების სისტემით. გამრეცხი ხსნარის რეგენერაციის სისტემა ახორციელებს ცირკულირებული გამრეცხი ხსნარის გასუფთავებას მექანიკური მინარევებისაგან და ჭუჭყისაგან. სპეციალური ტუმბო შეკრებს ჭუჭყიან წყალს ავზის პირველი სექციიდან და გადასცემს მას პიდროციკლონს. პიდროციკლონის გავლის შემდეგ გასუფთავებული წყალი ბრუნდება ავზში. პიდროციკლონიდან ნარჩენების ჩამოსხმა სპეციალურ ურიკაში.

კომპლექსის ავტომატიზირებული მართვის სისტემა უზრუნველყოფს გამრეცხი ხსნარის ტემპერატურის რეგულირების ავტომატურ რეჟიმში, ასევე ახორციელებს მის ვიზუალურ კონტროლს, წყვილთვალას მიწოდებას გამრეცხ კამერაში, მის ავტომატურ რეცხვას და გასუფთავებას, გარეცხილ წყვილთვალას გამოიტანს გამრეცხი კამერიდან და სხვა.

კომპლექსის (ნახ. 11) მუშაობა მდგომარეობს შემდგომში: ჭუჭყიანი წყვილთვალა განთავსდება კამერის წინა მისაწოდებელ მოწყობილობაზე.



ნახ. 11. წყვილთვლების გამრეცხი აგტომატიზირებული კომპლექსის MKII-36 განლაგების სქემა

- 1 - წყვილთვლების გამრეცხი აგმერა; 2 - წყვილთვლების მიწოდების და მიღების მოწყობილობა (შესასვლელზე და გამოსასვლელზე); 3 - მაღალი წევების ტუმბო; 4 - კოლექტორი; 5 - პილოტოციკლონი; 6 - აგზი; 7 - დამწევი ტუმბო; 8 - რეგენერაციის სისტემის ტუმბო; 9 - მართვის პულტი; 10 - აგზის ელექტროგასურების მართვის პულტი (დამატებითი კომპლექტაცია); 11 - ტუმბოების მართვის პულტი;; 12 - რეგენერაციის ტუმბოს მართვის პულტი; 13 - მართვის კარადა.


ოპერატორი მართვის პულტიდან ჩართავს დილაქს „რეცხვა“ და კომპლექსის მექანიზმები მუშაობას იწყებენ ავტომატურ რეჟიმში. წყვილთვალა გადაადგილება გამრეცხ კამერაში. იკეტება კამერის კარებები და იწყება გარეცხვისა და გასუფთავების პროცესი. ჯაგრისები გადაადგილდებიან მუშა მდგომარეობაში, ჩაირთვება ჯაგრისების ამძრავების ელექტროძრავები, დაბალი და მაღალი წნევების ტუმბოების ელექტროძრავები, წყვილთვალას ბრუნვაში მოსაყვანი ამძრავის ელექტროძრავი. რეცხვისა და გასუფთავების პროცესების ხანგრძლივობა ხორციელდება დროის ამოწურვისთანავე ყველა ელექტროძრავი გამოირთვება, ჯაგრისები განზე გაიწევა და დაუბრუნდებიან საწყის მდგომარეობას. კამერის კარებები გაიხსნება წყვილთვალა გამოგორდება კამერიდან და გაჩერდება კამერის შემდგომ მოწყობოლობაზე. ამით წყვილთვალას რეცხვის ციკლი დამთავრებულია და კომპლექსი მზად არის მიიღოს შემდგომი გასარეცხი წყვილთვალა.

#### **2.3.14. სატვირთო ვაგონების გორგოლაჭიანი საკისრების გასაწენები, საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გამრეცხი ავტომატიზირებული უბანი**


უბანზე განთავსებული მოწყობილობა საშუალებას იძლევა ავტომატურ რეჟიმში განხორციელდეს საკისრების გამოწენება ბუქსების კორპუსებიდან, საკისრების გარეცხვა და ბუქსების კორპუსების გარეცხვა (ნახ. 10). უბნის შემადგენლობაშია; სატვირთო ბუქსების საკისრების გამოსაწენები მოწყობილობა УВП05; ბუქსების კორპუსების გამრეცხი მანქანა МКБ04; გორგოლაჭიანი საკისრების გასარეცხი და გასაშრობი მანქანა МСП01; მართვის პულტები.

საკისრების გამოდევნის მიმართულების ცვლილების ხარჯზე საკისრების გამოსაწენები მოწყობილობაზე (მარჯვენა ან მარცხენა შესრულებით) უბნის მოწყობილობათა კომპაქტურობა შეიძლება იყოს ცვალებადი (ნახ. 12; ნახ. 13); უბნის ელექტრული სიმძლავრე შეადგენს 20 კვტ-ს ელექტრული გახურებისას.

ავტომატიზირებული უბანი მუშაობს შემდეგნაირად: ტვირთამწევი მექანიზმით და ბუქსმომხნელით ჭუჭყიანი ბუქსებთან და საკისრებთან



ნახ. 12. საგირჩეო განვიწყოსა და საგირჩეო და ბუქსების გორგულების  
მიზანების გერენაციაზე და გერენაციის შესრულების მიზანები



ნაკ. 13. საგილოვანი გაწნევას და საგილოვანი აღმართების და ზუქების გორծებულების გამოყენები

ერთად განთავსდება უნივერსალური საკისრების გამოსაწევები მოწყობილობა YBPI05 უძრავ მაგიდაზე. მოწყობილობა ჩაირთვება „გაშვება“ დილაკის ამოქმედებით და შემდგომ იგი მუშაობს ავტომატურ რეჟიმში. ბუქსა გადაადგილდება მოძრავი კარეტათი საკისრების გამოწევების ზონაში, რომელშიც პიდროცილინდრი გამოდევნის საკისრებს ზედა მაგიდაზე, საიდანაც ისინი მორიგეობით ავტომატურად გაიტყორცნებიან დახრილ ტრაპზე და მიგორავენ გორგოლაჭიანი საკისრების გარეცხვისა და გაშრობის MTC01 მანქანაში. მოძრავი კარეტის შემდგომ სვლად ითვლება ბუქსის კორპუსის გადაადგილება ბუქსების კორპუსების გამრეცხ მანქანაზე MKE04, რომლის მექანიზმებიც ავტომატურად ჩაირთვება მუშაობაში. შტანგური კონვეიერის დახმარებით კორპუსი გადაადგილდება გამრეცხ კამერაში. შემდეგი ბუქსის კორპუსი, რომელიც მოქმედებს ბოლო ამომრთველზე, კვლავ ჩართავს MKE მანქანას და გადაადგილდება გამრეცხ მანქანაში, საიდანაც ერთდროულად. გამოიდევნება ბუქსის სუფთა კორპუსი, რომელიც მოხვდება გამოსასვლელ ტრაპზე. MTC მანქანა ჩაირთვება ოპერატორის მიერ მას შემდეგ, რაც შესასვლელ ტრაპზე დაგროვება სამი საკისარი და შემდგომ იგი მუშაობს ავტომატურ რეჟიმში. გასარეცხი საკისრები მოხვდებიან გამრეცხ კამერაში, შემდგომ გაივლიან გამშრობ კამერას და გამოგორდებიან გამოსასვლელ ტრაპზე.

### **2.3.1.5. გორგოლაჭიანი საკისრების გარეცხვისა და გაშრობის ავტომატური მანქანა MTC01**

ავტომატური მანქანა (ნახ. 14) დანიშნულია საკისრების გამრეცხი ხსნარით გარეცხვისათვის, ცივ წყალში გავლებისათვის და გაშრობისათვის მას შეუძლია მუშაობა, როგორც ავტომატურად, ასევე ავტომატიზირებული უბნის შემადგენლობაში, სადაც ხვდება საკისრების განწევა და საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გარეცხვა. მანქანის შემადგენლობაში შედის: აგზი, გარეცხვისა და გაშრობის კამერა და მართვის პულტი. მანქანის ტექნიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში 8.

გამრეცხი ხსნარის აგზს აქვს ორი განყოფილება, რომლებიც გაყოფილია გადატიხვრებით, რომლებიც ქმნიან წყლის ზოგიერთ ნაკადს

გორგოლაჭიანი საკისრების გამრეცხი და გამშრობი ავტომატური  
მანქანის MCPI-01 ტექნიკური მახასიათებლები

<b>ერთდროულად</b>	<b>დასამუშავებელი</b>	<b>საკისრების რაოდენობა</b>	<b>2</b>
ერთი წევილი საკისრების გარეცხვისა და გაშრობის დრო, წთ			2÷4
გამრეცხი სსნარის ტემპერატურა °C			40÷90
ავზის მოცულობა, მ³			1,15
ტუბოს მწარმოებლურობა, მ³/სთ			25
დაწნევა, მწყსვ.			32თ
გამრეცხი სსნარის გახურება			წყლის ორთქლით ან თერმულად
დადგენილი ელექტრული სიმძლავრე, გახურების ვარიანტებისას, კვტ			
– ორთქლით			7,0
– ელექტრულად			38
ჰაერის წნევა, მპა			0,4÷0,6
საკისრების გაშრობა			გაცხელებული ჰაერით
შეკუმშული ჰაერის ხარჯი საკისრის გაშრობაზე, მ³/სთ			100
წყლის ორთქლის წნევა, მპა			0,3
მართვის პულტის მასა, კგ			50
გაბარიტული ზომები:			
– სიგრძე, მმ			2378
– სიგანე, მმ			1300
– სიმაღლე, მმ			1832
მანქანის მასა გამრეცხი სსნარის გარეშე, კგ			1000


და ხელს უწყობენ მყარი მასების გამოყოფას გამრეცხი სსნარიდან. ორივე განყოფილებას აქვს დახრილი ერთნაირი ძირი და ჩამოსასხმელი მილები დამუშავებულია სსნარის მოსაცილებლად. ავზში გათვალისწინებულია სუფთა წყლის მიწოდება მილსადენიდან და თავისუფალი გადასხმა, რომელიც ზღუდავს გამრეცხი სსნარის დონეს. სსნარის გასაცხელებლად თითოეულ განყოფილებაში გათვალისწინებულია ორთქლის კლაკნილები და მილებიანი ელექტრული გამხურებლები (ტექნები). თითოეული განყოფილება აღჭურვილია ლიუკით ავზის გასასუფთავებლად. სსნარის ტემპერატურა ორთქლის ან ელექტრული გახურების გამოყენებისას კონტროლდება ტემპერატურის დამოუკიდებელი რეგულატორებით. თბური დანაკარგების შესამცირებლად და მომსახურე პერსონალისათვის დამწვრობის თავიდან ასაცილებლად ავზი აღჭურვილია თბოსაიზოლაციო ეკრანებით. გამრეცხი სსნარი შეიწვება

ელექტროტუმბოთი ფილტრის გავლით ავზის მცირე განყოფილებაში. ავზზე განთავსებულია გარეცხვისა და გაშრობის კამერა. კამერის შიგნით გადაადგილდება დასამუშავებელი საკისრების ბრუნვის ამძრავის მექანიზმი, რომელიც შედგება ორი წყვილი წამყვანი და მიმული გორგოლაჭებისაგან. მიმული გორგოლაჭები შემობრუნდებიან გორგოლაჭების ირგვლივ და გადაყრიან საკისრებს გამრეცხი კამერიდან გამშრობაში და მანქანის გამოსასვლელზე. რეცხვისა და გაშრობის კამერებში დამონტაჟებულია მფრქვევანები, რომლებიც საკისრებს აწვდიან გამრეცხ სსნარს, სუფთა გაცხელებულ წყალს საკისრების გასავლებად და გახურებულ პაერს საკისრების გასაშრობად. ორთქლის მოსაცილებლად გაშრობის კამერიდან მას ზედა ნაწილში აქვს სპეციალური ნახვრეტი.

საწყის მდგომარეობაში ჭუჭყიანი საკისრების გაჩერდებიან შესასვლელ ტრაპზე საჩერებელი საფარით. მისი შემობრუნების შემდეგ დილაკის „გაშვება“ ამოქმედებით მანქანა იწყებს ავტომატურ ციკლს. აიწვა რეცხვისა და გაშრობის საფარები და წყვილი საკისრები გადაეცემიან გამრეცხ კამერას. ჩაირთვება საკისრების ბრუნვის მექანიზმის ამძრავი გარეცხვისა და გაშრობის კამერებში და დაეშვებიან სადაც ჩაირთვება ელექტროტუმბო, რომელიც მიაწვდის გამრეცხ სსნარს წნევით მფრქვევანების სისტემით მბრუნავ საკისრებზე. ამავდროულად შეკუმშული პაერი მიეწოდება საკისრებზე, რომლებიც ბრუნავენ გაშრობის კამერაში. გამრეცხი სსნარის მიწოდების სანგრძლივობა გარეცხვის კამერაში და პაერისა კი გამშრობ კამერაში დგინდება დროის რელეს მეშვეობით. აუცილებლობის შემთხვევაში საკისრების გადაადგილების წინ გაშრობის კამერაში მათზე მიეწოდება სუფთა წყალი გასავლებად, გარეცხვისა და გაშრობის პროცესების დამთავრების შემდეგ აიწვიან საფრები და საკისრები გადაგორდებიან გამრეცხი კამერიდან გამშრობაში, ხოლო გამშრობი კამერიდან მცირე გამოსასვლელზე ტრანსპორტირებისათვის ტექნოლოგიური პროცესის შემდეგ სტადიაზე. ამავდროულად გასარეცხი საკისრების შემდეგი წყვილი გადაეცემა გამრეცხ კამერაში და პროცესი მეორდება. მანქანა შეიძლება განთავსებული იქნეს გამწოვი ქოლგის ქვეშ გამთბარ საწარმოო შენობაში, სადაც გარემომცველ პაერის ტემპერატურა იმყოფება



ნახ. 14. ქორგოლაჭიანი საგისტრების გარეცხვისა და გაშრობის ავტომატური მანქანა MCH-01




ნახ. 15. გორგოლაჭიანი საკისრების გარუცხვისა და გაშრობის აეტომატური მანქანის MCH-01 განლაგების სქემა  
1 – აეზი; 2 – გარუცხვისა და გაშრობის კამერა; 3 – მართვის კულტი ბახურების მართვის ბლოკი; 4 – პნევმოკარალი; 5 – კლუქტროტუმბო

+10°C-დან +35°C-ის ფარგლებში. მანქანის განსათავსებლად (ნახ. 15) მოითხოვება სწორი პორიზონტალური მოედანი, რომელიც არ საჭიროებს ფუნდამენტს, მაგრამ რეკომენდებულია იატაკზე იყოს ბეტონის მოედანი სისქით არანაკლები 100 მმ. მართვის პულტის განლაგება განისაზღვრება ადგილობრივი პირობების შესაბამისად, სადაც გაითვალისწინება მომსახურების მოხერხებულობა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მომსახურე პერსონალისათვის.

### **2.3.1.6. სატვირთო ვაგონების ბუქსების კორპუსების გამრეცხი ავტომატური მანქანა მკბ 04**

მანქანა (ნახ. 16) ახორციელებს სატვირთო ვაგონების ბუქსების კორპუსების გარეცხვას ხსნარით, მათ გავლებას სუფთა წყლით. მას შეუძლია მუშაობა, როგორც ავტომატურ რეჟიმში, ასევე ავტომატიზირებული უბნის შემადგენლობაშიც, სადაც ხდება საკისრების ბუქსების კორპუსებიდან განწერება და საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გარეცხვა და გაშრობა. მანქანა შედგება: აგზისაგან, გამრეცხი კამერისაგან და მართვის პულტისაგან. მისი ტექნიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში 9.

გამრეცხი ხსნარის მოძრაობა, ტემპერატურული რეგულირება და მისი მიწოდება ანალოგიურია, როგორც საკისრების გამრეცხი მანქანის. აგზე მოთავსებულია გამრეცხი კამერა. კამერის ხუფი აიწევა პნევმოცილინდრით და მიმმართველებით, რომელთა საშუალებითაც ბუქსის კორპუსის შიგნით მიეწოდება ხსნარი. კამერაში შეევანილია მილები, რომელთა ბოლოებზეც დაყენებულია ზედა და ქვედა მბრუნავი გამაშეფები. ზედა გამშეეფი დანიშნულია ბუქსის კორპუსის გარეგანი და შიგა გარეცხვისათვის ქვედა გამშეეფი კი ლაბირინთული რგოლის გასარეცხად გამშეეფები თავისუფლად ბრუნავენ რეაქციული ძალის მოქმედებით, რომელიც იქმნება ტანგენციალური ჭავლებით. ბუქსის კორპუსის გასარეცხად სუფთა წყლით გათვალისწინებულია სპეციალური მფრქვევანები, რომლებშიც მიეწოდება წყალგამტარის წყალი, რომელიც წინასწარ არის გაცხელებული მილში, რომელიც გადის აგზში. აგზის სახურავზე დამოწაუებულია მიმმართველები, რომლებზეც უყრდნობა




ნახ. 16. სატელერო კაგონების ბუქსების კორპუსების გამრუცხი მანქანა ავტომატი მკბ-04

ბუქსების გამრეცხი მკნ04 ტიპის გამრეცხი ავტომატური  
მანქანის ტექნიკური მახასიათებლები

რეცხვის ხანგრძლივობა, წთ	2-4
გამრეცხი ხსნარის ტემპერატურა, °C	40÷90
ავზის მოცულობა, მ³	1,15
ტუბოს მწარმოებლურობა, მ³/სთ	25
დაწევა, მ.წ.სვ.	32
გამრეცხი ხსნარის გახურება	წყლის ორთქლით ან ტენით
დადგენილი ელექტრული სიმძლავრე გახურების გარიანტების მიხედვით, კვტ	<p>- ორთქლით 6,0</p> <p>- ელექტრული 37</p>
ჰაერის წნევა, მპა	0,4÷0,6
წყლის ორთქლის წნევა, მპა	0,3
გაბარიტული ზომები:	
სიგრძე – მმ	2490
სიგანე – მმ	1305
სიმაღლე – მმ	1835
მანქანის მასა, გამრეცხი ხსნარის გარეშე, კგ	1000
მართვის პულტის მასა, კგ	50

ბუქსის კორპუსი რეცხვის პროცესში და გადაადგილდება მანქანაში და შტანგა სამი კავით ბუქსის კორპუსის დასაჭერად. შტანგა პნევმოცილინდრის დახმარებით გადაადგილდებს ბუქსის კორპუსს კამერაში მიმდებ პოზიციაზე და მის გამოსასვლელზე. მიმდებ ტრაპზე განთავსდება ბუქსის გამრეცხი კორპუსი, რომელიც მოქმედებაში მოვა. ჩამრთველიდან აიწევა გამრეცხი კამერის ხუფი და შტანგური კონვეიერი გადაადგილდებს ბუქსის კორპუსს კამერაში. ამის შემდეგ ხუფი დაეშვება და ჩაირთვება ელექტროტუმბო, რომელიც მიაწოდებს გამრეცხ ხსნარს გამაშეფების. რეაქციული ძალების მოქმედებით გამაშეფები ბრუნვაში მოვლენა და გარეცხავენ ბუქსის კორპუსებს გამრეცხი ხსნარით გარედან, შიგნიდან და ქვემოდან, სადაც შესრულებულია ლაბირინთული შემოჩარხვები. რეცხვის დროის ამოწურვისას ბუქსის კორპუსზე გადაეცემა სუფთა წყალი მის გასაგლებად. რეცხვის პროცესის დამთავრების შემდეგ აიწევა კამერის ხუფი. შტანგური კონვეიერი ამავდროულად გადაადგილდებს პირველ (სუფთა) ბუქსის კორპუსს გამრეცხი კამერიდან გამოსასვლელ ტრაპზე და მეორე (გასარეცხი) ბუქსის კორპუსი ტრაპიდან გადავა გამრეცხ კამერაში. პროცესი მეორდება პოზიციაზე შემდგომი ბუქსის კორპუსის




ნახ. 17. სატვირთო გაგონების ბუქსების კორპუსების გამოყენები მანქანა  
ავტომატიკური მანქანა MKB-04 განლაგინის სქემა  
1 – აგზი; 2 – გამარჯები მანქანა; 3 – მართვის პულტი გახურების მართვის  
ბლოკი; 4 – ანემოგარადა; 5 – კლემებრობები

მოთავსებისას. მანქანის განთავსებისადმი წაყენებული მოთხოვნები ანალოგიურია, როგორც საკისრების გამრეცხი მანქანის შემთხვევაში (ნახ. 17).

### **2.3.1.7. სატვირთო ვაგონების ბუქსების საკისრების გამოსაწნევი მოწყობილობა УВП05**

მოწყობილობა ახორციელებს გორგოლაჭიანი საკისრების გამოწევას ბუქსის კორპუსიდან (ნახ. 18) მას შეუძლია მუშაობა, როგორც ავტონომიურად, ასევე ავტომატიზირებული უბნის შემადგენლობაში, სადაც ხდება საკისრების გამოწევა, საკისრებისა და ბუქსების კორპუსების გარეცხვა. მოწყობილობა შედგება: ჩარჩოსაგან, უძრავი მაგიდისაგან, მოძრავი მაგიდისაგან, ტრავერსასაგან, ჰიდროსადგურისაგან ასაწევი და გამოსაწნევი ჰიდროცილინდრებით მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 10.

მოწყობილობის ჩარჩოზე განთავსებულია უძრავი მაგიდა ბუქსის სამი ჰოზიციით და მოძრავი კარეტა, რომელიც ემსახურება ბუქსის ჰორიზონტალურ გადაადგილებას და აწევას. კარეტის აწევა ხორციელდება სპეციალური მექანიზმით ჰიდროცილინდრის დახმარებით, ხოლო ჰორიზონტალური გადაადგილება ხორციელდება პნევმოცილინდრის დახმარებით. ჰირველ ჰოზიციაზე ბუქსა მოთავსდება ბუქსმომხსნელის ან ტვირთამწევი მექანიზმის დახმარებით: მეორე და მესამე ჰოზიციებზე ბუქსა გადაადგილდება ავტომატურად მოძრავი კარეტით. მესამე ჰოზიციიდან ბუქსის კორპუსი მოძრავი კარეტით გადაადგილდება მანქანის მიმღებ მაგიდაზე ბუქსის კორპუსის გასარეცხად. გამოსაწნევი მოწყობილობის ზემოთ განლაგებულია ტრავერსა, რომელიც ბუქსის საყრდენად მათიდან საკისრების გარე რგოლების გამოწევისას და მათ გასანაწილებლად ორ დარაკში. საკისრების საბიძგებლად დარაკის მიმართულებით ტრავერსაზე დაყენებულია ორი პნევმოცილინდრი. გათვალისწინებულია ტრავერსის შემობრუნების შესაძლებლობა მოწყობილობაზე  $180^{\circ}$ -ით, საკისრების გამოგდების მიმართულებით ცვლილებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ორი სქემის რეალიზაცია



ნახ. 18. სატეირო გაგონების ბუქსიდან საკისრების გამოსაწნევი  
მოწყობილობა YBП05


სატვირთო ვაგონების ბუქსების საკისრების გამოსაწყები  
УВП05 მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლები

<b>საკისრის გარე დიამეტრი, მმ</b>	<b>250</b>
გამოწყების ძალვა, კგ	5000-ზღვე
ციკლის მინიმალური დრო, წთ	1,5
პიდროსადგურის ტიპი	СВ-М3-40-ВПБ
მუშა წნევა პიდროსადგურუებში, მპა (კგ/სმ <sup>2</sup> )	
– გამოწყების	12,5 (125)
– ამწევი შექანიზმის	1,0 (10)
წნევა პნევმოსისტემაში, მპა (კგ/სმ <sup>2</sup> )	0,4÷0,6 (4,0÷6,0)
დადგენილი ელექტრული სიმძლავრე, კვტ	2,2
გაბარიტული ზომები, მმ	
– სიგრძე	1560
– სიგანე	1480
– სიმაღლე	1580
მოწყობილობის მასა, კგ	600
მართვის პულტის მასა, კგ	40

ავტომატურ უბანზე სადაც ხდება საკისრების გამოწყება, საკისრებისა და ბუქსის კორპუსების გარეცხვა.

პიდროცილინდრი, რომელიც ემსახურება საკისრების გამოწყებას ბუქსის კორპუსიდან მოთავსებულია მოწყობილობის ჩარჩოს საყრდენ ფილაზე. პიდროცილინდრის ჭოკზე განლაგებულია დისკი, რომლითაც საკისრები გამოიწყებიან ბუქსის კორპუსიდან. მართვის პულტი განკაგებულია მოსახერხებელ ადგილზე, ხოლო პიდროსადგური კი უშუალოდ სიახლოვეში მოწყობილობასთან და შეერთებულია მასთან მაღალი წნევის სახელურებით.

მუშაობის პროცესში ბუქსა მიეწოდება მოწყობილობას მიმღებ პოზიციაზე ბუქსმოსახსნელის ან სხვა ტვირთამწე მოწყობილობის დახმარევით. ბუქსის მოთავსების შემდეგ ადამიანის მიერ მოხდება მოწყობილობის გაშვება და დანარჩენი პროცესი მიმდინარეობს ავტომატურად, მოძრავი კარეტა აიწევა, აიტაცებს ბუქსას და გადაიტანს მას გამოწყების პოზიციაზე. ამ მდგომარეობაში გადაადგილებული მოძრავი კარეტა პიდროცილინდრით აიწევა და ბუქსა გაჩერდება 2-4 მმ მანძილზე ტრაგერსის ქვედა ზედაპირიდან. შემდეგ ჩაირთვება გამოწყების პიდროცილინდრი, რომელიც გამოდენის საკისრებს ზევით კორპუსის საზღვრებს გარეთ, რის შემდეგაც პნევმოცილინდრები



ნახ. 19. სატკიროო ფაზონების ბუქსებიდან საკისრების გამოსაწვევი მოწყობილობის

1 – ჩარჩო; 2 – ამრავი მაგიდა; 3 – მოძრავი კარტბა; 4 – მოძრავი კარტუსი გაღასაადგილებელი ანგაშოცილინდრი; 5 – საკისრების ორი დარაჯისაკენ საბიტებით ანგაშოცილინდრები; 6 – პილრსალბური; 7 – მოძრავი კარტუსი ასაწევი ჰიდროცილინდრი; 8 – საკისრების გამოსაწყები პილრცილინდრი; 9 – ტრავერსა; 10 – მართვის პულტი

უბიძგებენ საკისრებს მიმმართველ დარაჯისაკენ რომლითაც ისინი გაგორდებიან გარეცხვისა და გაშრობის ავტომატურ მანქანაში. პიდროცილინდრის ჭოკი ბრუნდება საწყის მდგომარეობაში, ხოლო კარეტა გადადის მიმღებ პოზიციაზე. შემდეგი სვლით კარეტა აიტაცებს ახალ ბუქსას მიმღები პოზიციიდან და გადასცემს მას გამოწეხვის პოზიციას, ხოლო ბუქსას კორპუსს საკისრების გარეშე კი გამომავალ პოზიციას, ბუქსას კორპუსების გამრეცხი მანქანის მიმღებ მაგიდაზე. შემდგომში ციკლი მეორდება. მოწყობილობა განთავსდება გამთბარ საწარმოო შენობაში გარემომცველი ჰაერის ტემპერატურით  $+10\div35^{\circ}\text{C}$ . მოწყობილობა მონტაჟდება სწორ პორიზონტალურ მოედანზე ფუნდამენტურ ჭანჭიკებზე. მართვის პულტის განთავსება (ნახ. 19) განისაზღვრება ადგილობრივი პირობების შესაბამისად, რაც გულისხმობს მომსახურების მოხერხებულობას და ადამიანთა შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას.


### **2.3.1.8. მექანიზირებული ესტაკადა ტM 46**

მექანიზირებულ ესტაკადას ვიყენებთ საბუქსე კვანძების წყვილთვლის ღერძიდან დემონტაჟის უბნებზე რემონტის ნაკადური მეთოდის დროს და ახორციელებს წყვილთვალას აწევას, დაშვებას და გადაადგილებას (ნახ. 20). ესტაკადა წარმოადგენს მექანიზირებული კომპლექსების საფუძველს, რომლებშიც შედიან ასევე გორგოლაჭიანი ბუქსების დემონტაჟის სტენდები, ბუქსმომსხნელები, ავტომატიზირებული უბნები საკისრების გამოსაწეხად და საკისრებისა და ბუქსის კორპუსის გასარეცხად, ასევე სხვა მოწყობილობები. ესტაკადაში შეიძლება ჩაიდგას წყვილთვლების გამრეცხი კამერა. ესტაკადა შედგება თანმიმდევრობით განლაგებული სხვადასხვა დანიშნულების სტანდარტული სექციებისაგან და რეალური ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად შეიძლება პქონდეს სხვადასხვა სიგრძე და სექციების თანმიმდევრობა. ესტაკადის განთავსება შესაძლებელია საბუქსე კვანძების მონტაჟის უბანზეც.

სტანდარტული მექანიზირებულ ესტაკადაში (ნახ. 21) გაერთიანდებიან:



ნახ. 20. ემ – 410 ტიპის სფანდარტული მექანიზმებული ესტაბალა



ნახ. 21. ტმ – 46 ტიპის სტანდარტული მექანიზმებული ქსტაგდის განლაგების სქემა  
 1 – წყვილთვლის ამჟღვი; 2 – ასაწევ-მოსახრუნველი მოწყობილი; 3 – წყვილთვლის  
 პრიციპითი ნიზამი; 4 – გადადიდების მოწყობილი; 5 – წყვილთვლის ჩასაშენებელი;  
 6 – მართვის პულტი; 7 – პირველი სალერანგერი.

- შემაღლებული სარელსო გზა ( $H = 600$  მმ), რომელიც შედგება სამი სექციისაგან;
- ესტაკადაზე წყვილთვლების ასაწევი მოწყობილობა;
- ესტაკადიდან წყვილთვლის ჩამომშვები მოწყობილობა;
- ესტაკადის გზებზე ერთი სარემონტო პოზიციიდან მეორეზე წყვილთვლების პოზიციონირებისა და გადაადგილების მოწყობილობა (3 ცალი);
- წყვილთვლის ასაწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობა ( $H=200$  მმ) ბუქსების სამონტაჟო სტენდთან ერთად სამუშაოდ;
- წყვილთვლების ასაწევი მოსაბრუნებელი მოწყობილობა ( $H = 400$  მმ) ბუქსმომხსნელთან ერთად სამუშაოდ;
- მართვის სისტემა.

ესტაკადის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 11-ში.

#### ცხრილი 11

მექანიზირებული ესტაკადის ტექნიკური მახასიათებლები

წყვილთვლის ტიპი	PY 950
წყვილთვლის მაქსიმალური მასა, კგ	2100
ესტაკადის სიმაღლე დასაწყისში, მმ	600
დახრილობა (მოძრაობის მიმართულებით)	1400
წყვილთვლის ამწევი ესტაკადაზე <ul style="list-style-type: none"> <li>- ძალური ამძრავის ტიპი</li> <li>- ჰიდროსადგურის ტიპი</li> <li>- მაქსიმალური დასაშვები წნევა ჰიდროსისტემაში, მპა</li> </ul>	ჰიდრავლიკური CB-M1-40 2 0
წყვილთვლის ქვემოთ ჩამომშვები <ul style="list-style-type: none"> <li>- მოქმედების პრინციპი</li> <li>- ძალური ამძრავის ტიპი</li> </ul>	ავტომატური პნევმოჰიდრავლიკური
წყვილთვლის პოზიციონირების და გადაადგილების მოწყობილობა <ul style="list-style-type: none"> <li>- ტიპი</li> <li>- მიწოდების პოზიციების რიცხვი (რაოდენობა)</li> </ul>	პნევმატური 3
ჰაერის წნევა, მპა	0,4÷0,6
დადგენილი სიმძლავრე, კვტ	2,5
ესტაკადის მასა (სიგრძისას 10 მ)	4800

ესტაკადის მუშაობის დაწყება ხორციელდება მართვის პულტიდან ოპერატორის მეშვეობით შემდეგი თანმიმდევრობით:

- წყვილთვლის აწევა ესტაკადაზე და მისი გადაადგილება პოზიციონირების პირველ მოწყობილობამდე ამწევ-მოსაბრუნებელზე  $H = 200$  მმ (პოზიცია 1);


- წყვილთვლის აწევა ამწევი მოსაბრუნებელი მოწყობილობით პირველ პოზიციაზე ფიქსირებულ სიმაღლეზე გორგოლაჭიანი ბუქსების დემონტაჟის სტენდთან ერთად სამუშაოდ, რომლის დახმარებითაც სწარმოებს ბუქსის კორპუსის ჭანჭიკების ამოხრახვნა საჩერებელი თამასის მოხსნა და M110 ქანჩების ან ტორსული საყელურების მოხსნა;
- წყვილთვლის შემობრუნება მის მეორე მხარეს ანალოგიური ოპერაციის შესასრულებლად;
- წყვილთვლის ჩამოშვება სარელსო გზაზე და მისი გადაადგილება პოზიციონირების მეორე მოწყობილობასთან და მისი გადაადგილება (პოზიცია – 2 ლოდინი);
- წყვილთვალას გადაადგილება პოზიციონირების მესამე მოწყობილობამდე და გადაადგილება ასაწევ-მოსაბრუნებელ მოწყობილობასთან  $H = 400$  მმ (პოზიცია – 3 ბუქსების მოხსნა);
- წყვილთვლის აწევა ასაწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობით ფიქსირებულ სიმაღლეზე ბუქსმომხსნელით პირველი ბუქსის მოხსნელად;
- წყვილთვლის ჩამოშვება სარელსო გზაზე მისი გადაადგილება წყვილთვლის ჩამომშვებ მოწყობილობაზე, რომელიც მოხსნის წყვილთვალას ესტაკადიდან.

ესტაკადი განთავსდება გამთბარ შენობაში  $+10 \div +35^{\circ}\text{C}$   
 ტემპერატურის საზღვრებში. მონტაჟისათვის აუცილებელია სწორი პორიზონტალური ბეტონის მოედანი სისქით არანაკლებ 100 მმ, წყვილთვლის ამწევი და ჩამომშვები ჩაღრმავება 200 მმ-ზე.

### 2.3.1.9. წყვილთვალას ამწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობა ППУ 200 და ППУ 400

მოწყობილობანი შედიან მექანიზირებული ესტაკადის შემადგენლობაში წყვილთვალას ასაწევად და შემოსაბრუნებლად  $180^{\circ}$ -ით დემონტაჟის, მონტაჟის და საბუქსე კვანძების შუალედური რევიზიის დროს (ნახ. 22).

ППУ 200 რომლის აწევის სიმაღლეც არის 200 მმ შედის მექანიზირებულ ესტაკადაში გორგოლაჭიანი ბუქსების დემონტაჟის



ნახ. 22. წყვითლოვალის ასაწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობა შიუ - 200

სტენდთან ერთად სამუშაოდ, რომლის დახმარებითაც სწარმოებს ბუქსის კორპუსის ჭანჭიკების ამოხრახვნა, საჩერებელი თამასის მოხსნა, M 110 ქანჩების და ტორსული საყელურის მოხსნა (ნახ. 23).

ППУ 400 – აწევის სიმაღლით 400 მმ ასევე შეადგენს მექანიზირებული ესტაკადის ნაწილს და მუშაობს ბუქსმომხსნელთან ერთად, რომლის დახმარებითაც სწარმოებს წყვილთვლის დერძის ყელიდან ბუქსის მოხსნა და მისი გადაადგილება საკისრების გამოსაწნევ მოწყობილობაზე.

მოწყობილობები ტექნიკური მახასიათებლებით მოცემულია ცხრილში 12.


ცხრილი 12

**წყვილთვლების ასაწევი მოსაბრუნებელი ხელსაწყოს  
ტექნიკური მახასიათებლები**

	<b>ППУ 400</b>	<b>ППУ 200</b>
წყვილთვლის აწევის სიმაღლე, მმ	400	200
წყვილთვლის მობრუნების კუთხე	180	180
ჰაერის წნევა პნევმოსისტემაში, მპა	0,4-0,6	0,4-0,6
აწევის პნევმოცილინდრის სვლა მმ		
გაბარიტული ზომები		
სიგრძე, მმ	2030	
სიგანე, მმ	100	
სიმაღლე, მმ	1105	
მასა, კგ	445	420

ურიკებისა და გორგოლაჭსაკისრებიანი ბუქსების შემკეთებელ უბანზე, ასევე ვიყენებთ მექანიზაციის შემდეგ მოწყობილობებს:

- უნივერსალური ბუქსმომხსნელი BC 19;
- გორგოლაჭიანი ბუქსების სადემონტაჟო სტენდი СД 25;
- M 110 ქანჩების ამოხახახნი ქანჩმაბრუნი ГО 32;
- მოძრავ შემადგენლობათა დეტალებისა და კვანძების გამრეცხი უნივერსალური მანქანები უМД 54 და უМД 60;
- საბუქსე კვანძების დეტალების (სამაგრი ნაწილები, სახურავების და სხვა) გამრეცხი მანქანა МД 06;
- წყვილთვლების მშრალად გასუფთავების მანქანა ОКП 68;



ნახ. 23. წყვილთვალების ასაწევ-მოსაბრუნებელი მოწყობილობის  
ППУ 200 განლაგების სქემა

1 – საძირკველი; 2 – მოსაბრუნებელი მოწყობილობის კორპუსი  
3 – აწევის პნევმოცილინდრი; 4 – ტრავერსა მაცენტრირებელი  
პრიზმით; 5 – ; 6 – მობრუნების პნევმოცილინდრი.

- წყვილთვლების დერბის შუა ნაწილის მშრალად გასუფთავების მანქანა OKP 90;
- წყვილთვლების მოსაბრუნებელი მოწყობილობა უП 90 და უП 180.

### **2.3.2. ავტოგადაბმულობის საკონტროლო პუნქტი**

ავტოგადაბმულობის საკონტროლო პუნქტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ვაგონსამწყობო უბნის დროულად მომარაგებაში ავტოგადასაბმელი მოწყობილობებით. ამიტომ აღნიშნულ პუნქტში ნაკადური წარმოების გამართული მუშაობის მიზნით აუცილებლად უნდა მოეწყოს ავტოგადაბმულობათა კორპუსების, მექანიზმის და შთანთქმელი აპარატების სარემონტო კონვეიერული ხაზი, რომელიც ასევე აღჭურვილი იქნება ახალი ტექნიკით და რომლებითაც შესრულდება მოთხოვნის შესაბამისი რემონტის ტექნოლოგიური პროცესი. ოპერაციათა შესრულებაში მონაწილეობას იღებენ ავტოგადაბმულობათა კორპუსების გამრეცხი დანადგარი, ლენტური კონვეიერი, საკიდიანი კონვეიერი და მექანიზაციის სხვა მოწყობილობანი, რომლებიც ახორციელებენ მექანიკურ დამუშავებას, შედუღებას, დადუღებას და სხვა ტექნოლოგიურ ოპერაციებს

#### **2.3.2.1. ავტოგადაბმულობის კორპუსის გამრეცხი მანქანა MKA 65**

მანქანა (ნახ. 24) ახორციელებს ვაგონების ავტოგადაბმულობათა კორპუსების გარეცხვას გამრეცხი ხსნარით კორპუსზე სარემონტო და დასაღუღებელი სამუშაოების ჩატარების დაწყებამდე. მის შემადგენლობაშია: ავზი; გამრეცხი კამერა; ჩასატვირთი მაგიდა და მართვის პულტი. მანქანის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 14.

მანქანის ავზი, რომელიც განკუთვნილია გამრეცხი ხსნარისათვის აქვს ორი განყოფილება, რომლებიც გაყოფილია ტიხერებით, რომლებიც ქმნიან წყლის ზიგზაგისებურ ნაკადს და ხელს უწყობს მყარი ფაზის დალექვას გამრეცხი ხსნარიდან. ორივე განყოფილებას აქვს ჩამოსასხმელი მილები ნამუშევარი ხსნარის მოსაცილებლად. ავზში






ნახ. 24. ავტოგადაბმულობის კორპუსის გამრეცხი ავტომატური  
მანქანა MKA 65

გაგონების ავტოგადაბმულობათა კორპუსების გამრეცხი  
მანქანა MK-65

რეცხვის ხანგრძლივობა, წთ	2-6
გამრეცხი ხსნარის ტემპერატურა, °C	40-90
ავზის მოცულობა, მ³	0,9
ტუმბოს მწარმოებლურობა, მ³/სთ	25
დაწევა მ. წყ. სვ.	25
დადგენილი სიმძლავრე გახურების გარიანტებისას,	
კვტ	
– ორთქლით	6
– ელექტრული	37
ჰაერის წნევა, მპა	0,4÷0,6
წყლის ორთქლის წნევა, მოა	0,3
გაბარიტული ზომები, მმ	
სიგრძე –	1794
სიგანე –	2255
სიმაღლე –	2575
მანქანის მასა გამრეცხი ხსნარის გარეშე, კგ	

გათვალისწინებულია სუფთა წყლის მიწოდება წყალსადენიდან ვენტილის გავლით და თავისუფალი გადასხმა, რომელიც ზღუდავს გამრეცხი ხსნარის ზედა დონეს. ხსნარის გასაცხელებლად თითოეულ განყოფილებაში გათვალისწინებულია ორთქლის კლაკნილები და მიღებიანი ელექტრული გამახურებლები. ავზის გვერდითა კედელზე არის ორი ლიუკი ავზის გასაწმენდად. ავზის ზედა სახურავზე განლაგებულია ორი ლიუკი გამრეცხი ხსნარის ჩასატვირთად. თბური დანაკარგების შესამცირებლად და მომსახურე პერსონალისათვის დამწვრობისაგან დასაცავად ავზი აღჭურვილია თბოსაიზოლაციო ეკრანით. გამრეცხი ხსნარის ტემპერატურა კონტროლირდება ტემპერატურის დამოუკიდებელი რეგულირებით, ავზზე განლაგებულია გამრეცხი კამერა. გამრეცხი კამერის შესასვლელზე არის ჩასატვირთი მაგიდა. კამერა და ჩასატვირთი მაგიდა აღჭურვილია მიმმართველებით, რომლებითაც თვლებზე გადაადგილდება კარეტა, რომელზედაც განლაგებულია ავტოგადაბმულობათა კორპუსები. კამერაში შეეცანილია მილი, რომლის ბოლოზეც დაყენებულია ზედა მბრუნავი გამშენევი, რომელიც თავისუფლად ბრუნავს რეაქტიული ძალის მოქმედებით, რომელიც იქმნება ტანგენციალური ჭავლებით. გამრეცხი ხსნარი შეიწოვება ელექტროტუმბოთი ფილტრის გავლით ავზის მცირე



ნახ. 25. ავტოგადაბმულობის გრანაჟების გამრავცხი ავტომატური  
მანქანის MKA – 65 განლაგების სქემა

1 – ავზი;	2 – გამრაჟები კამერა;	3 – გამრაჟები კამერის გარები;
4 – ჩასატვირტი მაგიდა;	5 – გადასადყოლებელი კარტა;	
6 – მიშმართველი;	7 – ღამცველი შტორი;	8 – უქალ გამაშეფვი;
9 – ავზის გამრაჟენდი ლურჯი;	10 – მილეტიანი ელექტროგამხურებლები;	
11 – ჩასატვირტი ლურჯი;	12 – გამწვევებული;	13 – მართველი;
	14 – ელექტრომებო.	

განყოფილებიდან და მიეწოდება გამშხეფებზე. გარეცხვის შემდეგ ხსნარი ჩამოდინდება ავზის დიდ განყოფილებაში, საიდანაც გადადინდება მცირე განყოფილებაში მოძრავ კარეტაზე, რომელიც იმუფება ჩასატვირთ მაგიდაზე, ტელფერის ან ძელ-ამწის დახმარებით განთავსდება ავტოგადაბმულობის გასარეცხი კორპუსი და დამაგრდება სპეციალური დამჭერებით კარეტა თვლებით, ავტოგადაბმულობის კორპუსთან ერთად, მიმმართველებით შეგორდება გამრეცხ კამერაში. ამის შემდეგ დაეშვება კამერის კარები და ჩაიტვირთება ელექტროტუმბო, რომელიც აწვდის გამრეცხ ხსნარის გამშხეფებს. რეაქტიულ ძალთა გავლენით გამშხეფი მოდის ბრუნვაში და რეცხვავს ავტოგადაბმულობის კორპუსს. რეცხვის პროცესის დამთავრების შემდეგ გამოირთვება ტუმბო, აიწევა გამრეცხი კამერის კარები და გადასაადგილებელ კარეტას გარეცხილი ავტოგადაბმულობის კორპუსით გამოაგორებენ განსატვირთ მაგიდაზე და მანქანა მზად არის შემდგომი ოპერაციის ჩასატარებლად სხვა გამრეცხ კორპუსზე.

მანქანა (ნახ. 25) უნდა განლაგდეს გამთბარ შენობაში, სადაც გარემონტებული გარემოს ტემპერატურა  $+10\text{--}+35^{\circ}\text{C}$  ფარგლებში იქნება. გამრეცხი კამერა მოთავსებული უნდა იქნეს გამწოვ ვენტილაციასთან. მანქანის განსათავსებლად საჭიროა სწორი ჰორიზონტალური მოედანი. ფუნდამენტს მანქანა არ საჭიროებს, ოღონდ რეკომენდებულია იყოს ბურნის მოედანი სისქით არანაკლები 100 მმ. მისთვის პულტის განლაგება უნდა განისაზღვროს ადგილობრივი პირობების შესაბამისად მოხერხებულობის თვალსაზრისით და გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუცილებლად შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მომსახურე პერსონალისათვის.

## **2.4. გაგონსაამწყობო უბნის მწარმოებლურობაზე მექანიზაციის ხარისხის გავლენა**

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე გაგონსარემონტო დაწესებულებაში გაგონების რემონტის ნაკადურმა მეთოდმა დაიკავა უალტერნატივო პოზიცია და მისი სრულყოფის საკითხი ითვლება ერთობ აქტუალურ ამოცანად. აღნიშნული ფორმის გამოყენებისას ნამზადის დამუშავების, შეკეთების ან აკრებვის პროცესები დანაწევრებულია ოპერაციებად, რომლებიც ტოლია ან ჯერადია ნამზადის გამოშვების პერიოდულობისა. პოზიციები განლაგებულია ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობის მიხედვით და ითვალისწინებს ნამზადის შეკეთებას. ნამზადების გადაადგილება ხორციელდება კონვეიერით დაყოვნებების გარეშე და ნაკადური ხაზი სპეციალიზირებულია ერთი ტიპის ნამზადის დასამუშავებლად და რეგლამენტირებულია ტაქტი, რაც საშუალებას იძლევა დროის თანაბარ შუალედში თანაბრად, რიტმულად და შეუფერხებლად იქნება გამოშვებული ნამზადები. ვაგონმშენებლობისა და ვაგონების შეკეთებაში ნაკადური მეთოდი გახდა უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომ ვაგონების რემონტის სტაციონალური მეთოდიდან კომპლექსურ-მექანიზირებულ და ავტომატიზირებულ წარმოებაზე გადასვლისა, რაც იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს.

ვინაიდან თანამედროვე ვაგონსარემონტო საწარმოში ნაკადური ხაზების შექმნა, სადაც მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე იქნება მაღალი ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საწარმო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის შეფასების მაჩვენებლები, როგორც ნაკადური ხაზის მოწყობილობების მწარმოებლურობის თვისების მაჩვენებლები, რომლებიც გამოხატავენ შრომის შრომის ტექნიკური აღჭურვილობის დონეს. რაც უფრო მეტად იქნება მექანიზირებული ნაკადური ხაზი, მით უფრო მცირე იქნება „ცოცხალი“ შრომის შესრულებაზე დახარჯული მუშაობის წილი ნებისმიერი კვანძის ან დეტალის დამზადებისა და რემონტის დროს. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის

კვლევა საშუალებას იძლევა მივიღოთ მონაცემები შრომის ფორმის ცვლილებების შესახებ. კერძოდ, როგორ შეიცვალოს ხელით შრომა მანქანური შრომით. შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე ხასიათება რაოდენობრიობის მხრივ ძირითადი, დამხმარე და დამატებითი მაჩვენებლების სისტემებით, რომლებიც ახასიათებენ მანქანის ან წარმოების მექანიზაციის ხარისხს.

საერთო შემთხვევაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ძირითადი მაჩვენებლის პირველი დონე ანუ ცოცხალი შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დამოკიდებულებით:

$$d_1 = \frac{\sum T_{\delta}^{\text{ა(ა)}}}{\sum T^{\text{ა}}}, \quad (2)$$

ხოლო მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეორე დონის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს პროცესის მექანიზაციას და ავტომატიზაციას, შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი გამოსახულებით

$$d_2 = \frac{\sum T_{\delta}^{\text{ა(ა)}}}{\sum T^{\text{ა}}}, \quad (3)$$

სადაც  $d_1$  არის „ცოცხალი“ შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხი;

$d_2$  – პროცესის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხი;

$\sum T_{\delta}^{\text{ა(ა)}}$  – სამანქანო დროის ჯამი, რომელიც გადაფარულია ხელით შრომით;

$\sum T^{\text{ა(ა)}}$  – მთლიანი სამანქანო დროის ჯამი;

$\sum T^{\text{ა}}$  – ყველა ცალობრივ სამუშაოზე შესრულებული დრო.

მრიცხველში მითითებული ასო „ა“ მიუთითებს რომ, მაჩვენებელი გაიანგარიშება პროცესის ავტომატიზაციის დროს.

მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის მაჩვენებლების გაანგარიშების წარმოება არამარტო მთლიანად ვაგონსარემონტო საწარმოებისათვის, არამედ ცალკეული საამქროსთვისაც კი წარმოადგენს ერთობ შრომატევად პროცესს გამოცდილებანი აჩვენებენ, რომ მაგალითისათვის იმ მომუშავეთა რაოდენობის განსაზღვრისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან მექანიზირებული და ავტომატიზი-

რებული შრომით და დიდია მათი რიცხვი აუცილებელია შესრულდეს ოპერაციების დიდი რაოდენობა, რისთვისაც მიზანშეწონილია პროგრამირება, ბლოკსქემის შედგენა და ელექტრონული გაანგარიშებანი.

ვაგონსარემონტო სამუშაოები ვაგონსაამწყობო უბანზე სწარმოებს სპეციალიზაციისა ფორმების შენარჩუნებით, ნომენკლატურის შემცირებით და გამოსაშვები ნამზადების რაოდენობის გაზრდით შრომის, დროისა და სხვადასხვა საშუალებათა მცირე დანახარჯებით ზუსტად უზრუნველყონ ნამზადის შეკეთებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფილად შესრულება. ტექნოლოგიური პროცესების ტიპიზაციით, ვაგონების კვანძებისა და დეტალების სტანდარტიზაციით, უნიფიკაციით და ურთიერთშეცვლადობით შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნეს ნამზადთა შეკეთების მოცულობა და გამოშვების მდგრადი პროგრამა. ამ პროგრამის შესრულება კი შესაძლებელია მხოლოდ მაღალმწარმოებლური მოწყობილობების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების კიდევ უფრო სრულყოფილი ფორმების გამოყენების და მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებით არა მარტო დეპოს ვაგონსაამწყობო უბანზე, არამედ ისეთ ძირითად უბნებზეც როგორებიც არის ურიკების, წყვილთვლების, ავტოგადაბმულობების გორგოლაჭსაკისრებიანი ბუქსების, გვერდითი ჩარჩოების, ბერკეტული გადაცემის საშემკეთებლო უბნებზე.

ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-კონვეირული ხაზების მექანიზირების ხარისხი პირდაპირ კავშირშია მთლიანად უბნის მწარმოებლურობასთან. სავაგონო დეპოს ფაქტიური საწარმოო სიმძლავრე ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია ვაგონსაამწყობო უბნის წლიურ სამუშაო დროის ფონდთან, რომელიც შეიძლება გამოსახულ იქნეს შემდეგი დამოკიდებულებით

$$M_{\text{საჭდა}} = f(\sum R_i) \Phi, \quad (4)$$

სადაც  $\sum R_i$  – ვაგონსაამწყობო უბნის  $i$ -ური ნაკადური ხაზის

მექანიზაციის ხარისხია ( $\sum R_i = R_1 + R_2 + R_3 + R_4$ );

$\Phi$  – ვაგონსაამწყობო უბნის წლიური სამუშაო დროის ფონდია, სთ.

ვინაიდან ვაგონსაამწყობო უბანზე მოცემულია ოთხი ნაკადური ხაზი, რომლებიც შესაბამისად შეაკეთებენ დახურულ სატვირთო

გაგონებს, ცისტერნებს, ნახევარვაგონებს და ბაქნებს, მაშინ (4) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$M_{\text{საბ-დან}} = f(R_1 + R_2 + R_3 + R_4)\Phi, \quad (5)$$

სადაც  $R_1, R_2, R_3, R_4$  – შესაბამისად დახურული სატერიტო გაგონების, ცისტერნების, ნახევარვაგონების და ბაქნების შემკეთებელი ნაკადური ხაზების სარემონტო პოზიციების მექანიზაციის ხარისხებია.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ გაგონსაამწყობო უბნის მწარმოებლურობასა და მექანიზაციის ხარისხს შორის ურთიერთ-დამოკიდებულების დასადგენად და შესაბამისი კავშირის განტოლების დასადგენად ვსარგებლობთ კორელაციური, დისპერსიული და რეგრესიული ანალიზით. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოვიყენოთ პირობითი მონაცემები ვაგონსაამწყობო უბნის მწარმოებლურობისა და ნაკადურ-კონვეიერული ხაზების სამუშაო პოზიციების ხაზებს შორის. ამ შემთხვევაში მონაცემები თეორიულია და მიღებული შედეგები პრაქტიკულ შედეგებთან მიმართებაში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მიახლოებით მნიშვნელობებად.

#### ცხრილი 14

დეპოს ვაგონსაამწყობო უბნის და მექანიზაციის ხარისხის და შესაბამისი მწარმოებლურობა ურთიერთდამოკიდებულების შედეგების ცხრილი

ნაკადურ-კონვეიე-რული ხაზის მექანიზაციის ხარისხი, %	დახურული სატერიტო ვაგონები		ცისტერნები	ნახევარვაგონები	ბაქნები
	90	85			
ვაგონსაამწყობო უბნის მწარმოებ-ლურობა ვაგონ/სთ	0,9	0,85	0,8	0,75	0,7
					0,65
					0,6

კორელაციის კოეფიციენტის განვსაზღვრავთ შესაბამისი ფორმულით

$$r = \frac{\sum_{i=1}^m (R_i + R_2 + R_3 + R_4) M_{\text{ვ}} - \sum R_x \sum M_{\text{ვ}}}{(m-1) S_y S_z}, \quad (6)$$

სადაც  $R_1 + R_2 + R_3 + R_4 = R_x$  უბნის მექანიზაციის ხარისხის ჯამური  
მნიშვნელობაა და შესაბამისად  $\bar{R}_x$  მისი საშუალო  
არითმეტიკული მნიშვნელობა;  
 $S_y$  და  $S_z$  – შესაბამისი შედეგების საშუალო პადრატული  
გადახრებია;  
 $m$  – დაკვირვებათა რაოდენობა.


$$S_y = \sqrt{\frac{1}{m-1} \sum_{i=1}^m R_x^2 - \frac{1}{m} \left( \sum_{i=1}^m R_x \right)^2}, \quad (7)$$

$$S_z = \sqrt{\frac{1}{m-1} \sum_{i=1}^m R_z^2 - \frac{1}{m} \left( \sum_{i=1}^m M_z \right)^2}. \quad (8)$$

შესაბამისი  $S_y^2$  და  $S_z^2$  კადა  $z$  შედეგების დისპერსიებია.

შესაბამისად  $R_x$  მექანიზაციის ხარისხსა და დეპოს ფაქტურ  
მწარმოებლობას შორის კავშირების განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$M_z(R_x) = \bar{M}_z + \frac{S_y}{S_z} (R_x - \bar{R}_x). \quad (9)$$



ნახ. 26. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ვაგონსაამჭყობო უბნის  
მწარმოებლურობასთან დამოკიდებულების გრაფიკი

ჩატარებული რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო  
მაღალია სავაგონო დეპოს გაგონსაამწყობო უბნის ნაკადურ-  
კონვეირული ხაზების მექანიზაციის დონის ამაღლებით თეორიულად  
პირდაპირპორციულად იზრდება დეპოს მწარმოებლურობაც, რაც  
გამოსახულია შესაბამის გრაფიკზე (თეორიული ხაზი).

თუმცა რეალურ შემთხვევაში რეგრესიული განტოლების  
ამოხსნისას შედეგები იძლევა განსხვავებულ მონაცემებს და  
კორელაციის კოეფიციენტის შეტანით დამოკიდებულებათა ხასიათი  
კვლავ წრფივია, თუმცა პირობითად თუ მივიღებთ, რომ ყველაზე მეტად  
მექანიზირებულია დახურული სატვირთო ვაგონების შემკეთებელი  
ნაკადურ კონვეირული ხაზი, შემდეგ ცისტერნების, ნახევარვაგონების  
და ბაქნების შემკეთებელი ნაკადურ-კონვეირული ხაზები წრფივ  
დამოკიდებულებებს აქვს გრაფიკზე წარმოდგენილი სახე.

საწარმოო პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონით,  
შეიძლება დახასიათდეს სხვადასხვა ტექნიკურ-  
ეკონომიკური მაჩვენებლები. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის  
გაანგარიშება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ყველაზე სუსტად  
უზრუნველყოფილი მექანიზირებული და ავტომატიზირებული  
ოპერაციები, პროცესები, მოწყობილობები, საწარმოო უბნები,  
სამქროები და ამის საფუძველზე შეიცვალოს დაწესებულების ახალი  
ტექნიკით აღჭურვის გზები და თანმიმდევრულობა.

### 3. დასკვნა

- სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს ვაგონების ნაკადურ-კონვეირული მეთოდით რემონტის დროს საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესებისადმი და ეკონომიკური საკითხებისადმი სისტემური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სისტემის მთლიან ობიექტურ სირთულეს და მდგომარეობს იმაში, რომ მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია მაქსიმალური ეფექტი მთლიანი სისტემისათვის და არა ცალკე აღებული რომელიმე მისი შემადგენელი ნაწილისათვის;
- შემოთავაზებული სატვირთო სავაგონო დეპო მიზანშეწონილია განხორციელდეს ისეთ ქვეყნებში (მათ შორის საქართველო), სადაც არ არის დიდი სატვირთო სავაგონო პარკი და ნაცვლად ცალკე აღებული თითოეული ტიპის სატვირთო გაგონებისათვის სპეციალიზირებული დეპოსი. აშენდება ან რეკონსტრუირებულ იქნება დეპო, სადაც შეკეთდება პრაქტიკულად ყველა ტიპის სატვირთო ვაგონი, სადაც განხორციელებული იქნება ცალკეული ნაკადური ხაზის სპეციალიზაცია ოთხ ნაკადურ ხაზზე, რაც მოგვაჩნია რომ პრაქტიკულად არის გამართლებული;
- სავაგონო დეპოს ვაგონსაამწყობო უბანი საშუალებას იძლევა განხორციელდეს სატვირთო ვაგონების რემონტის ნაკადურ-კონვეირული პროგრესული მეთოდი, სადაც ფართოდ გამოიყენება ახალი თანამედროვე სარკინიგზო ტექნიკა, რაც ამაღლებს ვაგონსაამწყობო უბნის სიმძლავრეს და მინიმიზირებული იქნება სარემონტო ოპერაციების შიდატაქტობრივი სინქრონიზაციის ცვალებადობა დროში, რომელიც იქნება  $5\div 10\%-ის$  ფარგლებში, ე.ი. სტაბილური იქნება ვაგონების ხაზებიდან გამოშვების ტაქტი;
- გაიოლებულია დეპოს ძირითად და დამხმარე საწარმოო უბნებზე სატვირთო ვაგონების რემონტის საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების მართვა სარემონტო პოზიციებზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოწყობილობათა მაქსიმალური გამოყენების ხარჯზე, ასევე მინიმუმადებელი დაყვანილი ხელით შრომის წილი, გაუმჯობესებულია საწარმოში საწარმოო ესთეტიკისა და შრომის

- სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და მთლიანობაში დაცულია შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები;
- საწარმოოში მწარმოებლურობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მიგვაჩნია სამუშაო პოზიციებზე საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ამაღლება, დადგენილია რომ, მათი ხარისხის ამაღლებით თეორიულად პირდაპირპროპროცესულად იზრდება ვაგონსაამწყობო უბნის მწარმოებლურობაც. ჩატარებულია შესაბამისი კორელაციური, დისპერსიული და რეგრესიული ანალიზი, მიღებულია კავშირების განტოლება;
  - ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში რკინიგზა მიიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ უფასტს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Устич П.А. Система технического обслуживания и ремонта грузовых вагонов. Учебное пособие для вузов. Ж.д. транспорта. М.: МИИТ, 1988. – 153 с.
2. Деповской ремонт грузовых вагонов железных дорог СССР колей 1520 мм. Руководство (ЦВ/3935). М.: Транспорт, 1981.
3. Капитальный ремонт грузовых вагонов железных дорог СССР колей 1520 мм. Руководство (ЦВ/4204). М.: Транспорт, 1985.
4. О введении новой системы ТОР грузовых вагонов. Приказ МПС № 32Ц от 22.09.80.
5. Типовой технологический процесс технического обслуживания грузовых вагонов. М.: Транспорт, 1988.
6. Устич П.А., Алексюткин Б.А., Чигладзе Д.В., Моксяков А.П. Оптимизация периодичности плановых ремонтов грузовых вагонов (Вестник ВНИИЖТ). 1987. № 6.
7. Горский А.В., Козырев А.А. Принципы построения оптимальной системы ремонта. Электроподвижной состав, эксплуатация. Надежность. Ремонт. М.: Транспорт, 1983.
8. Инструкция по определению производственных мощностей предприятий вагонного хозяйства. М.: ПКБ ЦВ МПС. 1988.
9. Устич П.А. Нарежность вагона. М.: МИИТ, 1982.
10. Устич П.А., Журавлев М.М., Алексюткин Б.А., Купцова В.А. Оценка ремонтноПригодности грузовых вагонов // Современные методы расчета вагонов на прочность, надежность и устойчивость. М.: Транспорт, 1986.
11. Котуранов В.Н., Быков А.И., Буренков О.К. Строительная механика и надежность вагонов. Учебное пособие, изд. МИИТа. 1988. – 100 с.
12. Итин Л.И. и др. Вопросы методики обоснования концентраций производства. М.: «Знания». 1967.
13. Павловский А.И. Ремонтному производству-прогрессивную организационную основу. Ж.д. транспорта. № 5. 1979. с. 66-68.
14. Повышение надежности и улучшение текущего содержания грузовых вагонов. Изд. Транспорт, 1974. 176 с. (Труды ЦНИИ МПС выпуск 459).
15. Арутамян С.А. Комплексная механизация и автоматизация ремонта подвижного состава. Изд. Транспорт, Москва. 1969. 311 с.
16. შარვაშიძე ა., გოგიშვილი დ. ექსპლუატაციაში მუოფი სატვირთო ვაგონების ტექნიკური მდგომარეობისა და სამძღვოების შეფასება. სტუ, შრომები № 4(415), თბილისი, 1997. გვ. 96-98.
17. შარვაშიძე ა., შარვაშიძე კ., ტაბატაძე დ., ნადირაშვილი გ., ლომიძე დ., მშვილდაძე გ. დეპოში სატვირთო ვაგონების რემონტის ორგანიზაციის სრულყოფა. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი ტრანსპორტი. ISSN 1512-0910, 2002, № 3-4.
18. შარვაშიძე ა., გოგიშვილი დ. მექანიზაციის დონის გავლენის შეფასება ვაგონსაამწყობო უბნის მრარმოებლობაზე. სტუ, შრომები № 4(415), თბილისი, 1997. გვ. 94-96.
19. Алексеев В.Д., Сорокин Г.Е. Ремонт вагонов. Москва. Транспорт, 1968. 305 с.
20. Стерлин И.Б. Поточные линии ремонта локомотивов в депо. Москва. Транспорт, 1980. 301 с.

21. Под редакции кандидатов технических наук Г.К. Сендерова и М.В. Орлова (Выпуск 652) Повышение надежности и совершенствования ремонта вагонов. Труды ВНИИЖТ-а. Москва. «Транспорт», 1982. 143 с.
22. Ковалев А.В. Организация вагонного хозяйства. Москва. 2007. 25 с.
23. მორჩილაძე რ., პატურაშვილი მ., სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის საიმედოობის მართვა და უწყვეტი კონტროლი. ტრანსპორტი და მანქანითმუნებლობა № 3(15), 2009. 147-153 გვ.
24. Совершенствование системы ремонта подвижного состава. Железнодорожный транспорт. Ежемесячный научно-теоретический технико-экономический журнал. № 5. 2009. с. 55-57.
25. ბალიაშვილი ა., იაშვილი გ., ჭიდლაძე ჯ., შარვაშიძე ა., მორჩილაძე რ. სავაგონო დეპოების ვაგონებისა და მუშაობის კარამეტრების შერჩევა გამოყენებით. სტუს გამოცემლობა, თბილისი, 1988, 27 გვ.
26. Бугаев В.П. Совершенствование организации ремонта вагонов (системный подход). М.: Транспорт, 1982. 152 с.
27. Ножевников А.М. Поточно-конвейерные линии ремонта вагонов. Москва. Транспорт, 1980. 135 с.
28. Оборудование для технического обслуживания и ремонта подвижного состава железнодорожного транспорта. Каталог, выпуск 16, Иртранс, Москва. 2008. 207 с.
29. Оптимизация расходов при ремонте вагонов. Ж.д. транспорта. № 7. 2009. 45-47 с.
30. Управление качеством отремонтированных узлов. Ж.д. транспорта. № 7. 2009. 55 с.
31. შარვაშიძე ა., პატურაშვილი მ., ფანჯავიძე გ., შარვაშიძე კ. სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოში ავტოგადაბმულობის რემონტის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანითმუნებლობა“ ISSN 1512-3537. № 1(13). 2009. 25-29 გვ.

## დანართი 1

ჩვენს მიერ შეთავაზებული წინადაღება ითვალისწინებს ახალი სარემონტო დეპოს დაპროექტებას, რომელშიც შესაძლებელი იქნება ოთხი ტიპის გაგონების რემონტი, ეს გაგონებია: დახურული სატვირთო გაგონი, ცისტერნა, ნახევარვაგონი და ბაქანი. ასეთი ტიპის სარემონტო გაგონსაამწყობო უბანი არსებულ საგაგონო დეპოში არ არის, ამიტომ გაგონების რემონტი შედარებით გართულებულია და თითოეული ტიპის გაგონისათვის მათი რემონტისათვის სარემონტო უბანი საჭიროებს გადაწყობას. ჩვენს მიერ შეთავაზებული მეთოდი კი ერთის მხრივ აიოლებს რემონტის პროცესს და თითოეული ტიპის გაგონების სარემონტოდ ნაკლები შრომითი დანახარჯებია საჭირო, ხოლო მეორეს მხრივ მცირდება სარემონტო დროის პერიოდი.

ეკონომიკური დასაბუთებისათვის პრაქტიკაში იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: ა) აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტი; ბ) შედარებითი ეკონომიკური ეფექტი; გ) პირობით-წლიური ეკონომიკური ეფექტი; დ) დანახარჯების გამოსყიდვის ვადა.

ამასთან აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტი ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ ფინანსურ მაჩვენებლებს (მოგება, თვითდირებულება) შეფარდება ღონისძიების გატარებისათვის საჭირო კაპიტალურ ხარჯებთან – ინვესტიციებთან. რადგან მაჩვენებლის შეფარდება არ ხდება სხვა ანალოგიურ ღონისძიებებთან მისი გამოყენება ჩვენს შემთხვევაში დიდი შედეგის მომტანი არ არის, ამიტომ ჩვენ ვისარგებლოთ დანარჩენი მაჩვენებლით.

შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტი გამოითვლება ფორმულით:

$$\mathcal{E} = \frac{\Delta \Pi}{\Delta K} \quad (1)$$

სადაც  $\Delta \Pi$  – ტექნიკური ღონისძიებების გატარებით მიღებული დამატებითი შედეგია არსებულ ვარიანტთან შედარებით;

$\Delta K$  – შეთავაზებული ტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის საჭირო დამატებითი კაპიტალური დაბანდებებია – ინვესტიციები.

ჩვენს შემთხვევაში  $\Delta\Pi$ -დ შეიძლება მივიღოთ საშუალოდ ერთი გაგონის კაპიტალური რემონტის დანახარჯების სიდიდეთა სხვაობა არსებული და შეთავაზებული გარიანტისათვის.

საქართველოს სავაგონო დეპოზიტური გაგონის შემთხვევაში (2011 წ.) განახორციელდა 3400 სატვირთო გაგონის რემონტი და საერთო დანახარჯებმა შეადგინა 6700000 ლარი. გამოდის რომ ერთ გაგონზე კაპიტალური რემონტის დანახარჯმა საშუალოდ შეადგინა

$$C_1 = 6700000 : 3400 \approx 1970 \text{ ლარი/გაგონი.}$$

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სარემონტო საამქროს მწყობრში შესვლით იმ სირთულის რემონტი, რომელთა განხორციელებაც დღეს მიმდინარეობს სავაგონო დეპოზიტი დაჯდება დაახლოებით 1239 ლარი/გაგონზე. ეკონომიკა მიიღწევა უპირველესად შრომითი დანახარჯების, სათბობის და ენერგიის ეკონომიკით. ამაგვ დროს გაიზრდება რემონტის სიმძლავრე, მაგრამ ეს ამ გამოთვლაში გადამწყვეტი არ არის, ამიტომ შეფარდებითი ეკონომიკის სიდიდე

$$\Delta\Pi = C_1 - C_2, \quad (2)$$

სადაც  $C_1$  – ერთეულოვანი გაგონის რემონტის საშუალო დანახარჯებია არსებული გარიანტისათვის. ჩვენს შემთხვევაში 1970 ლარი.

$C_2$  – საპროექტი გარიანტის განხორციელების შემდეგ ხვედრითი სარემონტო დანახარჯები. ჩვენს შემთხვევაში 1239 ლარი.

ანუ  $\Delta\Pi = 1970 - 1239 = 731$  ლარი.

ახალი საპროექტო საამქროს სახარჯთაღრიცხვო დირებულება საშუალოდ შეადგენს 6500000 ლარს. თუ გავითვალისწინებთ საანგარიშოდ ფაქტიურ გადახრას, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 20%-ს, შეიძლება ავიღოთ დაახლოებით 8 მილიონ ლარამდე. ამ მონაცემების მიღებით გვექნება, რომ შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტი

$$\Theta = \frac{731 \cdot 6000}{8 \cdot 10^6} = 0,548.$$

ამ შემთხვევაში ინვესტიციების გამოსყიდვის დრო

$$T = \frac{1}{0,548} \approx 1,8 \text{ (წელი),}$$

ანუ ერთ წელიწადს და 8 თვეს.

ეს იმ შემთხვევაში თუ რემონტების სიმძლავრე იქნება საპროექტო (6000 ც/წლ), ხოლო იმ შემთხვევისათვის რაც რეალურად დღეისათვის არსებობს ანუ 3400 ვაგონი/წლიურად, შევარდებითი ეკონომიკური ეფექტი იქნება

$$\Theta = \frac{731 \cdot 3400}{8 \cdot 10^6} = 0,31.$$

ამ შემთხვევისათვის გამოსყიდვის ვადა

$$T = \frac{1}{0,31} = 3,2 \text{ (წელი)},$$

ანუ სამი წელი და ორი თვე.

ამ შემთხვევისათვისაც კი შეთავაზებულ საამქროს აშენება მომგებიანია და შეესაბამება რკინიგზის სფეროში არსებულ ღონისძიებათა გატარებით მიღებულ შედეგებს.

შემდეგი მაჩვენებელი, რომელიც გექნიკური ღონისძიების ეფექტიანობის დახასიათებისათვის გამოიყენება, ე.წ. დაყვანილი დანახარჯების სხვაობით განსაზღვრულ პირობით – წლიური ეკონომიკური ეფექტია. მისი უმარტივესი ტოლობა შემდეგი სახისაა

$$\Theta_{\text{ა.წ.}} = (\beta_1 - \beta_2) N_2, \quad (3)$$

სადაც  $\beta_1$  – დაყვანილი დანახარჯებია არსებული ვარიანტისათვის;

$\beta_2$  – დაყვანილი დანახარჯებია საპროექტო ვარიანტისათვის.

თავის მხრივ

$$\beta = C + E_n K, \quad (4)$$

სადაც  $C$  – დანახარჯების განხორციელებით მიღებული ეფექტია;

$E_n = 0,15$  – ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტია;

$K$  – ინვესტიციების მოცულობა.

ამ ტოლობის ჩასმით მივიღებთ:

$$\Theta_{\text{ა.წ.}} = (\beta_1 - \beta_2) N_2 = (\Delta C - E_n \cdot \Delta K) N_2, \quad (5)$$

სადაც  $\Delta C$  – თვითდირებულების ეკონომიაა ვაგონის ერთეულზე;

$\Delta K$  – დამატებითი ინვესტიციაა ვაგონის ერთეულზე;

$N_2$  – საპროექტო სიმძლავრე.

თუ ჩვენს არსებულ მონაცემებს ჩავსვამთ უკანასკნელ ფორმულაში, მივიღებთ:

$$\mathcal{E}_{\text{ა.წ.}} = \left( 731 - \frac{0,15 \cdot 8 \cdot 10^6}{6000} \right) \cdot 6000 = 3186000 \text{ ლარი.}$$

ამ შემთხვევაშიც დანახარჯებს პირობითი გამოსყიდვის ვადა ტოლი იქნება

$$T_{\text{პირ.}} = \frac{8 \cdot 10^6}{3186000} \approx 2,51 \text{ (წლ.)}$$

გამოსყიდვის ასეთი ვადაც ყოველმხრივ მისაღებია.

ამრიგად გვაქვს შემდეგი ეკონომიკური შედეგები:

მაჩვენებლები	რაოდენობა
ინვესტიციის მოცულობა	8 მილიონი ლარი
შეფარდებული ეკონომიკური ეფექტი	0,548
ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა (საპროექტო ვარიანტი)	1,8 წლ (1 წელი და 8 თვე)
პირობითი წლიური ეკონომიკური ეფექტი	3186000 ლარი
პირობითად გამოსყიდვის ვადის სიდიდე	2,51 წლი (2 წელი და 6 თვე)

აღნიშნული შედეგების თანახმად შეთავაზებული საწარმოს მშენებლობა ეკონომიკურად გამართლებულია.

## დანართი 2

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე ჩატარებული იქნა უკანასკნელი წლების მიხედვით საქართველოს რეინიგზაზე სატგირთო ვაგონების ინვენტარული პარკის მდგომარეობა. შედეგად დადგინდა, რომ რეინიგზის კუთვნილებაში სხვადასხვა რაოდენობით ამჟამად იმყოფება შემდეგი ტიპის სატგირთო ვაგონები: დახურული სატგირთო ვაგონები, ბაქნები, ნახევარგაგონები, ცისტერნები, იზოთერმული ვაგონები, ცემენტზიდი ვაგონები, ხორბალმზიდი ვაგონები, ფიტინგები, დუმპკარები, პოპერები და ტრანსპორტიორები.

დანართში წარმოდგენილი ზემოთჩამოთვლილი ტიპის სატგირთო ვაგონების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები 2011 წლის იანვრის და 2012 წლის იანვრის მონაცემების მიხედვით. ასევე მოცემულია საქართველოს კუთვნილი სატგირთო ვაგონების ინვენტარული პარკის ვაგონების აღგილდებარეობა საზღვარგარეთის რეინიგზებზე რეინიგზის მთავარი გამოთვლითი ცენტრის მონაცემების მიხედვით (2012 წ. იანვარი) და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების კუთვნილი სატგირთო ვაგონებისა და დსთ-ის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს რეინიგზის კუთვნილი ვაგონების რაოდენობრივი შედარებანი ქვეყნების მიხედვით (2012 წ. იანვარი).

მოცემული უახლესი მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქართველოს რკინიგზის სატვირთო ვაგონების საერთო რაოდენობა  
18.01.2011-ის მონაცემების მიხედვით

№		სულ	მათ შორის									მათ შორის				
			ისპურული	ბაქნი	ინგილი	ნატერა	იზურული	ცენტრალური	იდენტური	იდენტური	იდენტური	საგა	918	მოგარი	პოკრა	ტრანსმი
1	ბალანსზე არსებული ვაგონი	11597	1726	1137	3140	1674	801	605	1140	497	857	80	18	188	141	41
2	ბალანსიდან ამოსაღები	376	83	10	140	97	0	10	12	8	16	11		4	1	
3	სხვაობა 1 გრ – 2 გრ	11221	1643	1127	3000	1577	821	595	1128	489	376	69	18	184	140	41
4	შესაკეთებელი (მარაგები)	4149	665	696	914	282	689	201	38	54	145	60	11	87	43	32
5	მიმდინარე შეკეთება დეპოში	406	22	26	299		2	13	3		41	15	16	10		
	ქარხანაში	3278	643	670	615	282	687	188	35	54	194	45	-5	77	43	32
6	გეგმიური ვადიანი ვაგონები	7072	978	431	2086	1295	132	394	1090	435	231	9	7	95	98	11
7	სატვირთო გადაზიდვების მოთხოვნა	8665	1100	450	2450	1500	175	450	1600	700	240	0	30	90	90	10
8	სხვაობა მოთხოვნასთან	-1593	-122	-19	-364	-205		-56	-510	-265	-9	9	-23	5	8	1
9	ინფრასტრუქტურის ტექნიკური საჭიროება	292	12	152		13	19			4	92				91	

უარყოფითი სხვაობა გადაზიდვების დეპარტამენტის მოთხოვნასთან გამოწვეული:

1. ხორბალმზიდი: 14 დაკარგული 1 დაჭრილი 12 არ ექვემდებარება შეკეთებას (ნავარიები)
2. „918“ ტიპის ვაგონები გზაზე სულ არის 18 მ.მ. აღდგენილია 6.

საქართველოს რკინიგზის კუთვნილი საერთო რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა სახეობების  
მიხედვით 17.01.2012 მდგომარეობით

	სუბ	მათ შორის (მ.მ.)												ტრანსპორტი	დანარჩენი	918
		დაწურული	გაქანი	ნახევარ/გაგონები	ცისტერნა	მ.მ.	ბიტუმის გადასაზიდი	იზოთერმული	რეფრიჟერატორული	სხვადასხვა	ცისტერნიდან	გონიერებულიდან	ხორბალმზიდან	ფიტინგი		
სულ ვაგონთა რაოდენობა	11597	1726	1137	2140	1754	0	701	701	3139	605	164	1140	497	41	674	18
საექსპლუატაციო ვადით ვადიანი	7019	1278	438	2028	1178	0	142	142	1955	369	0	1055	331	21	176	3
მიმდინარე შეკეთებით ექსპლუატაციის ვადა გაგრძელებული	2762	496	10	1696	166	0	6	6	388	231	0	127	21	0	9	0
საექსპლუატაციო ვადით ვადაგასული	4576	448	699	1112	576	0	559	559	1184	236	164	85	166	20	498	15

### შეკეთების მიხედვით ვადიანი ვაგონები

სულ შეკეთებით ვადიანი	7075	978	431	2089	1295	0	132	132	2150	394	0	1090	435	11	213	7
მიმდინარე შეკეთებაზე ახსნილი	379	96	22	140	23	0	13	13	85	24	0	36	20	0	5	0

საექსპლუატაციო ვადით ვადიანი ვაგონები

	ს.კ.	მათ შორის													დანარჩენი დანარჩენი	918
		დაწყურული განაკვეთი	განაკვეთი	ნახევარ /გაგინები	ცისტერნა	მ.შ.	გიგუმი	იზოთერმული რეფრიჟირა ც.	მ.შ.	სხვადასხვა განცემითი	ცენტრალური და	გატინგი	მ.შ.	აღმანები და	ცალბეჭდი	
შეგვებით ვადიანი (სადგპო)	5360	865	259	1779	741	0	28	28	1588	299	0	1016	294	8	69	2
შეგვებით ვადიანი (კაპიტალური)	349	39	1	0	206	0	79	79	24	0	0	1	9	0	14	0
სულ შეგვებით ვადიანი	5709	904	260	1779	947	0	107	107	1712	299	0	1017	303	8	83	2
მიმდინარე შეგვებაზე ახსნილი	379	96	22	140	23	0	13	13	85	24	0	36	20	0	5	0
შეგვებით ვადაგასული (სადგპო)	834	204	80	240	172	0	15	15	123	22	0	22	26	0	53	0

საქართველოს კუთვნილი პარკის ვაგონების ადგილმდებარეობა საზღვარგარეთის  
რეინიგზებზე მთავარი გამოთვლითი ცენტრის მონაცემების მიხედვით

17.01.2012 მდგომარეობით

ქვეყნის ჩამონათვალი	სულ	მათ შორის (ზ.შ.)											
		დაზურული	ბაქანი	ნახევარ /გაზონები	ცისტერნა	გ.შ.	ბილუმის გადასაზიდი	იზოთვერტული	გ.შ.	სხვადასწერა	გ.შ.	კოტენირ ებილი	ფიტინგი
რუსთა	81	53	2	24	0	0	0	0	2	0	0	1	1
ბელორუსია	4	1	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0
უკრაინა	254	51	0	200	2	0	0	0	1	0	0	1	0
მოლდავეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ლიბერ	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ლატვია	1	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0
ესტონეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ყაზახეთი	217	84	2	48	0	0	9	9	74	0	1	61	6
უზბეკეთი	101	46	1	14	0	0	1	1	39	0	13	1	25
აზერბაიჯანი	1385	135	12	322	389	0	22	22	505	0	141	117	240
სომხეთი	44	4	2	24	4	0	0	0	10	0	0	0	10
ყირგიზეთი	2	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ტაჯიკეთი	37	11	0	4	0	0	6	6	16	0	0	12	2
თურქმენეთი	759	28	25	26	319	0	35	35	326	0	48	2	271
მესამე ქვეყნები	130	86	0	2	41	0	0	0	1	0	0	1	0
სულ	3015	501	44	668	755	0	73	73	974	0	203	196	555
აღმრიცხავი	2	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
სულ	3017	503	44	668	755	0	73	73	974	0	203	196	555
საქართველო	8457	1189	1075	2444	993	51	625	428	2131	164	386	300	572
	*126	*34	*18	*28	*10	*0	*2	*0	*34	*0	*16	*1	*13
სულ	11600	1726	1137	3140	1758	51	700	501	3139	164	605	497	1140

\* აფხაზეთის აგტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი დსთ-ს ქვეყნების კუთვნილი ვაგონებისა და დსთ-ს ტერიტორიაზე საქართველოს რკინიგზის კუთვნილი ვაგონების რაოდენობის შედარება

17.01.2012 მდგომარეობით

გვ-51		უცხოებოდიანი ვაგონები საქართველოში	საქართველოს ვაგონები დსთ-ში	მეტი- „-“ ნაკლები საქართველოს რკინიგზაზე ვიდრე საქ. ვაგონები სხვა
რუსეთი	20	30	81	-51
ბელორუსია	21	9	4	5
უკრაინა	22	153	254	-101
მოლდავეთი	23	17		17
ლიტვა	24	4		4
ლატვია	25	10	1	9
ესტონეთი	26	2		2
ყაზახეთი	27	151	217	-66
უზბეკეთი	29	116	101	15
აზერბაიჯანი	57	787	1385	-598
სომხეთი	58	86	44	42
ყირგიზეთი	59		2	-2
ტაჯიკეთი	66	46	37	9
თურქმენეთი	67		759	-759
სულ		1411	2885	-1474

### დანართი 3


#### ვაგონსარემონტო საწარმოს ტერიტორიული განთავსება

როგორც სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღინიშნა შემოთავაზებული ვაგონსარემონტო დაწესებულებების აშენების ან არსებულის რეკონსტრუირების საკითხი აქტუალურია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც სატვირთო ვაგონების ინვენტარული საგაგონო პარკი არ არის დიდი. ამ თვალსაზრისით საქართველო შეიძლება ჩაითვალოს იმ ქვეყნებს შორის, სადაც მაღალია ის პერსპექტივა, რომ მოეწყოს სატვირთო ვაგონების ისეთი სარემონტო დეპო, სადაც ნაკადური მეთოდით შესაძლებელი იქნება განხორციელდეს არამარტო დახურული სატვირთო ვაგონების, ცისტერნების, ნახევარვაგონების და ბაქნების რემონტი, არამედ ნებისმიერი სხვა სპეციალიზირებული დანიშნულების მქონე სატვირთო ვაგონების შეკეთება, რომლებიც იმუფლებიან საქართველოს რკინიგზის მუდმივ მფლობელობაში.

ჩვენს მიერ სადისერტაციო ნაშრომში დასმული ამოცანის მთავარი არსი უკანასკნელ ხანებში გაუდერებულ იქნა საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ და დღის წესრიგში უახლოეს ხანებში რეალურად დადგება შემოთავაზებული ტიპის სატვირთო სავაგონო დეპოს მშენებლობისა ან რეკონსტრუირებისა სავარაუდო სამტრედიის სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს ტერიტორიაზე. თუმცა ამ ტერიტორიაზე არ არსებობს ცისტერნების გამრეცხა-გამორთქლი დაწესებულებება და აუცილებელი გახდება მისი მოწყობა სავაგონო დეპოსთან ახლოს.

შესაბამისად წარმოვადგენთ ახლებურ სქემას (იხ. ნახაზი), სადაც სატვირთო სადგურთან ახლოს მოეწყობა გამრეცხა-გამორთქლი და ვაგონსარემონტო დაწესებულებები. ამ სქემაზე გათვალისწინებული იქნება ის გარემოება, რომ ნებისმიერი ტიპის ვაგონი, რომელიც უნდა შევიდეს საწარმოში შესაკეთებლად გაივლის წინასწარ გარეცხვას. კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი ისმის შემდეგნაირად, თუ როგორ მოხდება ცისტერნების მომზადება შეკეთებისათვის. ცნობილია, რომ ცისტერნები მოითხოვენ განსაკუთრებული და განსხვავებული ტიპის ოპერაციებს რემონტის წინ – კერძოდ ისინი მოითხოვენ დეგაზაციას,

გაორთქვლის და გარეცხვის სპეციალურ ოპერაციებს შესაბამისი ტექნიკური პროცესების ზუსტი დაცვით. საქართველოში ასეთი დაწესებულება არსებობდა ბათუმში, მაგრამ დღეისათვის ის აღარ ფუნქციონირებს, შესაბამისად ამ ტიპის ვაგონების გამრეცხამორთქლი ოპერაციები მიმდინარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბალაჯარას ცისტერნების გამრეცხამორთქლ დაწესებულებებში (სადგურში), რაც თავისთავად ქმნის დამატებით პრობლემებს იმ თვალსაზრისით რომ, კომპაქტურად მოხდეს ცისტერნების წინასწარი დამუშავების, მათი შემდგომში რემონტისათვის გადაცემის და სარემონტო სამუშაოების უწყვეტი ერთიანი ტექნიკური პროცესის შესრულება გამრეცხამორთქლ სადგურში, ხოლო რაც შეეხება ცისტერნებს აქ ჩვენ ვითვალისწინებთ დამატებით ლიანდაგს ისეთი ვაგონებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ გაორთქვლა-გარეცხვის ოპერაციებს, კერძოდ მასში იყო ბლანტი ნავთობპროდუქტი და კვლავ ისხმება ბლანტი ან მასში იმყოფებოდა დია ფერის ნავთობპროდუქტები და კვლავ უნდა ჩაისხას დია ფერის (ოთხი ჩასხმა არ ითვალისწინებს გარეცხვა-გაორთქვლას), ასეთი ცისტერნები პირდაპირ გადავლენ სატვირთო სადგურის მასობრივი ჩასხმის პუნქტში. ციხეტერნები, რომლებშიც იყო ჩასხმული ბლანტი ნავთობპროდუქტები და მზადდებიან დია ფერის ნავთობპროდუქტების ჩასასხმელად, გაივლიან გამრეცხამორთქლ ოპერაციებს და თუ არ ეკუთვნით გარენების ან გეგმიურ-გამაფრთხილებელი სისტემის მიხედვით სადეპორ რემონტი, ასევე გადავლენ დამატებითი ლიანდაგით ცისტერნების მასობრივი ჩასხმის პუნქტში, ხოლო მესამე კატეგორია, რომელსაც ეკუთვნის სადეპორ შეკვეთის შედიან სავაგონო დეპოში ჩაუტარდებათ რემონტი ნაკადური წარმოების სათანადო ტექნიკური პროცესის შესაბამისად და ამის შემდეგ ხდება მათი მიწოდება სატვირთო სადგურის მასობრივი ჩასხმის პუნქტში. წარმოდგენილი სქემა კომპაქტურია, ოპერაციათა გადანაწილება არ ითვალისწინებს ვაგონების დამატებით გადაადგილებებს, ლიანდაგის არასასურველ გადაკვეთებს და ნაკადური წარმოების უწყვეტი ციკლის განხორციელებისათვის პრაქტიკულად გამართლებულია.




ნახ. 27. სატენირო სადგურის, გისტერნების გამრჯველების გამრჯველობის სადგურის და  
სატენირო-საგაზოო დეპოს გომპლექსური სქემა

## დანართი 4


ვაგონსაამწყობო უბნის ნაკადური ხაზების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ვაგონების აწევით პოზიციას, სადაც ხდება ვაგონების ქვეშიდან სავალი ნაწილების (ურიკების) გამოგორება და მათი უკან შეგორება. ნაკადური ხაზის ტაქტის სინქრონიზაციის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად ვაგონსარემონტო საწარმოში ურიკების შეკეთებისათვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოწყობილობების თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება ურიკების შემკეთებელი ნაკადური ხაზი. ურიკების ტრანსპორტირება გამრეცხ მანქანა-ავტომატამდე გათვალისწინებულია ტრანსპორტირებით და რემონტის შემდგომ მათი უკან დაბრუნებაც, ასევე განხორციელებულია ტრანსპორტირების დახმარებით. იმისათვის, რომ ტაქტის მოთხოვნები იყოს ყოველთვის დაცმაყოფილებული ურიკებისა და წყვილთვლების პარკში, რომელიც მოეწყობა ძირითადი კორპუსის გვერდით მიზანშეწონილად ვთვლით შენარჩუნებულ იქნეს წინასწარ შეკეთებული ურიკების მარაგი და ისინი გამოყენებულ იქნენ იმ შემთხვევებში თუ ვერ ესწრება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით არსებული ურიკების შეკეთება და აგვიანებს ტაქტს.

კონვეიერული მეთოდით სატვირთო ვაგონების ურიკების შეკეთების ქვემოთ ნაჩვენები ტექნოლოგიური პროცესის სქემა და რემონტის შემოთავაზებული ტექნოლოგიური პროცესის გრაფიკები სრულად ასახავენ ურიკების ნაკადური მეთოდით რემონტის პროცესს.

კონვეირული მეთოდით სატვირთო ვაგონის ურიკის შეკეთების  
ტექნოლოგიური პროცესის სქემა



ვაგონიდან ურიკების განთავისუფლების, გარეცხვის, ნაკადურ ხაზზე  
რემონტის და ვაგონზე პლაზ დაყენების ტექნოლოგიური პროცესის  
გრაფიკი



$t_1$  - ურიკის გამოგორების დრო

$t_3$  - ურიკის რემონტის დრო

$t_2$  - ურიკის გარეცხვის დრო

$t_4$  - ურიკის შეგორების დრო